619
1958/2
ეროვნული
ბიბლიოთეკა




# დროშა

№ 10 ოქტომბერი 1958

ეროვნული ბიბლიოთეკა




ფოტო ვ. ჯაფარიძისა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 10 (87) ოქტომბერი, 1958 წ.

გამოცემის VIII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად



7746

სკკპ XXI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის თავდადებით შრომობენ თბილისის ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივები.

ფ ო ტ ო ზ ე: 1. „9158“ ტიპის მილსაჭრელი ჩარხების აწყობა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში; 2. მთავრდება მოწყობილობის მონტაჟი თბილისის ახალ საკონდიტრო კომბინატში. მოწინავე მუშა ე. მეტრეველი შოკოლადის ჩამომსხმელ ავტომატთან; 3. 26 კომისრის სახელობის სა-სოფლო-სამეურნეო მანქანათსამშენებლო ქარხნის ზეინკალი ა. ქაჩიბაია აწყობს თვითმავალ შასის.

ფოტო ვლ. გინზბურგის

საქ. სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა





# ჩვენი თბილისის ახალგაზრდობა

ჯიმშერ ენუქიძე

ფოტო ოთ. ოურქიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1918-1958 სახელოვანი და გმირული კომკავშირის 40 წელი!**

თბილისელ კომკავშირელთა 73.000-იანი არმიის ლოზუნგი: „პირველ რიგებში ახალგაზრდობა“ — ათასხუთასწლოვანი ქალაქის ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა დროშად აიტაცეს. ქალაქის 14.000-ზე მეტი კომკავშირელი ყოველდღიურად აჭარბებს შრომით დავალებებს. კომკავშირული ორგანიზაციის მოწოდებით თბილისის ქარხანა-ფაბრიკებში შეიქმნა 400 კომკავშირული ბრიგადა. მრავალი კომკავშირელი და ახალგაზრდა ახლა უკვე 1960 წლის გეგმის ანგარიშში მუშაობს.

ახლა, როცა ჩვენს დედაქალაქს ბევრი ახალი შენობა, პროსპექტი, პარკი, ძეგლი, მოედანი, საჰაერო-საბაგირო გზა და კიდევ მრავალი სხვა ნაგებობა ამშვენებს, თბილისელ კომკავშირელებს თამამად შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ ყველაფერი ამის შექმნაში მათაც ღვაწლი მიუძღვით. ამას ადასტურებენ ქალაქის სარაიონო კომკავშირული კომიტეტების პატაკები ახალგაზრდობის შრომითი გამარჯვებებზე. აი, ზოგიერთი პატაკი:



ახალგაზრდა მხატვარი დ. ერისთავი

### ლენინის სახელობის რაიონიდან

...მარტო პირველ ექვს თვეში ჩვენი რაიონის 1.500-მდე ახალგაზრდა მუშამ შეასრულა 1958 წლის საწარმოო დავალება, 500 ახალგაზრდა კი 1960-1962 წლების ანგარიშში მუშაობს; ელმავალმშენებელი ქარხნის ახალგაზრდობამ საკუთარი ძალებით ააგო 8-ღერძიანი ქართული მაგისტრალური ელმავალი...

### სტალინის სახელობის რაიონიდან

...სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხნის კომკავშირულმა ბრიგადამ ააწყო ქარხნის მიერ ათვისებული ახალი პროდუქცია — სამთო ტრაქტორი „სშ-8გ“. გურამ ლობჟანიძის კომკავშირულ ბრიგადას გადაწყვეტილი აქვს წლიური დავალება 270%-ით გაანაღდოს. ამავე ქარხნის ზეინკალმა სპარტაკ პაპიაშვილმა შვიდი წლით გაუსწრო დროს; რაიონის ახალგაზრდობამ კომკავშირულ ყულაბაში 3.000.000-ზე მეტი მანეთი შეიტანა.

### კიროვის სახელობის რაიონიდან

...სამსხმელო-მექანიკური ქარხნის მუშები შ. კოხია და ი. ლუკაშვილი ყოველთვიურ საწარმოო დავალებებს 280-300 პროცენტით ანაღდებენ; კოტონ-წინდების ფაბრიკის კომკავშირელებმა აიღეს ვალდებულება, რომ სახელოვანი კომკავშირის 40 წლისთავისათვის კომკავშირულ ყულაბაში შეიტანენ 100.000 მანეთს. არის ასეთი პატაკიც:

### პირველი ადგილი

...დიდი ხანი არაა, რაც ეს მოხდა, მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადაზე დავიკავეთ საერთო პირველი ადგილი, სპორტის სახეობათა მიხედვით რვა I ადგილი, ორი II ადგილი და სამი III ადგილი...

იმრავლოს ასეთმა პატაკებმა. მართლაც რომ კარგი საჩუქარი მიუძღვნეს ნორჩმა სპორტსმენებმა იუბილარ კომკავშირსა და დედაქალაქს. სრულიად ახალგაზრდა თბილისელი სპორტსმენების სახელები — მზია ნინოშვილი, ლევან მოსეშვილი, იური დიაჩკოვი, ლ. ივლევა — მარტო ჩვენი ქალაქისთვის კი არაა ცნობილი, მათ უკვე საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეში იცნობენ...

ამ თითქოს, ერთის შეხედვით მშრალი, მაგრამ მრავლისმეტყველი პატაკების შემოქმედი თბილისელი ახალგაზრდები არიან, რომლებიც მშობლიური კომუნისტური პარტიის ზრუნვით გარემოსილნი მიიწევენ წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ. აი, ზოგიერთი მათგანი, გაიცანით ისინი, შეიყვარეთ, მიბაძეთ და მხარში ამოუდექით მათ:

### ლაუშელი ჭაბუკი

ეს იყო დიდი ხნის წინათ. ქვეყანა სამამულო ომის ქარცეცხლით სუნთქავდა. ოჯახებში მოხუცები, ქალები და ბავშვებიღა დარჩნენ. ასე იყო ჩვენი ვრცელი ქვეყნის ყველა ქალაქსა და სოფელში. ქვეყანას ფაშისტური ურჩხული ემუქრებოდა თოფიარაღასხმული მამაკაცები ფრონტზე წავიდნენ. ასე იყო დუშეთის რაიონის პატარა სოფელ ლაუშაშიც. ლაუშელი გლეხი ალექსი პაპიაური სასომხრად გაემზადა, გადაკოცნა მეუღლე, უფროსი ვაჟი იასონი, ბოლოს ყველაზე პატარას, ერთი ციდა დათოს მიესიყვარულა და გაუდგა შორეულ გზას. დათო მაშინ ვერ იფიქრებდა, რომ ეს იყო მამის უკანასკნელი მოფერება.. გავიდა ხანი, მამა არ დაბრუნდა. პატარა დათო ჩქარა წამოიზარდა, დაიწყო ტიტინი, შემდეგ სკოლასაც მიაშურა, რითაც შეეძლო დედას და ძმას ეხმარებოდა შრომაში. 14 წლისა, უკვე ადრე დავაჟკაცდა.

— რუსთავი, მეტალურგიული ქარხანა... იქ წავალ, ვისწავლი, ვიმუშავებ, — გაიფიქრა პატარა მოქალაქემ და ნაფიქრალი აასრულა. ჩქარა რუსთავის სახელოსნო სასწავლებელიც დაამთავრა და დურგლის პროფესიას დაეუფლა. მას შემდეგ მამისა და კიდევ მრავალ სხვათა მიერ სისხლით მოპოვებულ მშვიდობას იგი ხელეჩოთი და შალაშინით, თარაზოთი და სხვა ხელსაწყოებით შეიარაღებული ემსახურება. მალე მან მუშაობა თბილისში დაიწყო საჰაერო-საბაგირო გზის მშენებლობაზე. მშენებლობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ყარა აზიმპანოვი კომკავშირელთა შორის ყველაზე წინ დათოს აყენებს.

— დათო ყოჩაღი ბიჭია, გეგმას 220-230%-ით ასრულებს, — გვეუბნება აზიმპანოვი და თან დასძენს, — ჩვენს შორის, კომკავშირელთა შორისაა მუდამ, კარგი ვაჟკაცი დადგება დათო პაპიაური...

### კომკავშირელი ხელმძღვანელი

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის მდივანი მედეა კობახიძე! იგი თბილისის ახალგაზრდა მკვიდრთა იმ ნაწილს ეკუთვნის, რომლებმაც საშუალო სკოლა წარმატებით დაამთავრეს და წარმოებაში სამუშაოდ წავიდნენ. თანდათან იწაფებოდა ახალგაზრდა მუშა, ეცნობოდა წარმოების მრავალ მხარეს სამღებრო და მოსამზადებელ საამქროებში. მან წარმატებით მუშაობასთან ერთად, წარმოებისაგან მოუწყვეტლად უმაღლესი სასწავლებელიც დაამთავრა... მედეა თავის თანატოლმა ახალგაზრდებმა, კომკავშირელებმა შეიყვარეს, იგრძნეს მისი, როგორც კომკავშირელი ხელმძღვანელის ძალა.

გაეცანით ნაწყვეტს მისი ავტობიოგრაფიიდან: „ვმუშაობდი სამღებრო საამქროს ალკკ ბიუროს მდივნად, საქსოვი წარმოების ალკკ ბიუროს მდივნად, ფაბრიკის ალკკ კომიტეტის მდივნის მოადგილედ, ახლა ვმუშაობ — ფაბრიკის ალკკ კომიტეტის მდივნად, არჩეული ვარ — ალკკ რაიონული კომიტეტის წევრობის კანდიდატად“... ბოლოს ვკითხულობთ: „რაიონული საბჭოს დეპუტატი“ — მედეა კობახიძის

### ვინ რა თქვა თბილისზე

„თბილისი ნაყოფიერი და გამაგრებული ქალაქია. იქ უხვად მოიპოვება პროდუქტები, რომელთა ფასი იაფია. თავისი კეთილმდგომარეობით იგი სჯობს სხვა მდიდარ სახელმწიფოებს... თბილისში უცხოელთათვის უშიშროება და სტუმართმოყვარეობა სუფევს; იქ ყველას, მათთან შემთხვევით მოსულს, მეგობრულად ექცევიან, ვისაც კი ოდნავი გამჭრიახობა და დამოკიდებულება აქვს განათლების საგნებისადმი“.

არაბი გეოგრაფი იბნ-ჰაუკალი (X ს.).

* * *

„თბილისი დარუბანდზე ნაკლებია. სიმდიდრით სავსე ადგილია. მრავალ ხილიან-ნათესებიანი; მრავალგვარი საქონელი და თაფლი მტკვრით მიაქვთ იქიდან. აქვს თბილი წყლები. მთელს არანში ბარდავზე, დარუბანდზე და თბილისზე უფრო დიდი ქალაქი არ არსებობს“.

არაბი გეოგრაფი ალ-ისტახრი (X ს.).

* * *

„დიდებული ქალაქი, განსაცვიფრებლად ნაგები, საუცხოო და საკვირველი“.

სომეხი მწერალი უხტანესი (XI ს.).

ეს თანამდებობრივ ნუსხათა მშრალი ჩამოთვლა თითქოს ცოტას ლაპარაკობს. ამ ნუსხათა უკან თბილისელ კომკავშირელთა არმიის თუმცა ერთი პატარა რაზმი, მაგრამ შრომისმოყვარე, საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შემსრულებელი 600 კაციანი კომკავშირული კოლექტივი დგას. მათთან ერთად, კომკავშირულ ხელმძღვანელ ბირთვთან ერთად მედეა კობახიძე ფაბრიკის ყველა წარმატებისა და მიღწევის უშუალო მონაწილე და შემოქმედია.

მედეა უფრო მეტი თავის ძმებსა და დაზე გვესაუბრა, მართლაცდა საამაყო აქვს მედეას...—უმცროსმა ძმამ იურიმაც მასავით საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშად დაიწყო მუშაობა მშენებლობაზე, მეორე ძმა — იუზაც მედეასავით კომკავშირული მუშაკია — ქიათურაში...

ჩემი მომდევნო — მერი კი მუსიკალურ ტექნიკუმში სწავლობს, ასე რომ კომკავშირულ მუშა-სამეულს დროგამოშვებით მუსიკის ხმებიც გვატკბობს ხოლმე, — გაგვეხუმრა მედეა. აღარ ვაყოვნებთ, ვემშვიდობებით მედეას, მას ხომ კიდევ ბევრი საკითხი აქვს გადასაწყვეტი: კრების მომზადება, ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობის საკითხი, ერთ-ერთი მთავარი კი რიგელებთან და ლენინური კომკავშირის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაა.

შეასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს? — ვეკითხებით მას და ისიც მტკიცედ გვპასუხობს, — არ შევრცხვებით. გამარჯვებისა გვჯერა.

### ახალგაზრდა მხატვარი

დიდი ინტერესი გამოიწვია ამიერკავკასიის რესპუბლიკების ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების გამოფენამ, რომელიც ლენინური კომკავშირის 40 წლისთავს მიეძღვნა. ამ გამოფენაზე თბილისელმა მხატვრებმა ბევრი ახალი და საინტერესო წარმოადგინეს. და აი, ახლა როცა უკვე კარგა ხანია გამოვედით გამოფენის დარბაზებიდან, ჩვენ თვალწინ მრავალი საინტერესო ნახატის შთანაბეჭდი კინოფირივით ციალებს... ბევრი მათგანის საცქერლად ისევ გამოფენის დარბაზებში გვიხდება შესვლა. ამჯერად ჩვენ მხოლოდ ერთი ახალგაზრდის — ლენინური კომკავშირის აღზრდილის — დიმიტრი ერისთავის ნახატებზე შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება.

დიმიტრი ერისთავმა სულ რაღაც ორიოდე წელია, რაც თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა და მან უკვე თავისი ნამუშევრებით ყურადღება დაიმსახურა. მის მიერ გამოფენაზე წარმოდგენილ ნახატებს: „კლასი“, „ქალიშვილები“, „გასეირნება“, ახალგაზრდა კაცი ფიქრით ახლო წარსულში გადაჰყავს უყურებ ამ ნამუშევრებს და უნებურად გაგონდება ბავშვობა, თლილ ქვაფენილზე დახაზული უჯრედები, სიპი ქვა და კლასის თამაში, ანდა შემდეგი დღისათვის მომზადებული გაკვეთილები, რუსთაველის პროსპექტი და გასეირნება. ერთი სიტყვით მოგაგონდებათ თქვენი ბავშვობა, სიყრმე და სიჭაბუკე თავისი უზრუნველობით, სიხარულით, სწავლით, დასვენებით, თამაშით და ალბათ, იმ დროისათვის შეუცნობელი რაიმე ბავშვური მწუხარებითაც. ახალგაზრდობის ახლო წარსულისადმი სიყვარულის გადმოცემას თავის ნახატებში დიმიტრი ერისთავი სხეულის რიტმულ მოძრაობათა ასახვით ახერხებს. თვით მისავე თქმით იგი გულგრილად ვერ უყურებს ახალგაზრდობას, მის საქმიანობას, მის ფიქრებსა და ყოველდღიურ ცხოვრებას. რა



დურგალი დავით პაპკიაური

არის ყველაზე კარგი დიმიტრი ერისთავში, როგორც ხელოვანში? — ის, რომ იგი თავის თანამედროვეთა, თანატოლთა, კომკავშირელთა, ახალგაზრდობის სულით სუნთქავს. დიმიტრიმ სწორი გეზი აიღო, თუმცა იგი ჯერ კიდევ ძიებაშია. ახლა მისი და მისი ფუნჯის საქმეა თუ რაოდენ ღრმად ჩასწვდება იგი ახალგაზრდობის ცხოვრების ყველა მხარეს. ახალგაზრდობა კი ყველგან შთამაგონებელია, პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შრომასა და დასვენებაში.

• • •

კიდევ ბევრ ახალგაზრდაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, მაგრამ ერთ რეპორტაჟში ყველას ვერ მოაქცევ. ვერც მათ გმირულ საქმიანობას მოაქცევ ერთ კალაპოტში. ახალგაზრდობა შრომისა და სწავლის, სპორტისა და კულტურის გაშლილი ფრონტით მიდის წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ...

პირველ რიგებში, ახალგაზრდობავ!

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ალკკ კომიტეტის მდივანი მედეა კობახიძე და გამომყვანი საამქროს წუნმდებელი, ამავე საამქროს ალკკ ბიუროს მდივანი ლეილა მურჯიკნელი.



თეიმურაზ ჯანგულაშვილი

## სიმღერა ახლად იბადება

ვიცი, სიმღერით დაიბადნენ ქვეყნად ჰერები,
თვით სიმღერაა მათი მთები, მათი ველები.
ხალხს კი სიკვდილმა დაავიწყა სიმღერა ნერგ.

წლების ნახირმა ზანტი ზლაზვნით გადაიარა,
წყვდიადის ცელმა, მტრობის ცელმა სად არ იალა,
მხოლოდ ტირილი, მხოლოდ კვნესა შემორჩათ
ჰერებს.

აქ მზის მაგივრად ყიზილბაშის მთვარე ეკიდა,
მთვარე კი არა, მოშიშვლებული ხმალის ნატეხი,
გმინავდა მიწა დაშაშრული ცეცხლის მეხითა,
სისხლის ნიაღვრად მოქშუოდა მთიდან კატეხი.
შორეულ ცაზე ძლივს ბჟუტავდა ბედის
ვარსკვლავი,
თითქოს სიცოცხლეც გადაშენდა სიმღერასავით.

ღრმა გულში ჩარჩათ ინგილოებს ლექსის
ფესვები,
დღეს ამ ფესვებმა ამოჰყარეს ყლორტები ლაღად,
დაირხა მიწა სიცოცხლის და სიმღერის ბაღად.

მღერის ჰერეთი ნიზამის და შოთას ლექსებით,
დღეის დღე რეკავს იმ ლექსებში და იმ კილოში,
— სიმღერა ახლად იბადება საინგილოში.

შალვა ამისულაშვილი

## მზის ელსადგური

ჩრდილში ვიდექ, მზის არილი
გულში მომხვდა ისარივით.
ხელმოჩრდილვით გაველ განზე,
თვალი მოვკარ აივანზე.
სვეტს აეკარ, მაინც ჩანდი
ჩემი ვარდი...
და ია-მზე!...

სვეტს აეკარ... მრგვალი სარკე
კვლავ გეჭირა ბალისაკენ.
შუქმა ხოხბის ფრთა გაშალა,
ჩრდილში დგომა არ მაცალა.
სულ ამაზე ვფიქრობ, ვფიქრობ,
სადაც წავალ,
სადაცა ვარ!..

ახლა იმ ძველ აივანზე
შენებრ ცელქობს სხვა ია-მზე.
შენ კი, მზის ქვეშ, ზაგემკრთალი,
მზის ელსადგურს აგებ ქალი.
დიდი, დიდი მრგვალი სარკით
შუქს დაიჭერ
ღამისათვის.

მზე ჩავა და.. ქარვით სავსე
იმზეობებს მრგვალი სარკე.
მზე ჩავა და... როს ამოვა,
რას წაიღებს მოსაგონარს,
როცა მწუხრის ნაკვალევით
არ დახვდება
ნაპრალებიც...

მოსაგონარს მე წავიღებ,
დაე, მწუხრი მე მწარლვნიდეს,
ოღონდ შენ და შენი სარკე
არ გამყოფოთ ბედმა ცალკე,
იყოთ მზესთან წილნაყარი,
წინ გეფინოთ
მზის ფაფარი!..

# ორი ქალაქის ბედი



„XVIII საუკუნის უკანასკნელ წლებამდე, ციხე-სიმაგრეებისა და ასფუტიანი კედლებით გარემოცული ქალაქი ბამი, აყვავებულ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენს. იგი გაშენებული იყო ირანის სამხრეთ - აღმოსავლეთ ნაწილში, სოლონჩაქის უდაბნოს ერთ-ერთი ოაზისის ტერიტორიაზე. შემდეგ ალა-მაჰმად-ხანი, ყაჯართა ტომების ბელადი, თავს დაესხა ირანის შაჰის ჯარებს, დაიპყრო ქალაქი ბამი და ბრძანა თვალები დაეთხარათ ათი ათასი მცხოვრებისათვის. ქალაქი დაპყრობილი და დანგრეულ იქნა, ცოცხლად დარჩენილი მოსახლეობა მეზობელ ოაზისში გადასახლდა. დღეს ამ ქალაქმოჩვენების ცარიელ ქუჩებში ტურები დაძრწიან. მხოლოდ მოხეტიალე შემთხვევითი ჯგუფები შლიან ბანაკს ყოფილ მიზგითების ნანგრევებში“.

აი, ასეთ ცნობას ბეჭდავს ჟურნალი „კურიერ იუნესკო“ 1957 წ. იანვრის ნომერში, ალა-მაჰმად-ხანის შესახებ, რომელმაც არა მარტო ქალაქი ბამი, კიდევ მრავალი სხვა ქალაქი გაასწორა მიწასთან, 1795 წელს კი თბილისს მოადგა, დაანგრია და გადაწვა იგი. მაგრამ მრავალჭირნახული და მრავალგზის დანგრეული თბილისი ისევ ფეხზე წამოდგა, ისევ გამართა წელი.

ამ ორ უძველეს ქალაქს — ბამსა და თბილისს მტერი ერთი ჰყავდა, პატრონი კი—სხვადასხვა. ამიტომ მოხდა, რომ ბამი ისევ ნანგრევებად დარჩა, ხოლო თბილისი აყვავებულ სოციალისტურ ქალაქად იქცა.



ქალაქ ბამის ნანგრევები

## საყვარელი ქალაქი

ლამაზი, საყვარელი ქალაქი, საუცხოო თბილისი დღესასწაულობს თავის 1500 წლისთავს. რა ამაღელვებელი და სასიხარულო მოვლენაა! მე პირადად ისე განვიცდი ამ ამბავს, თითქო დაბადებიდან თბილისელი ვიყო.

საკვირველიც არ არის:

თბილისში მე პირველად 1916 წელს მოვხვდი და მას შემდეგ სისხლით და ხორცით ვარ დაკავშირებული ამ ქალაქთან.

სასიქადულო, გმირული ისტორია ქალაქისა, მისი თვალსაჩინო, მომხიბვლელი სილამაზე, მისი მაღალი სულიერი კულტურა, მათ შორის მუსიკალურიც — ჩემი მუდმივი აღტაცების საგანია.

ვუსურვებ საყვარელ ქალაქსა და მის ბედნიერ მცხოვრებლებს კიდევ წინსვლას, წარმატებებს ცხოვრებისა და კულტურის ყველა უბანზე და მუდმივ მშვიდობას, რომელიც ასე ხშირად აკლდა წარსულ საუკუნეებში მის მრავალტანჯულ და გმირულ ისტორიას.

ჰენრიხ ნეიჰაუზი

მოსკოვის სახ. კონსერვატორიის პროფესორი.

## სალამი შორეულ აღმოსავლეთიდან

1925 წელს სწავლა დავიწყე ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. უკვე 27 წელია, რაც შორეულ აღმოსავლეთში ვმუშაობ, მეტად რთულსა და მკაცრ პირობებში. ამ სიძნელეთა გადალახვა შესაძლებელი გახდა იმ ცოდნის წყალობით, რომელიც მე მშობლიურმა უნივერსიტეტმა მომცა.

უსაზღვროდ ძვირფასია ქართველისათვის ქალაქი თბილისი, 15 საუკუნის მანძილზე მუდამ მოუსვენარი, მოუდრეკელი და უძლეველი. საქართველოს ბედიც ხომ მუდამ დაკავშირებული იყო თბილისთან.

სამშობლოსადმი სიყვარულს განსაკუთრებით ვგრძნობ, როცა შორეულ აღმოსავლეთის ზღვებში დავცურავ, მიყვარს ჩემი სამშობლო, რომლის მიწისაგან აღგვას ამაოდ ცდილობდნენ უთვალავი მტრები და რომელიც გმირულად აღუდგა წინ ყველა დამპყრობელს.

ჩემს მშობლიურ ქალაქს ვუსურვებ მუდმივ აღორძინებასა და განახლებას.

შორეულაღმოსავლური სალამით!

შალვა ნადიბაიძე

## ვინ რა თქვა თბილისზე

„მრავალი თათბირისა და გამოკითხვის შედეგად დავრწმუნდით, რომ ტეფლისი საქართველოს სამეფოს ცენტრი, საუკეთესო, ხალხმრავალი, კეთილმოწყობილი და მდიდარი ქალაქია. იგი განთქმული და შესანიშნავია“.

რომის პაპი **იოანე XXII.** (XIV ს.).

* * *

„თბილისში განუწყვეტლივ ერთმანეთს ხვდებიან ყოველი კუთხის ვაჭრები — სპარსეთიდან, სმირნიდან, კონსტანტინეპოლიდან და მთელი საქართველოდან... თუმცა აქ ყველაფერი უხვად არის, აუარებელი ვაჭრებიც არიან და ყოველდღე დატვირთული ქარავნები შემოდის, მაგრამ მაინც საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით აქ ყველაფერი ძვირია“.

იტალიელი მისიონერი **სერაფინო მელიკოკანელი** (XVII ს.).

* * *

„თბილისი საკმაოდ დიდი ხალხმრავალი ქალაქია... თბილისის მთავარი სავაჭრო საგანია ბეწვეული, რომელიც აქედან გააქვთ სპარსეთში ან არზრუმით კონსტანტინეპოლში. თბილისიდან და დანარჩენი საქართველოდან არზრუმს ყოველწლიურად იგზავნება ენდროთი დატვირთულ აქლემთა 2.000-ზე მეტი ქარავანი. გარდა ამისა, საქართველო ამ მცენარეს დიდი რაოდენობით ასაღებს ინდოეთში“.

ფრანგი მოგზაური **ჟოზეფ ტურნეფორი** (1700 წ.).

* * *

„საქართველოს მთავარი ქალაქია თბილისი. აქ ვაჭრობენ აზიურ საქონელს, აგრეთვე რუსეთიდან შემოზიდულ საქონელს. თბილისში საუკეთესო რამედ უნდა ჩაითვალოს ცხელი წყაროები, რომელიც მთებიდან გადმოსჩქეფენ. ქალაქ გარეთ მრავალი ხეხილის ბაღია, სადაც ხარობს ვაზი, ნუში, ლეღვი, ბროწეული, ატამი, შავქლიავი და ბევრი სხვა ხეხილი, რომელთაც ჩვენ არ ვიცნობთ“.

რუსეთის დიპლომატიური აგენტი კაპიტანი **იაზიკოვი** (1700 წ.).



# გილოცავ, თბილისო!

ნიკოლოზ ტიხონოვი

უძველესო და სახელოვანო ქალაქო — თავისუფალო და მშვენიერო თბილისო! უხსოვარ წარსულში ფესვებგადგმული, შენ დღეს იქეცი მოწინავე, სოციალისტური კულტურის ქალაქად, რომელიც თავისი არსებობით ადასტურებს ჩვენი განუმეორებელი დროის უდიდეს მიღწევებს.

როგორც არ უნდა შეცვლილიყო შენი სახე საუკუნეთა განმავლობაში, მუდამ ახალგაზრდა და მშვენიერი რჩებოდი, როგორც არ უნდა ეტანჯეთ, ფერფლისა და კვამლისაგან დგებოდი და უფრო მშვენდებოდი, ვიდრე მტრის შემოსევამდე იყავი.

როგორც არ უნდა დაეჩაგრათ შენი სულიერი ძალები — შენ მუდამ ახალსა და ახალ ტალანტებს წარმოშობდი, შენ მიილტვოდი თავისუფლებისკენ, მსხვერპლად სწირავდი რა შენი მიწის საუკეთესო შვილებს და დღეს შენს მოედნებზე თავისუფლება ზეიმობს.

როგორ არ ცდილობდნენ დამმონებელნი შეერყიათ კედლები შენი, რათა განმარტოებულიყავ სხვა ხალხთაგან და ეჭვით გემზირა მათთვის! დღეს შენ ხარ ქალაქი ხალხთა მეგობრობისა, და ჩვენი სამშობლოს ყველა ეროვნების წარმომადგენელი მხურვალე სალამს გიძღვნის შენს დიად დღესასწაულზე.

რამდენი პოეტი და მწერალი დაჰბადე შენ, რამდენი სწავლული და საზოგადო მოღვაწე მიეც კაცობრიობას, რამდენი გმირი სახალხო ბრძოლისა. რამდენი გმირი და რევოლუციონერი აღზარდა შენმა მიწამ, ვაჟკაცთა სამშობლოვ, აკვანო უკვდავებისა.

შენ საყვარელი ქალაქი შეიქენ ყველასათვის, ვინც თუნდ ერთხელ მაინც გნახა, ვინც თუნდ ერთხელ მაინც გაიარა შენს ქუჩებზე და შეისუნთქა შენი ბაღების ჰაერი.

კიდევ მრავალი საუკუნე გადიქროლებს ამაყად წამომართულ შენს სახლთა თავზე, შენი პარკების მწვანე კენწეროებზე, ფართო მტკვარზე. და დაე, ამ ახალმა საუკუნეებმა მოგიტანოს შენ მშვიდობა და უფრო მეტი დიდება, დიადი სულის ქალაქო, ქართველთა და ყველა საბჭოთა ხალხების სიამაყევ — ძვირფასო, ერთადერთო თბილისო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელოვანი და მშვენიერი

იარომირ იედლიჩკა

თბილისი პირველად თვითმფრინავის ფანჯრიდან დავინახე. ეს იყო დიდი, ნათელი ლაქა მტრედისფრად მოკიაფე ცისკიდურზე. მთელი მხარე დაფარული იყო თეთრი ღრუბლებით, რომლებიც ნისლით შებურვილ კავკასიონზე ცხვრის ფარასავით დაცოცავდნენ. მხარე მოღუშული და ჩაბნელებული იყო, მაგრამ თვით ქალაქი მთვარესა გავდა, რომელზეც უხვად იყო მოფანტული ყვითელ-ყვითელი მარცვლები.

მოსკოვის ხმაურიანი აეროდრომის შემდეგ ფეხი დავდგი თბილისის წყნარ აეროდრომზე... ყვავილების თაიგულები, ძველი მეგობრების ხვევნა-კოცნა, ახალი მეგობრების მისალმებანი, ხელის ჩამორთმევა, სამხრეთის შუადღის მცხუნვარე მზით გარისკროვნებული, ლაღად მოღიმარ ადამიანთა სახეები.

მეგონა, ზღაპრულ ქვეყანაში ჩამოვფრინდი... რამდენი რამ მომაგონდა წაკითხულიდან და შესწავლილიდან იმ წუთებში, როცა ავტომანქანა თბილისის ქუჩებით მიმაქროლებდა — ისანი, ავლაბარი, ვაკე! ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „სახრჩობელაზე" გმირი გლეხიკაცი პეტრე, დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის" ვარდუა...

მანქანიდან დავინახე მკაცრი, დაღვრემილი მეტეხი და ამაყი, მრავლისმნახველი და მომსწრე ნარიყალა. აგერ — მტკვარი დაულალავად მიერეკება თავის ტალღებს წინ, და სულ წინ, — მტკვარი, სიმბოლო მარადიული მოძრაობისა, რის გარეშე არ არსებობს სიცოცხლე. აგერ — მაღალ კლდეებზე გადმომდგარი ძველი თბილისის სახლები, ბოლოს, თვით სიცოცხლით სავსე ქალაქი, მწვანე კედარითა და ნეკერჩხალით მორთულ-მოკაზმული მისი ხმაურიანი პროსპექტები, ქუჩები, მოედნები...

დავდივარ ამ ქალაქში. გზადაგზა მისი ბაღების ჩრდილში ვისვენებ. აკაციებით შემკული ქუჩებით (ეს აკაციები პრაღას მომაგონებენ). ქალაქის მთაზე ავედი და თეთრ ეკლესიას მივადექი. მის ბაღში ბუმბერაზი ხეების ჩრდილქვეშ და მათ საამო შრიალში მარადიული ძილით განისვენებენ ქართველი ხალხის სახელოვანი, უკვდავი შვილები.

მთის დაკლაკნილი ქუჩებით კიდევ უფრო მაღლა ავედი და თბილისს ფუნიკულიორიდან ირგვლივ შევავლე თვალი. გზატკეცილის ორივე მხარეს ნაძვები მისდევს, რომლებიც ისე მომხიბლავად ამკობენ მთელ ხედს, რომ მზადა ხარ, შესძახო: „იზარდეთ, აყვავდით, მარადმწვანე გვირგვინი დაადგით თავზე თბილისს!" ჩამოღამდა: ცაზე ვარსკვლავები აციმციმდნენ, და უმალ ქალაქიც ცის თაღს დაემსგავსა—აქაც აკიაფდა ათასობით ვარსკვლავი; ალერსიანად შესცქეროდნენ ერთმანეთს ცა და დედამიწა, და ვარსკვლავთა ციმციმში თითქოს მათი იდუმალი ჩურჩული გაისმოდა.

აქ ყველაფერი გაცილებით უფრო ლამაზი და გასაოცარი იყო, ვიდრე წარმოდგენილი მქონდა, და ყველაზე მეტად თვით ქართველმა ხალხმა გამაოცა. მის შესახებ ბევრი რამ მქონდა წაკითხული, მაგრამ სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა. ამ ხალხს უყვარს თავისი მშვენიერი ქალაქი, თავისი გმირული სამშობლო და თავისი სიცოცხლით მჩქეფარე ენა. ამ ხალხის გულითადობა, გულღიაობა, სტუმართმოყვარეობა, კეთილშობილება, კაცთმოყვარეობა, ძალსა და რბილში გამჯდარი, თანდაყოლილი მისი სიდიადე, მისი სიმკვირცხლე, სწრაფვა სილამაზისადმი და ღრმა, დაუცხრომელი ინტერესი ცოდნისადმი — ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია.

ქართველი ქალი! იგი ხომ მთელ მსოფლიოში განთქმულია თავისი სილამაზით, და აი, მე ჩემი თვალით ვიხილე სილამაზის ეს განსახიერება. ქართველი ქალების გარეგნული სილამაზე მათი შინაგანი, სულიერი სილამაზისგან გამომდინარეობს — სხვანაირად შეუძლებელია ავხსნათ მათი ჯადოსნური მომხიბვლელობა: მათ სულს ამკობს კდემამოსილება, თავდაჭერა, სინაზე, თავმდაბლობა!..

ქართული ენა! ამ ენის უცოდინარს პირველ ხანებში ის მოუქნელად მოეჩვენება, ისე უხვადაა მასში თანხმოვანთა შეჯგუფებანი, მაგრამ რა რბილია ის სინამდვილეში და რა მელოდიურად ჟღერს თვითეული მისი სიტყვა. ქართული ენა თავისი ჟღერადობით მსოფლიოს ყველაზე მელოდიურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება, თავისი ლექსიკის სიმდიდრით კი საბერძნეთ ევროპის კლასიკურ ენებს. ჭეშმარიტად, მხოლოდ ამ ენაზე შეიძლებოდა შექმნილიყო სწორუპოვარი პოემა „ვეფხისტყაოსანი" გენიალური შოთა რუსთაველისა. ქართული ენა — პოეზიის ენაა, სიყვარულისა და მეგობრობის ენა, მეცნიერების ენა. ქართული ენა — ქართველი ადამიანის სიდიადისა და ღირსების ამსახველი ენაა. სად თავდება აქ პოეზია და სად იწყება პროზა სიცოცხლისა — ძნელი გასარკვევია.

ამაში შეუძლია დარწმუნდეს ყველა, ვინც ცოტა ხანს მაინც დაჰყოფს საქართველოში, და კერძოდ, მის დედაქალაქ თბილისში.

თბილისი მარადიული ქალაქია, — სახელოვანი, ვით რომი და გმირული, ვით პრაღა. მაგრამ ქალაქის მარადიულობა მარტო მის ხანგრძლივ არსებობაში არ მდგომარეობს, — იგი მარადიულია თავისი მნიშვნელობით და თავისი ქედმოუხრელობით. რამდენჯერ და რამდენი მტერი დასხმია თავს თბილისს, აუწიოკებია და გადაუბუგავს იგი, მიწასთან გაუსწორებია და მის დამცველთა და მშვიდობიან მცხოვრებთა სისხლით შეუღებავს ნაღვლიანად მობუტბუტე მტკვარი, მაგრამ არც ერთ ბრძოლაში ქართველს ქედი არ მოუხრია და საბოლოოდ არ წაქცეულა, და თბილისიც მკვდრეთით აღმდგარა.

თბილისი თავისი მნიშვნელობით საქართველოს ფარგლებს სცილდება. იგი ოდითვე მთელი კავკასიის კულტურის ცენტრი იყო, და ამჟამადაც კავკასიის ხალხთა კულტურის მიღწევათა ფოკუსს წარმოადგენს. ჩვენ, ვინც სულითა და გულით, მთელი ჩვენი არსებით ახლო ვართ ქართველ ხალხთან, თუმცა მანძილით დაშორებულნი, გულმოდგინედ ვსწავლობთ ქართულ კულტურას მთელი მისი მოცულობითა და სიღრმით — უძველეს დროიდან დღევანდლამდე. ძველი და ახალი თბილისი ჩვენთვის უშრეტი ცოდნის ცოცხალი წყაროა.





**ედიშერ ყიფიანი** სამი მოთხრობა [მხატვარი ალ. ბანძელაძე]

# დაბადების ადგილი

— ბავშვის სახელი?

— გიორგი.

— მამის სახელი?

— დავით.

— გვარი?

—კახეთელიძე.

— კეთილი, — თქვა მმაჩის ბიუროს გამგემ, კალამი სამელნეში ამოასველა და ისევ ანკეტას ჩაჰხედა, — სად დაიბადა თქვენი ბავშვი?

— ეე, ბავშვი დაიბადა... — დავითს ენა დაება, დამნაშავესავით გაიღიმა, უნდოდა, მმაჩის ბიუროს გამგეს შეეხედნა მისთვის, შეეხედნა და შეემჩნია, რომ დავითს ძნელი საკითხი ჰქონდა გადასაწყვეტი, რომ არც კი იცოდა, სად დაიბადა ბავშვი, თუმცა თვითონ დასტრიალებდა თავს მელოგინე ცოლს, თვითონ ეხმარებოდა ექიმს, თვითონ ნახა ყველაზე პირველად თავისი ვაჟი.

მმაჩის ბიუროს გამგემ ნერვიულად აათამაშა კალამი.

— ბავშვის დაბადების ადგილი?! — ოფიციალური კილოთი გაიმეორა მან.

— როგორ გითხრათ, — გაბედა დავითმა, — ვერც კი გეტყვით, სად დაიბადა ჩემი ბავშვი.

მმაჩის ბიუროს გამგემ, სრულიად სამართლიანად, გაკვირვებული თვალები მიაშტერა დავითს. ერთი წუთით მოელანდა, რომ აქ რაღაც საიდუმლოს ან ბოროტებას უნდა ჰქონოდა ადგილი, მაგრამ არჩია ჯერ თვით ბავშვის მამისგან მოესმინა ახსნა-განმარტება.

— ეს მითხარით, — შეყოვნდა გამგე, — ხომ ნამდვილად დაიბადა ბავშვი?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ახლაც ატირებული დავტოვე... — დაიბნა დავითი.

— ესე იგი, მართლა დაბადებულა, — ნაძალადევად გაიღიმა მმაჩის ბიუროს გამგემ, — მაგრამ სად დაიბადა, ამას ჯერ ბავშვი ვერ გვეტყვის, ეს თქვენ უნდა იცოდეთ.

— წარმოიდგინეთ, არც მე ვიცი და არც დედამისმა, საქმე იმაშია, რომ...

— მაინც რაშია საქმე?! — მკაცრად შეაწყვეტინა გამგემ.

— საქმე იმაშია, რომ ბავშვი...

— სხვისია?

— არა, ბატონო, ბავშვი ჩვენია, მაგრამ იგი დაიბადა...

— სად?!

— ვერ გეტყვით ზუსტად, ან გომშია დაბადებული, ან ქარელში, ან აგარაში...

— მოითმინეთ, მოითმინეთ!— წამოიძახა მმაჩის ბიუროს გამგემ და რაღაც სხვანაირად შეავლო თვალი დავითს, მერე ფრთხილად შეაპარა, — ეე, ბავშვის დედას ხომ არ შეუძლია აქ მოსვლა? მოვიდეს, თვითონ მოვიდეს და ყველაფერს გავარკვევთ.

დავითი გაწითლდა. მიხვდა, რომ გამგემ იგი გიჟად ან, უკეთეს შემთხვევაში, სულელად მაინც მიიჩნია.

— აქ არაფერია საკვირველი, — გამწარებით წამოიძახა მან, —ჩემი ვაჟი მატარებელში დაიბადა!

— მატარებელში?! აა, მატარებელში? მაპატიეთ, ბოდიშს ვიხდი, დიდი ბოდიში თქვენთან, — ისე წამოწითლდა მმაჩის ბიუროს გამგე, თითქოს ხმამაღლა გამოეთქვას ის ეჭვი, რაც დავითის უცნაურ პასუხთა გამო აღეძრა ამ ერთი წუთის უკან.

— დიახ, სამწუხაროდ, მატარებელში დაიბადა, — გაიმეორა დავითმა — და ახლა არ ვიცი რა ვქნა, რა გზას დავადგე. თავს მოვიკლავ, დედამისიც თავს მოიკლავს, ასე რომ ჩასწეროთ მაგ ანკეტაში... ბავშვიც რომ გაიზრდება, თავს მოიკლავს, მერწმუნეთ. — კინაღამ ცრემლი მოერია დავითს.

— მოითმინეთ. თავის მოსაკლავი აქ არაფერია. აბა, თუ შეიძლება მიამბეთ, როგორ...

— ხაშურიდან გამოვედით თუ არა, ცოლს ტკივილები დაეწყო... ერთი ამბავი შეიქნა ჩვენს ვაგონში. აღარც მატარებლის დაბრუნება შეიძლებოდა უკან, არც გაჩერებას ჰქონდა აზრი. დავიბენი, ასე არასოდეს დავბნეულვარ ჩემს სიცოცხლეში. ისევ მგზავრებმა მიშველეს, ერთმა ხუთმა ექიმმა მაინც მოირბინა სხვადასხვა ვაგონებიდან. ჰოდა.. დაიბადა ჩემი ბიჭი.

— სად?! — ისე მიახალა გამგემ, თითქოს ჰიპნოზს უკეთებდა მეხსიერების აღსადგენად.

— არ ვიცი-მეთქი, ხომ მოგახსენეთ, ან გომში ან ქარელში იქნებ კასპშიც ვიყავით ჩასული, იქნებ მცხეთაშიც, რა ვიცი, მაგის თავი სად მქონდა.

— გასაგებია, — თანაგრძნობით დაიქნია თავი მმაჩის ბიუროს გამგემ და სერიოზული სახე მიიღო. — ადამიანი იბადება მხოლოდ ერთხელ და მხოლოდ ერთ ადგილზე. თქვენი ბავშვი რომ ნამდვილად დაიბადა, ეს უკვე ცხადია. რაც შეეხება დაბადების ადგილს... დაბადების ადგილს რაც შეეხება... რა გაეწყობა; რადგან ასე მომხდარა, რადგანაც ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მაშინ ჩავწეროთ, როგორც თქვენ გნებავთ.

— როგორც მნებავს? — ვერ მიხვდა დავითი.

— დიახ, — გაიღიმა გამგემ. — საქართველოში ბევრია ლამაზი ადგილი და ლამაზი სახელი. რადგანაც ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რადგან ასე მომხდარა, რა გაეწყობა, ამოირჩიეთ რომელიც გნებავთ, მე მზად ვარ, — ბიუროს გამგემ კალამი სამელნეში ამოასველა.

— მე ამოვირჩიო? —

— დიახ, თქვენ.

— ბავშვის დაბადების ადგილი?

— ჰო, ბავშვის დაბადების ადგილი. — გამგემ კალამზე ბეწვი შენიშნა.

— მერე ეს შეიძლება? — დავითს არ სჯეროდა, რასაც ეუბნებოდნენ და თვითონვე დაიქნია თავი, იმის გამოსახატავად, რომ „ეს შეიძლებოდა“.

—რა გაეწყობა, რაკი ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, — თქვა გამგემ და ბეწვის მოსაცილებლად კალამი თმებზე გაისვ-გამოისვა.

— რომელი ადგილიც მინდა?

— რომელიც გნებავთ, სულო და გულო.— მმაჩის ბიუროს გამგემ ხელმეორედ ჩააწო კალამი სამელნეში.

სიჩუმე ჩამოვარდა. დავითი ნიდაყვებით დაეყრდნო მაგიდას, გამგისკენ გადაიხარა, მისი სახის ყოველი ნაკვთი თხოვნას და მუდარას გამოხატავდა. თითქოს საიდუმლოს აძლევსო, მან ყურში ჩასჩურჩულა გამგეს:

— მაშინ ძალიან გთხოვთ ჩასწეროთ, რომ ბავშვი დაბადებულია...—მმაჩის ბიუროს გამგემ კალამი მოიმარჯვა და მოლოდინში გაინაბა, როგორც სტარტზე მდგარი სპორტსმენი ელოდება ხოლმე სროლის ხმას.

მაგრამ ამაოდ. დავითს ხმა ჩაუწყდა. იგი მერყეობდა, კიდევ არ სჯეროდა, რომ სურვილს აუსრულებდნენ.

გამგემ ცალი თვალით აჰხედა მას და გაეღიმა.

შემდეგ სწრაფად დაღუნა თავი და, თითქოს კალამი გაექცაო, ერთი ხელისმოსმით შეავსო ცარიელი ადგილი ანკეტაში.

დავითმა გაკვირვებულ ყანჩასავით მოიგრიხა კისერი, ანკეტას ჩააშტერდა და როცა ის ახალდაწერილი სიტყვა ამოიკითხა, ერთბაშად წელში გაიმართა:

— ოო, სწორედ თბილისში, თბილისში... დიახ, თბილისში... დაბადებულია თბილისში... ძალიან კარგი... გმადლობთ, დიდი მადლობა!

ვაგიფი*

## თბილისი

ერთი შეხედეთ: ამ უცხო ბაღში
        რა მშვენიერი ალვისხენია!
ახლად გაფურჩქვნილ ვარდთა სურნელი
        აქ არემარეს მიმოჰფენია.
ყაყაჩოები ირგვლივ გაშლილან,
        ვითა წითელი ცეცხლის ალები.
აი, ისინი—ქალაქ თბილისის
        თვალისმომჭრელი ტურფა ქალები.
გულო, იხარე, შენთვის ბევრი რამ
        აქ საამო და მოსალხენია!

დიდება თბილისს! დედამიწაზე
        ეს ედემია, ბაღი შვებისა.
შემოკრებილან მასში გუნდები
        ჰურიების და ფერიებისა.
რა ქება ვუთხრა, როგორ გავაბა
        მზეთუნახავნი სიტყვის მახეში?
თითოეულის ამ ქალთაგანის
        მშვენიერსა და ნათელ სახეში
მოქცეულია შესაძლებლობა
        გავსილი მთვარის მიმსგავსებისა.

აქ იმდენია ნაზი კერპები
        ნარნარის ტანით, წერწეტის წელით,
რომ ღირსეულად ყველას შემკობა
        განუსაზღვრელად იქნება ძნელი.
თითო მათგანი თვით სინაზეა,
        ყველა — გულისთვის დიდი მუქარა.
ამ ერთ ქალაქში ამდენ ალვისხეს
        თავი ნეტავი ვინ მოუყარა,
ჰგვანან ისინი მთვრალ ფარშავანგებს,
        მინანქარია იმათი ყელი.
. . . . . . . . . .

ჭარბი სიტურფე, რითაც მოკვდავი
        სრულყოფამდეა ამაღლებული,

*) მე-18 ს. აზერბაიჯანელი პოეტი.

# ძველი და ახალი

ავტობუსი გაჩერდა. ყავარჯნიანმა კაცმა გაშეშებული მარჯვენა ფეხი ძლივით აათრია კიბეზე და კარიც მაშინვე მოიხურა.

ყავარჯნიანს ადგილი დაუთმეს. მან წინა სკამის საზურგეს ჩაავლო ორივე ხელი, მთელი სიმძიმით დააწვა მკლავებს და მარცხენა ფეხზე ჩაიკეცა. მარჯვენა მთელ სიგრძეზე გაიჭიმა და წინ მჯდომ ქალის ტუფლს დაეტყუპა. ქალის ტუფლი მაშინვე შეინძრა და სიბნელეში მიიმალა.

შეურაცხყოფილმა მანდილოსანმა თვალი მოაცილა ოდნავ შეტალახიანებულ ყელიან ფეხსაცმელს და სწრაფად მოიხედა უკან.

ყავარჯნიანი სარკმლისკენ იყურებოდა. იგი ფიქრებს მისცემოდა. შავი, გაუპარსავი წვერით მოფარული სახე გრანიტივით ბრწყინავდა ელნათურის შუქზე.

მისმა გულგრილობამ უფრო გააბრაზა ქალი, ადგილზე ცმუკვა დაიწყო.

— თავხედი! — ჩაილაპარაკა მან იმ ანგარიშით, რომ გვერდით მჯდომ ყმაწვილს მაინც გაეგონა.

ახალგაზრდამ თავი გაიქნია, მუნჯურად ჰკითხა ქალს, რა მოხდაო.

— შეხედეთ ერთი, რაებს ბედავს! — ჩაიბუტბუტა ქალმა და ყელიან ფეხსაცმელზე მიუთითა.

ბიჭი გადაიზნიქა, ფეხსაცმელს დააცქერდა და მერე ერთბაშად შემობრუნდა ყავარჯნიან კაცისკენ.

— უჰ, ძია ვახტანგ, გამარჯობათ, ძია ვახტანგ! — წამოიძახა ახალგაზრდამ, წამოიწია და კაცს ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

ძია ვახტანგმა გაიღიმა.

— სად იყავი, ბიჭო, ასე გვიან?!

— გამოცდებისთვის ვემზადები, ძია ვახტანგ, ამხანაგთან ვმეცადინეობდი.

— სად აბარებ?

— სამშენებლოზე მინდა.

— მამაშენი გირჩევდა.

— არა, მე თვითონ ავირჩიე, — თქვა ბიჭმა და მეზობელ ქალს ჩასჩურჩულა, — ქალბატონო, ეგ პროტეზია, თქვენ ტყუილად გაბრაზდით.

— პროტეზი?! — ჩაიბუტბუტა ქალმა და ფეხს თვალი ააყოლა, შეპუდრული ლოყები შეუწითლ-შეულამაზდა. მან ხელმეორედ შემოხედა ვახტანგს, სწრაფად შეათვალიერა მისი მზემოკიდებული სახე, მკერდზე ორრიგად გაწოლილი ორდენთა და მედალთა ნიშნები, და შერცხვა. მერე უნებურად, ანგარიშმიუცემლად, მაღალქუსლიანი ტუფლი ისევ მიუახლოვდა ყელიან ფეხსაცმელს.

— გამოცდები როდის გეწყება, რეზო?

— ზეგ ვაბარებ პირველს... თქვენ სად მიბრძანდებით, ძია ვახტანგ?

— მეე? შინ.

— მერე ეს ხომ ორი ნომერი ავტობუსია?

— საბურთალოზე გადავედი, ჩემო რეზო. — გაიღიმა ძია ვახტანგმა.

— ბინა მიიღეთ?

— ბინა კი არა, მთელ სახლს ვაშენებ!

— მართლა? რა კარგია! — წამოიძახა რეზომ.

— ჰო, ეზოს გულისთვის საბურთალო ვარჩიე, ადგილი მომცეს და ვაშენებ. ბაღი მექნება, ეს არის მთავარი.

— უკვე დარგეთ რამე?

— ვაშლი, ატამი, პამიდორიც, მოდი და ნახავ.

— მასალა?

— რა მასალა?

— სახლისათვის მასალა უკვე მოზიდეთ?

— კი, რამდენი ხანია.

კონდუქტორმა გზა გამოიკვლია ვახტანგისკენ და ბილეთის ფული გამოართვა.

— აგურით აშენებთ, ძია ვახტანგ, თუ...

— ჰო, აგურით. ზოგი ახალი იქნება, ზოგი ძველი...

— ახალი და ძველი?

— ჰო, ძველი აგურიც იყო საწყობში, არავის მიჰქონდა, ავილე და მე წამოვიღე.

— მერე რომ დაიმტვრეს?

— არა, ძველი აგური მაგარია, იმდენად მაგარი, რომ პირველ სართულს იმით ვაშენებ.

— ორსართულიანი სახლი იქნება?

ლოყებშეპუდრული ქალი გატვრენილი უსმენდა, მათ ლაპარაკს.

— ორსართულიანი იქნება, თავისი აივნითა და სათავსოებით.

— ზედა სართულს, ალბათ, ახალი აგურით დააშენებთ.

— ასე მინდა.

— რომ ვერ გაუძლოს ქვედა სართულმა? — ისევ დაეჭვდა რეზო.

— ხომ გეუბნები, ძველი აგური მაგარია-მეთქი, ეგ ამბავი მე მკითხე, ყოფილი კალატოზი ვარ.

— კი, მაგრამ სად იყო ამდენი ძველი აგური? — არ ეშვებოდა რეზო.

— აი, თქვენ ქუჩაზე რომ სპორტულ დარბაზს აშენებენ, მის ადგილზე ხომ ძველი დუქნები იდგა.

— იდგა.

— ჰოდა, ისე დაანგრიეს, რომ აგური არ დამტვრეულიყო. ჰიგიენის სახლი გახსოვს რუსთაველზე? ახლა რომ სკვერია გაშენებული... კავშირგაბმულობის სახლი — სამხედრო ქუჩაზე? ასი წლის მაინც იქნებოდა. აგერ ახლა, ანჩისხატის ტაძარს ანახლებენ, გვიან მიშენებულ კედლებს ანგრევენ, რომ პირვანდელი სახე დაუბრუნონ. ჰოდა, ყველგან გროვდება ძველი აგური, ქართული, ბრტყელი აგური. ოღონდ ფრთხილად დაშალე და აგურს ხელმეორედ გამოიყენებ.

— ეგ ჭკვიანურად მოუფიქრიათ, — შენიშნა ბიჭმა.

— რა თქმა უნდა. ახალი აგურიც უნდა გამოსწვა და ძველიც არ დაკარგო. აი, მშენებელი რომ გახდები, ჩემზე უკეთ გეცოდინება. — გაიღიმა ძია ვახტანგმა.

— უჰ, — წამოიძახა უეცრად რეზომ და წამოხტა. — ჩემი გაჩერებაა, ძია ვახტანგ, უნდა ჩავიდე, — აჩქარდა ბიჭი, გადაალაჯა და ლოყებშეპუდრულ ქალს ზედ ტუფლის წვერზე დააბიჯა ქუსლი. ქალმა სიმწრისაგან ტუჩები დაიკვნიტა, ტკივილისაგან წელანდელზე უფრო მეტად შეუწითლ-შეულამაზრდა ლოყები, მაგრამ ხმა-კრინტიც არ დაუძრავს. მოითმინა.

— ნახვამდის, ძია ვახტანგ, აუცილებლად გამოვივლი გამოცდების შემდეგ, ნახვამდის!

— აბა, შენ იცი! — გაამხნევა ვახტანგმა და ახალგაზრდას ხელი დაუქნია.



აქვთ საქართველოს მშვენიერ ქალებს
განგებისაგან მომადლებული.
თუ ცადაქვეყნის მპყრობელის მიმართ
რაიმე კითხვა დასაშვებია,
მაშინ, უფალო, გვარქვი, მიზეზად
ამ სილამაზეს რა დასდებია?
არის უთუოდ ფარული აზრი,
მათ მშვენებაში მოთავსებული!

ვდგევარ ერთ ადგილს გაოცებული,
უძრავი სახით, დაბმულის ენით.
ქვეყნიერების გამჩენო, შენ ხარ
ყოვლისშემცნობი და ყოვლად ბრძენი:
ო, რა თვალწარბი, რა სწორი ცხვირი,
რა მშვენიერი სახეებია,
ასე სიუხვით, ხელგაშლილობით
ამ ქალთათვის რომ გიჩუქებია!
ტანი იმათი სრულყოფილია,
როგორც ქვეყანა — ქმნილება შენი.

. . . . . . . . . . . . . . . . . .

თუ კი ისურვებ, რომ გაიხარო
ტკბილი სიცოცხლის კვლავ მოპოვებით,
მობრძანდი ჩვენთან და ინახულე
ქალაქ თბილისის აბანოები,
მაშინ შეხედავ, რომ აქ სავსებით
მშვიდდება სული, სხეული სტკბება.

ეს იმნაირი ადგილია, რომ
შუქი მთვარისთვის მიუწვდენია;
მას, ვითა მზესა, სხივები თვისი
მთელი ქვეყნისთვის მიუფენია.

იგი მტრისა და ორგულისათვის
არის შავი დღის დამყენებელი,
ხოლო თუ ვინმეს გადაეფარა
ჩრდილი იმისი მაცოცხლებელი,
თავსა გრძნობს ისე, თითქოს მსოფლიო
საბრძანებელად მას დაშთენია.

თარგმანი
კონსტანტინე ჭიჭინაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნოტარიუსი

ძველი ნოტარიუსი, სანდრო კავთიაშვილი, რუსთაველის პროსპექტზე მიჩაქჩაკებს. იგი ისე ადგამს ფეხს, თითქოს ყოველ ნაბიჯზე ეკალი ესობოდეს, თითქოს ემძიმებოდეს ჩხირივით გაწვრილებული სხეულის ტარება. მაგრამ ეს მხოლოდ სიბერის ბრალი როდია. სანდრო ავად იყო. სამი თვე იწვა ოთხკედელშუა გამომწყვდეული. სნეულებამ აიძულა პენსიაზე გადასულიყო, თორემ ჯერ არც აპირებდა სამსახურის მიტოვებას. ჰოდა, ახლა, დიდი ხნის მწოლიარე, თავიდან სწავლობს ფეხს, ზავშვივით იცავს წონასწორობას, რომ არ წაიქცეს. ნელა მიიკვლევს გზას ხალხით სავსე ტროტუარზე, ყოველ ნაბიჯზე ჩერდება და კარგი მხვერავივით ათვალიერებს გარემოს, თითქოს დიდი ხნის შემდეგ დაბრუნებულიყოს თბილისში.

თუმცა ავადმყოფობის დროს ყოველდღე კითხულობდა გაზეთებს, ყოველდღე უსმენდა რადიოს და იცოდა, რომ ქალაქის იუბილესათვის ბევრი რამ კარგი კეთდებოდა. მაგრამ როცა საკუთარი თვალით ნახა ფუნიკულიორის საჰაერო-საბაგირო გზის მშენებლობა და ქვედა სადგურთან თავმოყრილი ხალხი, რომელიც მთაწმინდის ფერდობზე აცოცებულ, მზეზე აელვარებულ ბაგირებს გაჰყურებდა, როცა თავისი ხელით შეეხო ელბაქიძისა და რუსთაველის შემაერთებელი ახალი ქუჩის მოაჯირს, სანდროს უფრო გაუღვივდა ის სურვილი რომელმაც ქუჩაში გამოიყვანა.

საქმე იმაშია, რომ გამომჯობინებისთანავე სანდრომ მოიწყინა, საშინლად მოიწყინა, იმდენად, რომ ხასიათიც გამოეცვალა და ცოლსა და შვილებს ბევრი რამ წვრილმანი აწყენინა. თითქოს ახლა გაახსენდაო, რომ უკვე პენსიონერი იყო და სამსახურში აღარასოდეს წავიდოდა. ჰოდა, აბა როგორ არ მოეწყინა უსაქმო კაცს?

და სანდროს ელანდებოდა ხოლმე თავისი სანოტარო კანტორა, სადაც 30 წელზე მეტი იმუშავა, თავისი სკამი, რომელზეც რბილი ბალიში იდო, და ვიღაც უცნობი, რომელიც ახლა ამ სკამზე იჯდა და სანდროსავით სწერდა, ამოწმებდა, იღებდა ასლებს ათასგვარ მოწმობათა, საბუთთა, სვამდა ბეჭედს... „დედანთან სწორია"... ანდერძები.... ხელწერილები... ასო-ასო შედარება...

სანდრო კი უკვე პენსიონერია.

იგი აღარასოდეს წავა თავის კანტორაში.

დაბერდა, ძლიერ დაბერდა სანდრო, და ახლა ისე ხელშესახებად გრძნობს წელთა სიმძიმეს, თითქოს წუთები კენჭებივით იყრებოდეს მის სხეულში, თანდათან ავსებდეს და ამძიმებდეს. მაგრამ სანდრო ჯერ კიდევ ფეხზეა, ჯერ ისევ ცოცხალია.

ეს ამბავი მან წუხელ მოიფიქრა.

სანდრომ უნდა იყიდოს ტკიცინაფურცლებიანი, სქელი რვეულები. ამიტომ გამოვიდა დღეს ქალაქში.

რა თქმა უნდა, შეეძლო შვილიშვილისათვის დაევალებინა რვეულების ყიდვა, ორ წუთში მოურბენინებდა, მაგრამ ეს ამბავი არავინ არ უნდა იცოდეს, ჯერჯერობით მაინც ვერავინ ვერ უნდა გაიგოს. მერე, როცა მოკვდება, ოჯახის წევრები ნახავენ, და თუ სანდრო ამ საქმეს ბოლომდე ვერ მიიყვანს, შვილი ან შვილიშვილი დაამთავრებს.

ორმა ახალგაზრდა ყმაწვილმა ხელი შეაშველა მოხუცს, რომელიც ამაოდ ცდილობდა მაღაზიის კიბეზე ასვლას.

ტაქსშიც შოფერმა შესვა სანდრო და მანქანა ვაკისკენ გაფრინდა.

სანდროს გაზეთში გაეხვია ახალნაყიდი სქელი რვეულები და გვერდით მიჯდომოდა.

მანქანამ უნივერსიტეტის შენობას ჩაუარა და მერე თანდათან უმატა სვლას.

ძველად აქ ტრიალი ველი იყო. ახსოვს სანდროს, ქალაქიდან ვაკეში რომ დადიოდა კაკბებზე სანადიროდ. ნადირობის მოტრფიალემ და ბუნების მოყვარულმა ვაკეში აიშენა პატარა სახლი. ეს ერთ-ერთი პირველი შენობათაგანი იყო ამ მიდამოებში. მერე დაიძრა ქალაქი, დაედევნა სანდროს სახლს, ზედ მოადგა, გადაალაჯა და ახლაც მიდის და მიდის, მიალაჯებს თავშეუკავებლად. დღეს სანდრო ისევ ქალაქის ცენტრში ცხოვრობს.

მიქროდა ტაქსი და ბერიკაცის მოგონებები კრიალოსანის კენჭებივით მეორდებოდნენ.

„თუნდაც მინახონ ეს რვეულები, რას მიხვდებიან?" გაიფიქრა სანდრომ, როცა ეზოს ჭიშკარი შეაღო და ფანჯარაში თავის შვილიშვილს მოჰკრა თვალი, ბავშვი გატაცებით კითხულობდა რაღაც წიგნს.

სანდრომ თავისი ოთახის კარი უხმაუროდ ჩაკეტა. ჩაკეტა თუ არა და გული აუფანცქალდა. უკვე შეიძლებოდა სურვილის განხორციელება.

წიგნის თარო შეათვალიერა, იპოვნა ის ყვითელყდიანი წიგნი, რომელზეც ოქროს ასოებით გამოეყვანათ სათაური.

ქაღალდ-კალამი მოიმარჯვა ძველმა ნოტარიუსმა, სკამზე პატარა, რბილი ბალიში დასდო.

გაშალა წიგნი, გაშალა რვეული და დაიწყო გადაწერა.

პირველი სიტყვა, შემდეგ მეორე.

პირველი სტრიქონი, შემდეგ მეორე.

პირველი ტაეპი, მეორე ტაეპი, მესამე...

ლამაზი, მიჯრით მიწყობილი ასოებით წერდა, ნაბეჭდს რომ ჰგავს, მაგრამ ცოცხალი არსებებივით რომ შემოგცქერიან ფურცლებიდან.

ძველად მრავალი გადამწერი ჰყავდა ამ წიგნს, ახლა აღარ იწერენ, რაც ეს სტამბა შემოვიდა, ვინღა გადასწერს. ეს წიგნი ქართველი ხალხის სული და გულია, ქართველი ხალხის აზრი და ხაუნჯი.

უეცრად მოხუცმა წერა შესწყვიტა და წიგნს ჩააშტერდა, რამდენჯერმე გააყოლ-გამოაყოლა თვალი ერთ სტრიქონს. „ჰმ, შეცდომა დაუშვიათ, ასო გამორჩენიათ, — გაიფიქრა მან, — ესეც შენი სტამბა, ამ წიგნში შეცდომის დაშვება განა სირცხვილი არ არის?"

„ფარ-შიმშერისა" ნაცვლად, ეწერა „ფარ-შმშერისა", „ი" გამორჩენოდა ასოთამწყობს.

ერთბაშად დაიბნა ძველი ნოტარიუსი; შეცდომა რომ გაასწოროს და ისე გადასწეროს, ეს ხომ... ჰმ, ეს ხომ... უბრალოდ, არ შეიძლება... კანონი არ იძლევა ამის ნებას, ასლი დედანთან სწორი უნდა იყოს...

რამდენჯერმე აიღო კალამი და ისევ დადო, ვეღარ გადაწყვიტა როგორ მოქცეულიყო.

ბოლოს მოიფიქრა და შეეტყო, რომ ნასიამოვნები დარჩა თავისი საზრიანობით.

წამოდგა, თაროდან წიგნები ნელ-ნელა გადმოალაგა და უკან გადანახული „ვეფხისტყაოსნის" სხვა გამოცემა გადმოიღო.



სამედ ვურღუნი

## ნერილი შიქასთას

ჩემო შიქასთა, ისევ ვიგონებ
დღეებს განვლილს და დღეებს წინანდელს,
გულში დამჭრეს და რაღა ვიღონო,
ვიგონებ, ვისაც გული მივანდე...

ყური დამიგდე! — ესდენ წვალება
რად მომისაჯა ბედმა, ნეტავი,
სატრფოს დასჩემდა ფერიცვალება,
აღარ ვარ კაცად შესახედავი.

რა მემართება, თვითონ არ ვიცი,
ძილშიც მაბოდებს სატრფოს სახელი,
სიყვარულისთვის ულვთოდ დავიწვი,
შემომეპარა გულში ნაღველი.

ამდენ ხანს ცალკე ყოფნა გვეყოფა,
დროა — სიშორის გავხსნათ კედელი,
ნეტავ, გზაზე ვინ გადაგველობა,
ვინ იყო ჩემი ბედის მჭედელი.

სიყვარულს სატრფოს დუმილი ერთვის
და არ მასვენებს მისი მშვენება,
სატრფო სულ ავის მდომია ჩემთვის,
მე არ მშურს მისთვის ბედნიერება.

მისი გულწრფელი ღიმის მდომელი
ვიწვი, რად შემხვდა, ნეტავ ასეთი,
რად გახდა ასე მიუწვდომელი,
რად დამატყვევა იმ სინაზეთი.

მას აკრთობს ხოლმე დანახვა ჩემი,
ანგელოზია თაფლისტუჩება,
დურაჯის მსგავსი მიმოხვრა შვენის...
ნეტავ, ამდენ ხანს რად მეურჩება.

ჩემო შიქასთა, მეგობრად გპოვე,
რომ გესაუბრო, გული კვლავ მერჩის,
მითხარი რამე, მიშველე, თორემ
ლამის გამისკდეს ეს გული მკერდში.

აზერბაიჯანულიდან თარგმნა
**ლეილა ერაძემ.**

# ერთი თბილისელთაგანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, სადაც ქუჩის ფანარი არ ენთო და იშვიათად გამოივლიდა ეტლი, თეთრი სახლი იდგა. ორშაბათ საღამო იყო. ნიკოლოზ დიასამიძე და ნინო ბებუთოვი გულღიად ხვდებოდნენ სტუმრებს...

დარბაზის ერთ კუთხეში ნარდს თამაშობდნენ, იქეთ ცეკვავდნენ, ხოლო ერთგან სავარძლებში მოთავსებულიყვნენ აკაკი წერეთელი, ვანო მაჩაბელი, ტასო ბაგრატიონი და ანასტასია წერეთლისა. ისინი ხმადაბლა საუბრობდნენ. უეცრად ვანოს მოეკიდა ცეცხლი.

— ავიღოთ სიტყვა „წყალი", — თქვა მან, წინ გადმოიხარა, სავარძლის კიდეს იდაყვით დაეყრდნო და ხმას აუწია. — აი, მისგან ნაწარმოები სიტყვები: „მოწყალება", „შეწყალება", „ნიშანწყალი", „ენაწყლიანი" და სხვა უამრავი. როგორ ღაღადებენ ისინი ჩვენს ეროვნულ უბედობაზე, რა შორს გადავყავართ მათ, როგორ ხსნიან ქვაბთა საიდუმლოებებს: მუდამ ციხეებში და გამოქვაბულებში შემწყვდეული ქართველი კაცი წყალს იყო დანატრებული, წყალი უჭირდა, წყალი სიცოცხლის ფასად უჯდებოდა და ამიტომ ყველაზე ძვირფასს და სანუკვარს „მიწა-წყალი" უწოდა, ხოლო ღვთის ან ხელმწიფის ნაბოძარს „მოწყალება", მეფეს, პირველ კაცს ქვეყანაზე, „მოწყალეო ხელმწიფეთი" მიმართა, „უწყალო სახელი" კი... ეჰ, ქართველი კაცის გულია ჩადებული ამ სიტყვაში.

— რაღა, შორეულ წარსულში მიდიხარ, ჩემო ვანო, გადახედე დღევანდელ თბილისს და... — დაიწყო აკაკიმ, მაგრამ ნიკომ სტუმრები მაგიდასთან მიიწვია.

ეს იყო დიდი ხნის წინათ, მაშინ ლევანი პატარა ბიჭი იყო. დარბოდა ოთახებში, გვიან ღამემდი არ იძინებდა, ყველას ყურადღებით უსმენდა და მუდამ მოუთმენლად მოელოდა ორშაბათებს.

მე ერთი საუკუნის თბილისური ამბები ვიცი, აბა რომელი ერთი გიამბო — ღიმილით მეუბნება ლევანი, — დანარჩენი თოთხმეტი საუკუნე წიგნებში წაიკითხე და თბილისი გეცოდინებაო.

მართლაც, ბევრი საინტერესო ამბის მოწმეა იგი. მამამისი ნიკოლოზ დიასამიძე მე-19 საუკუნის თბილისის მოწინავე ადამიანთა რიგებში ტრიალებდა. მისი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ გიორგი წერეთელი, აკაკი წერეთელი, სოფრომ მგალობლიშვილი, ივანე მაჩაბელი და სხვები. ამ ადამიანებმა ასწავლეს მას მშობლიური მხარის სიყვარული, წიგნის სიყვარული, მეცნიერების სიყვარული.

მალე გაირბინეს გიმნაზიის მხიარულმა წლებმა. ლევანი თბილისელ მეგობრებს დაემშვიდობა და დიდი ოცნებებით პეტერბურგს გაემგზავრა. უნივერსიტეტის დამთავრება ვერ მოასწრო. სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს და უნივერსიტეტიდანაც გამორიცხეს. შემოტრიალდა ცხოვრების ჩარხი. ფუფუნებაში გაზრდილი ჭაბუკი მძიმე პირობებში ჩავარდა...

ციხე... ციხის ერთადერთ ფანჯარასთან ახალშერთული მეუღლის ტირილი... გაუთავებელი დაკითხვა... ისევ ციხე... ფიქრი... ცრემლები..,

უბედურება უბედურებას დაემატა და ჯერ მამის სიკვდილის ამბავი შეიტყო ლევანმა და შემდეგ დედისა...

1904 წელი... ლევანი თბილისში ჩამოდის.

სათავადაზნაურო ბანკში არქივის მოწყობა დაავალეს. ბანკის დაარსებიდან მოყოლებული უამრავი მასალები ეყარა სარდაფში, მტვერში და ნაგავში. იჯდა ლევანი ასუფთავებდა, აწყობდა, წერდა, ფიქრობდა... არქივში დიდხანს არ დარჩენილა, იქიდან გაზეთ „განახლებას" რედაქციაში გადავიდა სამუშაოდ.

კითხულობდა, სწავლობდა, რამდენიმეჯერ მიმართა პეტერბურგს თხოვნით აღედგინათ უნივერსიტეტში, მაგრამ როგორც პოლიტიკურ დამნაშავეს, ყოველთვის უარი უთხრეს. ჯერ ყოყმანობდა, შემდეგ ამხანაგებმაც ურჩიეს და გადაწყვიტა. რვაასი მანეთით წავიდა შვეიცარიაში და სწავლა განაგრძო ჰიდროელექტრო ინსტიტუტში.

გაიარა ხუთმა წელმა... ისევ თბილისი... ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა, ბრძოლა დიდი საქმეებისათვის!..

ლევან დიასამიძე ერთი იმათთაგანია, ვინც თბილისს აშენებდა, ვისაც თავისი ჭკუა და გონება, ძალა და ენერგია, მთელი თავისი სიცოცხლე სანთელივით დაუღვენთავს წვეთწვეთად და თბილისის კედლებში დაუტანებია.

შვეიცარიიდან ჩამოსვლის პირველ დღეებიდანვე ჩაება ლევანი საზოგადოებრივ საქმეებში.

უამრავი სამუშაო ჰქონდა, ნავთლუღში სასაკლაოს მშენებლობას ამთავრებდნენ, ქალაქის ტრანსპორტი ბელგიელებმა თვითმმართველობას გადასცეს. მთელი ტრამვაი თავისი სახელოსნოებით და სადგურებით იოსებ ვასაძეს და ლევან დიასამიძეს უნდა მიეღო. საჭირო იყო ფრთხილი და დაკვირვებული მუშაობა. მერე რამდენი გეგმები ჰქონდა! ბევრი რამ უგულოდ და უხეიროდ იყო გაკეთებული. ხედავდა და ვერ ითმენდა. ფუნიკულიორის ამბავი აწუხებდა. შესანიშნავად იყო გაკეთებული ფუნიკულიორის ზედა პლატო, მაგრამ ქალაქიდან მისასვლელი არ ჰქონდა. მთაზე წყალი არ იყო აყვანილი, ქუჩები ქუჩებს არ გავდა. ლევანი ან მშენებლობაზე იყო, ანდა სახლში იჯდა და ხაზავდა, პროექტებში და წიგნებში იყო ჩაფლული. ახსოვს ერთხელ მოუსვენარი ია კარგარეთელი ესტუმრა. „სოფელ ერთაწმინდაში ხალხს წყალი არა აქვს და გავუყვანოთო". არ დაუყოვნებია ლევანს, იასთან ერთად დარაზმა ერთაწმინდელები, დააყენა სამუშაოზე და თვითონ ისევ თბილისში დაბრუნდა. ერთხელ კიდევ ასევე უფასოდ სოფელ ბექამს გაუწოდა დახმარების ხელი.

შემდეგ რევოლუცია მოხდა... განახლების სიო დაირხა თბილისში. აუცხადდა ლევანს ოცნება. სწრაფად იცვალა ქალაქმა სახე, ხარაჩოებში ჩაჯდა თბილისი. ლევანს ნატახტარის წყაროების გამოკვლევა დაევალა, მალე მისი საერთო ხელმძღვანელობით ინჟინრები ნიკოლოზ სუხიაშვილი და არჩილ ბილანიშვილი შეუდგნენ ქსელის პროექტის დამუშავებას. სიძნელეები? რა თქმა უნდა, იყო სიძნელეები: აი, კარგად მიდიოდა პროექტის საქმე, წყალსადენის მილი ზემო ავჭალამდის მოიყვანეს მაგრამ... აქ ვერ არის საქმე კარგად, 11 მეტრი ძირს უნდა ჩავიდნენ მიწაში, ეს ხელს არ აძლევს ლევანს, არ ვარგა. შეჩერდნენ და შეჩერდნენ, ჯიუტობს ამოცანა, წინ ვერ მიდიან. ერთი ღამე გაათენეს, მეორეც.

— მოდი, წავიდეთ და კიდევ ერთხელ დავათვალიეროთ ის ადგილი, გული მეუბნება, წასვლაა საჭირო.

ნიკოლოზი და არჩილი უხმოდ მიყვნენ ლევანს. დაათვალიერეს.

— რა უნდა ვნახოთ აქ ახალი, ლევან, ვხედავთ — მტკვარია, ფერდობი, მინდორი, მეტი არაფერი, ტყუილად ვკარგავთ დროს, წავიდეთ! — თქვა არჩილმა, როცა ერთი და იგივე ადგილას რამდენიმეჯერ გაიარეს.

— მოითმინეთ, აი ეს რა არის, ეს არხის კვალი უნდა იყოს და ეს არის რომ არ ვცილდები, აბა კარგად დააკვირდით?

— ეშმაკსაც წაუღია, რა ვიცი რა არის! — თქვა ბრაზით არჩილმა, რომელსაც უძილობისა და დაღლილობისაგან მოთმინება დაკარგოდა და ნერვიულობდა. იმ საღამოს დიდხანს იქექებოდა ლევანი წიგნებში და... ამოიხსნა ამოცანა! თამარ მეფის დროინდელი არხის კვალი აღმოჩნდა. მეორე დილით ყველას გატაცებით უყვებოდა, საკითხი გადაჭრილია, არ არის გათხრა საჭიროო. გაიკვირვეს.

— კაცო, რვა საუკუნე თუ უბრალო არხმა გაძლო იმ ადგილებში, ჩვენი ბეტონის მილები ვერ გასძლებს! — ხმამაღლა, მგზნებარედ ლაპარაკობდა ლევანი. და გარშემოხვეულ ინჟინრებს უხაზავდა, თუ როგორ გაივლიდა ზემო ავჭალაში წყალსადენი.

მალე პროექტირება დაამთავრეს და მშენებლობას შეუდგნენ. კარგი ინჟინრები ჰყავდა თანაშემწეებად, ესენი იყვნენ: გიორგი ხიზანიშვილი, გიორგი ვარაზაშვილი და ნიკოლოზ სუხიაშვილი.

1933 წელს თბილისელებმა პირველად გახსნეს ონკანი და იგემეს ნატახტარის ცივი წყალი. სხვა სიხარული ლევანს არ უნდოდა, განხორციელებულ ოცნებას შესცქეროდა და ხარობდა.

1934 წელს ფუნიკულიორზეც აიყვანა წყალი. ვებერთელა ფოლადის მილებში დიდი წნევა განავითარა (35 ატმოსფერო) და პლატოზე ამოჩქეფა წყალმა. მაშინ ეს იყო პირველი მაღალწნევიანი წყალსადენი. ზოგი სკეპტიკურად უყურებდა ამ ამბავს, მაგრამ ლევანი მათ ყოველთვის უმტკიცებდა, გაბედულება გამარჯვების საწინდარიაო. და აი, მას შემდეგ რა ხანია და ერთხელაც არ დაჭირვებია იმ მილებს შეკეთება. შემდეგ შადრევნებით დაამშვენა თბილისის ქუჩები და ფუნიკულიორი. ლევან დიასამიძე ახლა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში წყალსადენ-სანიტარული ტექნიკის კათედრის გამგეა. ახალგაზრდების აღზრდის საქმეს ემსახურება. მისი აღზრდილები უკვე დოცენტები და პროფესორები არიან.

სხვა დროს ვინ იცის თბილისელებს რამდენჯერ უთხოვიათ ღმერთისთვის წყალი, რამდენჯერ ამაოდ უბანავებიათ მტკვარში ხატი, შეუწირავთ ზვარაკი... საბჭოთა პირობებში ჩვეულებრივმა, სულ უბრალო კაცმა მოიყვანა წყალი.

ნოდარ წულეისკირი

# რუსთაველის პროსპექტი

კოტე ჯავრიშვილი

რუსთაველის პროსპექტი, ლენინის მოედნიდან — რუსთაველის მოედნამდე და ოციოდე ქუჩა ორივე მხრიდან რომ ერთვის მას, შეადგენენ დედაქალაქის გულს, რომელშიაც თავმოყრილია რესპუბლიკის უმთავრესი სახელმწიფო, ადმინისტრაციული, კულტურული და საზოგადოებრივი დაწესებულებები.

...და, შეიძლება, თბილისის ეს მთავარი ქუჩა ყველაზე ნაკლებადაა „თბილისური", იმიტომ, რომ დილიდანვე, როდესაც მოწაფეებისა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების ნაკადი ჯერ კიდევ არ დამწყდარა, ქუჩაში დაინახავთ ადამიანებს რესპუბლიკის ყველა კუთხიდან:

— სახელმწიფო ტექნიკური კომიტეტის გამოძახებით ჭიათურელი და ტყიბულელი ინჟინრების ჯგუფი ჩამოსულა საბაგირო გზების განვითარების პერსპექტიული დაგეგმვის რესპუბლიკური კომისიის სხდომაზე;

— მესტიის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელს ჩამოუტანია ახლად ნაპოვნი უძველესი ხელნაწერი და კონსულტაციისათვის მიაქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პალეოგრაფიის ინსტიტუტში;

— ჩორდის ბარიტის მაღაროთასამმართველოს მთავარ ინჟინერს საწარმოო გეგმა მოაქვს დასამტკიცებლად სახალხო მეურნეობის საბჭოში.

— თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ახალი წლის სარეპერტუარო გეგმა კულტურის სამინისტროში;

— სამტრედიელ მემანქანეს ელექტროენერგიის დაზოგვის რაციონალიზატორული წინადადება ჩამოუტანია, ხოლო ზესტაფონელ მევენახეს ყურძნის მოსავლის გადიდების გეგმები.

— აქეთაა მიმართული ტყიბულელი მაღაროელის თუ ბრეთელი მებაღის, თუში მწყემსისა თუ ქობულეთელი მეჩაიის ყურადღება; — აქ გზავნის მონადირე რაჭის მთებში ნაპოვნი მადნის ნიმუშს თუ პანკისელი ქისტი ხვნის დროს მოპოვებულ უცხო რამ ქურჭელს, ხახმატელი მოწაფე თავის პირველ ლექსებს თუ რუსთაველი მებრძმედე ბრძმედის წარმადობის გადიდების ღონისძიებებს... და, შეიძლება, ერთი ყველაზე უშესანიშნავესი და ახლოს მანიშნებელი გარემოება ის იყოს, რომ რუსთაველის პროსპექტზე მიმავალ ათასობით ადამიანში ვერ გამოარჩევ ამ „ჩამოსულ ხალხს", ვერ გამოიცნობ შორეულ კუთხიდან მოსულ „პროვინციელებს", ანდა რითი უნდა გამოარჩიოთ — ტანსაცმელით თუ უცხო ადგილას ჩავარდნილ სოფლელის დაბნეული და გაცეცებული გამომეტყველებით?

ვერც გამოარჩევთ და ნურც ეცდებით. საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულისათვის რუსთაველის პროსპექტი ისეთივე ახლობელი და ნაცნობია, როგორც მისი მშობლიურ ქალაქის თუ სოფლის მთავარი ქუჩა (ხშირად მასაც რუსთაველის ან თბილისის სახელი ქვია), რადგან რუსთაველის პროსპექტი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქის მთავარი ქუჩაა და საქართველოს ყოველი მოქალაქე პატრონის გამომცდელი თვალით უყურებს თავისი ქუჩის ყოველ ახალ შენობას, ძეგლს, ბაღსა თუ მაღაზიას.

სიამაყის გრძნობით გაივლის ხოლმე საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე ამ ქუჩაზე, რომელთანაც დაკავშირებულია უკანასკნელი საუკუნე-ნახევრის საქართველოს ისტორიის მრავალი შესანიშნავი ამბავი და მოვლენა.

ბევრი ამბის მომსწრეა რუსთაველის პროსპექტი და მას, ვისაც უნდა გაიხსენოს და აღადგინოს ეს ამბები შორს არ მოუხდება წასვლა. აქვეა — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, სადაც დაცულია საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის უტყუარი მოწმეები — ხელნაწერები და ნივთები, აქვეა ლენინის სახელობის მუზეუმის საქართველოს ფილიალი, რომელშიაც თავმოყრილია ქართველი ხალხის რევოლუციური ბრძოლის საბუთები.

მაგრამ არა მარტო მუზეუმებში დაცული ნივთები, არამედ თვით შენობები და ისტორიული ადგილები მოწმობენ ამ გარდასულ ამბებს. გაივლით საქართველოს უძველესი სკოლის, პირველი სკოლის გვერდზე და თქვენ თვალწინ აღსდგება მრავალი თაობა შესანიშნავი ქართველი ადამიანებისა. აქ სწავლობდნენ გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და პეტრე მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილი და კოტე მარჯანიშვილი...

## ქართული კულტურის ბუდე

აქ, რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში, იმ შენობაში სადაც დღეს გრიბოედოვის სახელობის თეატრი და ილია ჭავჭავაძის სახელობის კლუბია მოთავსებული, იჩეკებოდა ახალი ქართული კულტურის თითქმის ყველა კერა.

ამ ასიოდე წლის წინათ როდესაც თბილისი, ან ყოველ შემთხვევაში „ახალი ქალაქი" — არაფრით განსხვავდებოდა რუსეთის იმპერიის რომელიმე სხვა დიდ საგუბერნიო ქალაქისაგან, იყო სამხედროებისა და სახელმწიფო მოხელეების ქალაქი, მხოლოდ აქ, ამ შენობაში, სადაც თავი მოიყარეს ქართული კულტურის პირველმა დაწესებულებებმა — ქართულმა თეატრმა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, ქართული წიგნის პირველმა მაღაზიამ და სტამბამ, გამომცემლობამ და რედაქციებმა, მხოლოდ აქ გაისმოდა ქართული სიტყვა.

აქ, რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში იყო სათავე ქართული კულტურის იმ პატარა ნაკადისა, რომელიც შემდეგ მოდიდდა, გაფართოვდა, ათას ტოტად განშტოვდა და მთელ საქართველოს მოეფინა. იოსებ გრიშაშვილმა ამ სახლს „ქართული კულტურის ბუდე" უწოდა და მართლაც, ამ ბუდეში იბარტყა მრავალმა ქართველმა მოღვაწემ, რომელთა ნიჭით და უნარით, შრომითა და გარჯით ჩაეყარა საფუძველი ქართულ თეატრსა და მუსიკას, ლიტერატურას და მეცნიერებას.

რუსთაველის პროსპექტი ინახავს მრავალი ქართველი მოღვაწის ნატერფალს. აქ გაუვლიათ ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს, ნიკოლოზ ბარათაშვილს და ვაჟა-ფშაველას. და ასე შორსაც რომ არ გავხედოთ, უკანასკნელ თაობათა მეხსიერებაში ჯერ ცოცხალია სახეები შესანიშნავი ქართველი მოღვაწეებისა, რომელთაც გაუვლიათ რუსთაველის პროსპექტზე და მათი კვალი დღესაც ამჩნევია ამ ფილაქანს.

... აქ, ამ ქუჩაზევე ჰპოვა საუკუნო მოსვენება ქართული კულტურის მრავალმა მოღვაწემ — და ქართული მიწა ინახავს აი, იქ, ოპერის ბაღში ვანო სარაჯიშვილს, ზაქარია ფალიაშვილს, კოტე მარჯანიშვილის ნეშტებს.

რუსთაველის პროსპექტი მოწმეა მრავალი ამბის... აი, აქ მამადავითის მთის ციცაბო კალთიდან დაქანებული ქუჩა რომ უერთდება პროსპექტს, ბრწყინვალე პოეტი და ოფიცერი ალექსანდრე ჭავჭავაძე ცდილობდა დაფეთებული ცხენების შეჩერებას და თვით გახდა მათი მსხვერპლი... ამ ქუჩას მისი სახელი ჰქვია... აი, აქ ვაჟთა პირველი გიმნაზიის შენობაში, გაისმა სროლის ხმა და ვერაგულად მოკლეს შესანიშნავი ქართველი მოღვაწე რევოლუციონერი შიო ჩიტაძე... ამ ქუჩას ახლა მისი სახელი ჰქვია...

ქუჩების სახელები, თითქოს მატიანეა ქართველი ერის ისტორიისა — ლენინის მოედანს უერთდებიან ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის ქუჩები, მერე — რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში — ნატო ვაჩნაძის, ანტონ ფურცელაძის, ჯორჯაძის, ჯორჯიაშვილის, ბესიკის ქუჩები...

შეიძლება ჩამოითვალოს ათეული და ასეული ფაქტი, რომლითაც რუსთაველის პროსპექტი დაკავშირებულია ქართველი ხალხის ისტორიასთან, მის რევოლუციურ ბრძოლასთან, კულტურასთან, მაგრამ რუსთაველის პროსპექტი იწვევს არა მარტო წარსულის მოგონებებს...

... ჩვენ მივდივართ ჭადრებით დაჩრდილულ ქუჩაზე და ვიცით რომ ყოველ ამ შენობაში სისხლჭარბი სიცოცხლე და შემოქმედებითი შრომა დუღს. აი, ამ, ვრცელ სასახლეში, სადაც მეფის ნაცვალი ცხოვრობდა — დღეს პიონერთა სასახლეა, და მომავალი ხელოვანები და მეცნიერები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოღვაწეები იზრდებიან.

აი, ამ საოპერო თეატრის შენობაში სახელმოხვეჭილი მოცეკვავე და ქართული ბალეტის შემქმნელი ვახტანგ ჭაბუკიანი ძერწავს თავის შესანიშნავ „გაცოცხლებულ სკულპტურებს", ხოლო იქ, ამ ფართოფანჯრებიან, ბეტონის შენობაში 30 წელია შრომობს ქართველი მბეჭდავი ალექსი ბეითრიშვილი, რომელმაც იმდენი წიგნი და გაზეთი დაბეჭდა, რამდენიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში არ ეღირსებოდა ხოლმე ძველ ქართველ გამომცემლებს.

## ახალი თუ განახლებული

ახლა უკან დავიხიოთ და ამ ქუჩის ადრინდელი ისტორიაც გავიხსენოთ.

ვახუშტის მიერ 1735 წელს შედგენილ თბილისის ცნობილ რუკაზე უკვე დამჩნეულია გზა, რომელიც შემდეგში რუსთაველის პროსპექტად იქცა. ეს არის „კოჟრის კარიდან" — ქაშვეთის ეკლესიისაკენ მიმავალი გზა. ამ გზაზე ვახუშტის ნაჩვენები აქვს — კალოუბნის ეკლესია (ახლანდელ კინოთეატრ — რუსთაველის ადგილას) და სულ გარეუბნის განაპირას მდგარი — ქაშვეთის ეკლესია.

ამ გზის გაყოლებით იქ, სადაც დღეს კავშირგაბმულობის სახლია, აღნიშნულია ციციშვილის სახლი, ხოლო პიონერთა სასახლის და საქართველოს მუზეუმის ადგილას არაგვის ერისთავის სახლი. მთელი ტერიტორია რუსთაველის პროსპექტიდან — მტკვრამდე გარეუბნად იწოდებოდა და უკვე ვახუშტის დროს დასახლებული იყო. ჩრდილოეთიდან გარეუბანს საზღვრავდა კომუნარების ბაღის ადგილას არსებული „ასპარეზი", რომლის ადგილას 1820 წელს დაიწყეს ბაღის გაშენება. შემდეგში, მე-XIX საუკუნის პირველივე ათეული წლებიდან ამ ახალი გზის გაყოლებით დაიწყო მშენებლობა და ქალაქის ცენტრმა — ახალ მმართველობის აქ დამკვიდრებასთან დაკავშირებით — ძველი ქალაქიდან, აქ გადმოინაცვლა.

ეს გზა — გახდა ის ბუნებრივი ღერძი, რომლის გაყოლებითაც ვითარდებოდა ქალაქი ჩრდილოეთის მიმართულებით.

ამგვარად, მთელი ეს რაიონი სულ ერთი საუკუნის თუ საუკუნე-ნახევრის დასახლებულად ჩანს, მაგრამ საგულისხმოა თბილისის მკვლევართა და კერძოდ ვახტანგ ბერიძის ის მოსაზრება, რომ ვახუშტის დროინდელი თბილისი, მხოლოდ მრავალ დარბევათა შედეგად მოსახლეობა შემცირებული და დაკნინებული ქალაქია, რომელმაც უკვე XV-XVI საუკუნეში დაკარგა დედაქალაქობა.

„XVIII საუკუნის დასაწყისის თბილისი, რომლის მოსახლეობა, ტურნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი...

ყველა, ვინც გაუვლის გვერდზე, პატივისცემით შეხედავს სადა, მაგრამ საზეიმოდ მორთულ შენობას. ბოლნისის ტუფით — „მზიური ქვით" მოპირკეთებულ ამ შენობაში მეცნიერები სწავლობენ ჩვენი პარტიის ისტორიას.



ოცდაათი წელიწადია რაც ალექსი ბეითრიშვილი დადის რუსთაველის გამზირზე და № 42 სახლში შედის, სადაც გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას" სტამბაა მოთავსებული და ყოველ საღამოს სახლში დაბრუნებისას ხედავს როგორ ეშურებიან ადამიანები მისი ხელით დაბეჭდილი გაზეთის შეძენას — გაზეთისა, რომელშიაც მათივე საქმე და გარჯაა ასახული და ხანდაზმულ მბეჭდავს ჟნებლიეთ ელიმება—როდესაც თავისი შრომის ნაყოფს ხედავს.



თბილისის ოპერის სცენაზე 1896 წლის შემდეგ მრავალი ათასი საოპერო და საბალეტო წარმოდგენაა დადგმული, მრავალმა ათასმა მაყურებელმა მოისმინა და ნახა შესანიშნავი ოპერები და ბალეტები — სახელგანთქმულ თეატრისა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის, ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისა



ამ გოგონას ასე გატაცებით რომ ასრულებს მხატვრულ ვარჯიშს — ვერც წარმოუდგენია რომ ამ დარბაზში მრავალი წლების განმავლობაში „საქართველოს მთავარმმართებელის", მერე „მეფის ნაცვლის" და კიდევ მრავალ „მმართველთა" სასახლე იყო... მის ახლანდელ მკვიდრებს — თბილისის პიონერებს და მოსწავლეებს აღარც ახსოვთ მათი არსებობა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ რუსთაველის პროსპექტი — საქართველოს მთავარი ქუჩაა — მისი გულია, ეს ამაყი შენობა — მისი ტვინია. აქ არის მოთავსებული ხელისუფლების და მმართველობის ორგანოები — უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მთავრობა — მინისტრთა საბჭო





ვ. ი. ლენინის ძეგლი ლენინის მოედანზე.



ფატიმა — თ. კოკოევა

# ფატიმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ლენინის ორდენოსანმა კინოსტუდიამ „ქართულმა ფილმმა" გამოუშვა ახალი მხატვრული ფილმი „ფატიმა", რომელმაც მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ფილმი შექმნილია ოსური ლიტერატურის კლასიკოსის კოსტა ხეთაგუროვის პოემის მიხედვით. ფილმის დამდგმელ კოლექტივს რეჟისორ ს. დოლიძის მეთაურობით (მასვე ეკუთვნის ფილმის სცენარიც) ყველაფერი გაუკეთებია იმისთვის, რათა მაღალმხატვრულად აესახა მოძმე ოსი ხალხის დუხჭირი წარსული.



ჯამბულათი — ო. მეღვინეთუხუცესი



თავადი — ვ. თხაპსაევი



კადრი ფილმიდან

იბრაჰიმი — გ. ჭოხონელიძე



ჯამბულათი ბავშვობისას — ზაზა გარეჩილაძე



ფორს თუ დაუჯერებთ 20.000 სულს არ აღემატება, შეუძლებელია ისეთივე იყოს თავისი ტერიტორიით, როგორც თამარის „სამეფო“, „დიდათსახელგანთქმული ქალაქი ტფილისი“ იყო და მართლაც, ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ XII-XIII საუკუნეში მაინც, ტფილისის ფარგლები გაცილებით შორს იყო გაწეული მტკვრის აყოლებით, ვიდრე ვახუშტის დროს: თამარის ისტორიკოსთა თხზულებებში გარკვევით ჩანს, რომ მაგალითად, დიდუბის ველი არც ისე დაშორებული ყოფილა ქალაქის კარს და, მაშასადამე, არც ქაშუეთი და არც ე. წ. „ლურჯი მონასტერი“ მდებარეობდა ქალაქ-გარეთ“.

ამგვარად, ეს გზა, რომლის გაყოლებით გაჩნდა ახალი დასახლება და შემდეგში რუსთაველის პროსპექტი გაშენდა, მხოლოდ განახლებული ტრასაა ოდესღაც არსებული ქალაქის მთავარი მაგისტრალისა.

ასეა თუ ისე, მეთვრამეტე საუკუნის დასასრულისათვის, აქ უკვე საკმაოდ ხალხმრავალი უბანი იყო და უკვე აღინიშნებოდა ამ ახალი (თუ ხელახალი) დასახლების ღერძი.

1785 წელს პიშჩევიჩის მიერ შედგენილ გეგმაზე რუსთაველის პროსპექტის ხაზზე ნაჩვენებია „Chemin pour aller en Russie“ ხოლო ზოგიერთ ქართულ წყაროებში იგი „სარუსეთო გზად“ არის შერქმეული.

შემდეგში მას „მოსკოვის გზას“ უწოდებდნენ, ხოლო 1841 წელს გენერალ გოლოვინის პროსპექტი ეწოდა (ასეა იგი ნახსენები „ქუჩების სიაში, რომელიც 1841 წელს წარუდგინა თბილისის მომწყობ კომიტეტს — „საქალაქო საზოგადოებრივმა მმართველობამ“). მართალია, „პროსპექტი“ ჯერ კარგა ხანს სრულიად მოუწყობელი იყო, ასე რომ 1859 წელს თბილისის სამუშაოთა უფროსი თავადი ბაგრატიონ-მუხრანბატონი თავის რაპორტში წერდა „არ ვღებულობთ რა ამა წლისათვის განკუთვნილ სარემონტო ფულს, თბილისის ქუჩები და ხის ხიდები უკვე მოითხოვენ შეკეთებას“. ჩამოთვლილ ქუჩათა შორის არის გოლოვინის პროსპექტი, რომლის მთელ სიგრძეზე ორმოებია ამოსავსები და „ახლა, ჩვეულებრივზე უფრო მეტად უწესრიგოა თბილისის ქუჩების მდგომარეობა და მოსიარულეთათვის სახიფათოაო“ დასძენს რაპორტის ავტორი.

ვინმე „ძველი თბილისელი“ ასე იგონებს გაზეთ „კავკაზში“ ორმოციანი წლების თბილისს. „თვითონვე არ მჯერა, როდესაც ვიხსენებ, რომ ერევნის მოედნიდან მოსკოვის საგუშაგომდე, ახლანდელ გოლოვინის პროსპექტზე ათიოდე კარგი შენობის მონახვაც გაძნელდებოდა.

მოსკოვის საგუშაგოსთან უკანასკნელი შენობა სახაზინო სახლი იყო, რომელშიაც თბილისის კომენდანტები ცხოვრობდნენ (აქედან იწყება ახლა გრიბოედოვის ქუჩა, რომელსაც მაშინ კომენდანტის ქუჩა ერქვა).

ყველა ამ შენობებს შორის საკმაოდ ვრცელი უშენი ადგილები იყო. ქუჩები: არსენალის, მესანგრეთა და არტილერიული, ჯარისკაცების მიერ გაშენებულ „სლობოდკებს“ წარმოადგენდნენ, რომელთა პატარა სახლები ახლაც გვხვდება ქუჩებში.

ეგრეთ წოდებულ ეკლიან ხევსა და მოსკოვის საგუშაგოსთან შენობების სახსენებელიც არ იყო. აქ მხოლოდ რამდენიმე აგურის ქარხანა იყო გამართული. ვერაზე შენობების აგება იმ დროს აზრადაც არავის მოსდიოდა...

... თბილისს თითქოს ეშინოდა გაშორებოდა თავის ძველ კედლებს — უტყუ მოწმეებს იმ ქალაქის ავბედობისა. თხუთმეტიოდე წლის წინათ ერევნის მოედნის ირგვლივ მდებარე შენობათა შორის (აღმოსავლეთის მხრიდან) და მუხრანის ხიდის მხრიდან ჯერ კიდევ ჩანდა ამ ძველი კედლების ნანგრევები“. რუსთაველის პროსპექტის, როგორც „ახალი ქალაქის“ მთავარი სატრანსპორტო ძარღვის და განაშენიანების ღერძის ზრდას — წინსვლას ჩრდილოეთისკენ — წინ უძღვოდა გარეუბნის თანდათანი გადაადგილება.

რუსთაველის პროსპექტის წინსვლა-განვითარებას გარეუბნის თანდათანი გადაადგილება უძღვოდა წინ. ქალაქი ეწეოდა, ნთქავდა გარეუბანს —. იერთებდა მას — ხოლო გარეუბნის ფუნქციას ახალ წინამდებარე ტერიტორია ინიჭებდა. თვით პროსპექტი იწყება იქ, სადაც ოდესღაც ქალაქი თავდებოდა. ლენინის მოედნის ჩრდილოეთით გარეუბანი იყო. აქ იყო მოთავსებული აგურხანები და ბაკები, სასაფლაოები (ქაშვეთის, კალოუბნის, ვანქის), ბაღ-ვენახები.

შემდეგში გარეუბნის მთელმა კომპლექსმა გადაინაცვლა და დამკვიდრდა იქ, სადაც ახლა „ზარია ვოსტოკას“ შენობაა და მაშინ „მოსკოვის საგუშაგო“ იყო. ქალაქის ზრდის და გარეუბნის საკუთრივ ქალაქად გარდაქმნის შემდგომი ორი ეტაპი კარგად ახსოვს ყველა თბილისელს. ჯერ მთელი ეს გარეუბანი ახლანდელი ვერის რაიონის ფარგლებში გადაჯდა. ყველას გვახსოვს ვერის ძველი და ახალი სასაფლაოები და სასაფლაოს გვერდზე აგურხანები. შემდეგში გარეუბანი გადაადგილდა ვაკისაკენ, ხოლო სულ ბოლო წლებში ვაკის აგურხანებმა კიდევ უფრო შორს გადაინაცვლეს (საბურთალოში, მცხეთაში). უკანასკნელი ბაკები და სამჭედლოები, რომ ვარაზის ხევის ნაპირას იყო ყველას გვახსოვს (ოცდაათიან წლებში) — შემდეგში ისინი ახლანდელ სტუდენტთა ქალაქის განაპირას დასახლდნენ დროებით.

1846 წელს გაზეთი „კავკაზი“, აღწერდა რა იმდროინდელი თბილისის განვითარებას, წერდა, რომ ქალაქი წინ მიიწევს „მეზობლად მდებარე მთები ისპობა მეაგურეთა ხელით და შემდეგში გამომწვარი და აგურადქცეული ახლა უკვე შენობების მთებად — აღიმართება ქუჩებისა და მოედნების გასწვრივ“.

დიდი ქალაქის მშენებლობა აუარებელ მასალას მოითხოვს. საშენი მასალა თბილისის ახლო ბევრი იყო. მთაწმინდის კალთებიდან ჩამონადენი ხევების მიერ შექმნილი, ადვილად დასამუშავებელი ლიოსული თიხები, მტკვრის კალაპოტში ხრეში, ქვიშა და რიყის ქვა, სოლანლუღის, სოლოლაკისა და ვერის ქვასატეხებში — საძირკვლისა და საკედლე ქვა, ხოლო კირი — მცხეთასა, ხეკორძულაზე და ალგეთზე. ქალაქის მშენებლებმა გადაამუშავეს მილიონობით კუბომეტრი საშენი მასალისა და ამ მასალიდან ააგეს თბილისის შენობები, მაგრამ ქალაქის ზრდასთან და ტრანსპორტის განვითარებასთან ერთად დაიწყო უკეთესი, უფრო ძვირფასი, მასალის ძებნა ჯერ შედარებით ახლობელ რაიონებში (ალგეთი, სადახლო), ხოლო შემდეგ — კი უკვე საქართველოს შორეულ კუთხეებში — სვანეთში, ხევში, იმერეთსა და გურიაში.

## რუსთაველის პროსპექტს მთელი საქართველო აშენებდა.

რუსთაველის პროსპექტს მთელი საქართველო აშენებდა. საქართველოს საშენი და მოსაპირკეთებელი ქვების გასაცნობად ახლობლად გეოლოგმა და მშენებელმა საკმარისია ლენინის სახელობის მოედნიდან — რუსთაველის მოედნამდე გაიაროს.

ფილაქანზე და შენობების ფასადებზე „გამოფენილია“ შესანიშნავი კოლექცია, რომელიც ყოველთვის ღიაა მნახველთათვის.

რევოლუციამდელ თბილისში დიდი შენობების ცოკოლების ასაგებად იყენებდნენ ეგრეთ წოდებულ „ალგეთის ქვას“ — ბაზალტის ლავას, რომლის კარიერები მდ. ალგეთზე იყო სოფელ მარნეულისა და დურნუკის მიდამოებში. დააკვირდით რუსთაველის პროსპექტზე აგებულ ძველ შენობებს, მათი ცოკოლები აგებულია რუხი — ნაცრისფერი, ხანდახან მომწვანო ქვისაგან — ეს „ალგეთის ქვაა“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა თბილისის მშენებლობაში. ალგეთის ქვასთან ერთად ფართოდ არის გამოყენებული სოლანლუღის ქვა — ანდეზიტ-ბაზალტი, რომელსაც თელეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე სტეხენ.

ახლა უკვე საცოკოლე მასალად უფრო გამძლე და ლამაზ მასალას იყენებენ — ე. წ. ტეშენიტს, ქუთაისის მიდამოებში მდებარე სოფელ კურსებიდან.

ამ ლამაზი, გაპრიალებული ქვისაგან აგებულია მთავრობის სასახლის, კავშირგაბმულობის სახლის, ქვანახშირის კომბინატის სახლის ცოკოლები, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სვეტები, ამავე ქვისაგან გაკეთდა კომუნარების ბაღის, პირველი სკოლის და ქაშვეთის ეკლესიის წინ მდებარე ბაღების ღობე-ბორდიურები, ლენინის ძეგლის კვარცხლბეკი.

თბილისში მრავალი ქუჩა ამ ქვით იყო მოკირწყლული, სანამ ასფალტით მოიფინებოდა (აღმართებზე ახლაც ტეშენიტს აგებენ). ტეშენიტით თბილისის ქუჩების მოფილაქნების იდეა ეკუთვნის ქართველ მწერალს იასე რაჭველს (მეხუზლას), რომელსაც ბევრი ბრძოლა და დავა დასჭირდა, რომ თავისი გაეტანა და თბილისის ქუჩებზე რიყის ქვის ნაცვლად ტეშენიტის თანაბარი ოთხკუთხედები გაჩენილიყო. სამი უდიდესი შენობა — მთავრობის სასახლე, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი და ქვანახშირის კომბინატის სახლი მოპირკეთებულია ბოლნისის ტუფით, რომელსაც აკადემიკოსმა ალექსანდრე თვალჭრელიძემ „მზიური ტუფი“ უწოდა. მართლაც, ამ შესანიშნავი ქვის ფერების ოქროსფერ-ყავისფერი გამმა ყოველთვის „თბილია“ მზეზე — თვალს არა ჭრის, მშვიდი და რბილია, ხოლო მოღუშულ ამინდში — ნათელია და თითქოს ათბობს შენობას და ანათებს ქუჩას...

რუსთაველის პროსპექტის მრავალი შენობა მოპირკეთებულია „ეკლარის ქვით“, — კირქვით, რომელიც სოფელ ჭოგნარში (ქუთაისის ახლო) მოიპოვება. ეს ქვა უკვე ოთხმოციანი წლებიდან შემოქონდათ თბილისში (და არა მარტო თბილისში — ბაქოს მრავალი შენობაც ამ ქვისგანაა აგებული). კირქვის ელფერები სხვადასხვაა — თეთრი, ღია-ნაცრისფერი, და ღია-ვარდისფერიდან დაწყებული მუქ-აგურის ფერამდე.

თეთრი და წითელი ეკლარის კირქვისგან აგებულია ქალაქის საბჭოს და საოპერო თეატრის შენობები, თეთრი კირქვისაგან — საქართველოს მუზეუმის დეკორატიული მორთულობა, ქაშვეთის ეკლესია...

რუსთაველის თეატრისა და ზოგიერთი სხვა შენობა — სადახლოს კირქვითაა შემკული.

მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში იწყება საქართველოს მარმარილოს საბადოების დამუშავება და რუსთაველის პროსპექტზე მრავალ შენობაში ჩნდება ქართული მარმარილოთი მოპირკეთებული მაღაზიები და დაწესებულებები. მარმარილო ფართოდაა გამოყენებული მთავრობის სასახლის და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტების შინაგან გაფორმებაში. აქ შეხვდებით შრომისა და სალიეთის წითელ მარმარილოს, დიზის — ნაცრისფერ, ლოპოთის — თეთრსა და სხვა მრავალი ადგილიდან მოტანილ ფერად-ფერად მარმარილოებს.

რუსთაველის პროსპექტის შენობების მოსაპირკეთებლად მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის ქვებიცაა გამოყენებული. მაგალითად, დიდი საცხოვრებელი სახლი, ქვანახშირის კომბინატის პირდაპირ რომ არის, მოპირკეთებულია ბაქოს მიდამოების ქვიშაქვებით, ხოლო ოფიცერთა სახლის ვარდისფერი პერანგი — კალაგერანის ტუფისგანაა აგებული.

ჩვენ არ ვიცით გვარები იმ უცნობი ირაგელი და შროშელი ქვის მთლელებისა, ხეკორძელი მეკირეებისა და ორხეველი მეგაჯეებისა, რაჭველი ხუროებისა და მცხეთელი კალატოზებისა, რომელთა შრომამ და გარჯამ ეს სახლები ააგო, მაგრამ ვიცით რომ რუსთაველის პროსპექტს — საქართველოს მთავარ ქუჩას — მთელი საქართველო აშენებდა.

# თევზის გამრავლება და ჰიდროელსადგურების მშენებლობა ინგლისში

## დელეგატის შთაბეჭდილება

გასული წლის 24 სექტემბერს ლონდონში ჩავიდა საბჭოთა ენერგეტიკოსების დელეგაცია, ელექტროსადგურების მინისტრის პირველი მოადგილის ფ. გ. ლოგინოვის მეთაურობით.

საქართველოდან დელეგაციაში მონაწილეობდა ამ წერილის ავტორი.

დელეგაციამ სამი კვირის განმავლობაში შემოიარა შოტლანდიისა და ინგლისის დიდი ნაწილი და გაეცნო დიდი ბრიტანეთის როგორც ჰიდროენერგეტიკის, ისე ენერგომომარაგების სხვა წყაროებსა და საშუალებებს, დაათვალიერა როგორც ექსპლოატაციაში, ისე მშენებლობაში მყოფი ჰიდროელექტროსადგურები, ქარხნები, ლაბორატორიები, ატომის სადგური, თბოსადგურები და სხვა ღირსშესანიშნავი ობიექტები.

უნდა ითქვას, რომ დიდი ბრიტანეთი ღარიბია ჰიდროენერგორესურსებით. ის მცირე რესურსები, რომელიც ბრიტანეთს გააჩნია, კონცენტრირებულია ძირითადად შოტლანდიაში, განსაკუთრებით კი — მის ჩრდილოეთ ნაწილში.

**1943** წელს, სპეციალისტთა ჯგუფმა მთავრობას წარუდგინა შოტლანდიის ჰიდრორესურსების გამოყენების პროექტი. ამ წინადადებამ მოსახლეობის დიდი მითქმა-მოთქმა და წინააღმდეგობა გამოიწვია.

მოსახლეობა შიშობდა, რომ პროექტის განხორციელებას მოჰყვებოდა შოტლანდიის ლამაზი ლანდშაფტის შეცვლა და თევზის მეურნეობის შეფერხება.

აღნიშნული პროექტის გარშემო დისკუსიამ ერთ წელზე მეტ ხანს გასტანა. საბოლოოდ მთავრობამ მიიღო კანონი შოტლანდიაში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ, მაგრამ ამავე კანონში, პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებთან ერთად, ჩაწერილი იყო, რომ ჰიდროსადგურების მშენებლობას არ გამოეწვია შოტლანდიის ლამაზი ბუნების შეცვლა და უარყოფითად არ ემოქმედა თევზის მეურნეობაზე.

როგორც მომუშავე, ისე მშენებლობაში მყოფ ჰიდროსადგურების დათვალიერების შედეგად დელეგაცია დარწმუნდა, რომ მიღებული კანონი განუხრელად ხორციელდება. ნაგებობები და სადგურების მუშაობის რეჟიმი ისეა შერჩეული, რომ პირიქით ხელს უწყობენ გარემოს კიდევ უფრო გალამაზებას.

თევზის მეურნეობისათვის არათუ შენარჩუნებულია ადრე არსებული პირობები, არამედ განხორციელებულია დამატებითი ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ ამ დარგის შემდგომ აღმავლობას.

ქვემოთ გიამბობთ ღონისძიებებზე, რომელთაც ხელი შეუწყეს თევზის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას:

ჩატარებული ცდების შედეგად დადგენილ იქნა, რომ პატარა თევზები (ლიფსიტები) უვნებლად გადიან ტურბინებში, თუ სადგურის წნევა არ აღემატება 30 მეტრს. უფრო მეტი წნევის შემთხვევაში კი თევზები იღუპებიან. ამის გამო ყველა იმ სადგურის წყალმიმღების წინ, რომელთა წნევაც მეტია 30 მეტრზე, მოწყობილია ლითონის ბადურა, რომელიც თევზს არ აძლევს საშუალებას მოხვდეს ტურბინაში.

იმისათვის, რომ თევზს საშუალება ჰქონდეს იმოძრაოს ზღვიდან ან ტბიდან მდინარის სათავეებამდე, საგუბრებთან, სადაც საჭიროდ იქნა მიჩნეული, მოწყობილია თევზსავალები.

მდინარის იმ უბნებზე, სადაც თევზსავლების მოწყობა მოუხერხებელია ან თევზის გამრავლების ადგილები შეტბორილია წყალსაცავებით, განხორციელებულია თევზსაჭერი ჯებირები, სადაც იჭერენ თევზებს, რომლებიც მიემართებიან მდინარის სათავეებისაკენ ქვირითის დასაყრელად, აცლიან მათ ქვირითს, ხელოვნურად ანაყოფიერებენ და სპეციალურ ქარხანა-ინკუბატორში გამოყავთ თევზები, კვებავენ მათ სპეციალურ აუზებში 1-2 წლის განმავლობაში და შემდეგ უშვებენ მდინარეებში.

ჩამოთვლილ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად თევზის მეურნეობის შემდგომი განვითარება კი არ შეფერხდა, არამედ გაუმჯობესდა.

ყველა ღონისძიებაზე უფრო დიდი გავლენა ამ მხრივ უნდა მიეწეროს შოტლანდიაში განხორციელებულ თევზსავლების ფრიად დამაკმაყოფილებელ კონსტრუქციას, რომელიც უზრუნველყოფს თევზის შეუფერხებელ მოძრაობას.

**1945** წელს, ინჟინერ ბორლენდის მიერ დამუშავებული იყო თევზსავლის ახალი კონსტრუქცია, რომელიც არ მოითხოვს თევზისაგან ენერგიის დაკარგვას ქვედა ბიეფიდან ზედა ბიეფში გადასვლის დროს, მიუხედავად დონეთა სხვაობის სიდიდისა.

ამის გარდა, ასეთი თევზსავლების აშენება გაცილებით იაფია, ვიდრე აქამდე არსებულ ტიპის თევზსავლებისა.

კონსტრუქტიულად ბორლენდის თევზსავალი წარმოადგენს დახრილ კოშკს, რომელიც მოწყობილია კაშხლის ქვედა ქანობის გასწვრივ და რომელშიდაც თევზი, წყლის დონის თანდათანობით აწევასთან ერთად, ზევით იწევს.

ამ თევზსავლის ძირითადი ელემენტებია:

ა) კაშხლის ქვედა ბიეფში მოთავსებული დახურული კამერა, რომელიც ფარიან ხვრელით შეერთებულია ჰესის ან ცალკე დანადგარის გამყვან არხთან.

ბ) დახურული, დაქანებული კოშკი, რომელიც აერთებს ქვედა დახურულ კამერას ზედა ღია კამერასთან.

გ) ღია კამერა და აუზი, კაშხლის ზღურბლზე ფარიან ან ფარებიან ხვრელებით.

აღნიშნული თევზსავლის მუშაობა ავტომატიზირებულია და ყოველ 3-4 საათში სრულდება მუშაობის ციკლი. საჭიროების მიხედვით ეს დრო შეიძლება შეცვლილ იქნეს.

იმისათვის, რომ თევზი შევიდეს თევზსავალში, იღება ქვედა კამერის ფარი და ზედა ფარის აწევით თევზსავალში გაიშვება წყლის გარკვეული რაოდენობა. თევზი გროვდება ქვედა კამერაში. დაახლოებით 1 საათის შემდეგ ქვედა კამერის ფარი ავტომატურად იკეტება და თევზსავალში წყლის დონე იწყებს აწევას. დაახლოებით 30-40 წუთში დონე უთანაბრდება ზედა ბიეფის დონეს და თევზი იწყებს წყალსაცავში გადასვლას.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, თევზი იმდენად მიილტვის გამრავლების ადგილებისაკენ, რომ იგი, როგორც კი დონე თევზსავალში მიუახლოვდება ზედა ბიეფის დონეს, არც კი ელოდება დონეების გათანაბრებას, ცდილობს ნახტომით გადალახოს დონეთა სხვაობა და გადავიდეს წყალსაცავში.

ჰიდროსადგურ ტორ-ახილტზე აგებულ ამ ტიპის თევზსავალის მუშაობაზე შოტლანდიელმა სპეციალისტებმა აწარმოეს დაკვირვება. გამოირკვა, რომ 8 თვის განმავლობაში თევზსავალი გაიარა წონით 5-დან 40 გირვანქამდე 4.500-მა ორაგულმა და კალმახის ურიცხვმა რაოდენობამ.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ თევზის მოძრაობა იყო სავსებით ნორმალური და არც ერთი შემთხვევა თევზის დაფრთხობის ან უკან დაბრუნების შემჩნეული არ ყოფილა.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ შოტლანდია თავისი ბუნებით ძალიან ჰგავს საქართველოს და რომ იქაური ჰიდროსადგურებიც თავისი პარამეტრებით დაახლოებით ისეთივეა, როგორც ჩვენი ჰიდროსადგურები, აღწერილი თევზსავლების განხორციელება საქართველოში და სხვა მთაგორიან რესპუბლიკებში დადებით შედეგს მოიტანენ.

საჭიროა ფართოდ დაინერგოს აღწერილი კონსტრუქციის თევზსავლები საქართველოს მდინარეებზე და ამით ხელი შეეწყოს თევზის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას ჩვენს რესპუბლიკაში.

ქ. ანდღულაძე
თბილჰიდეპის მთავარი ინჟინერი.

შოტლანდია. ლოხ სლოის კაშხალი.



### თბილისის მოსახლეობა უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში

| | | |
|---|---|---|
| XIII საუკუნე | 100.000 | მცხოვრები |
| 1770 წ. | 20.000 | „ |
| 1850 წ. | 35.000 | „ |
| 1862 წ. | 67.000 | „ |
| 1876 წ. | 104.000 | „ |
| 1897 წ. | 160.000 | „ |
| 1902 წ. | 192.000 | „ |
| 1908 წ. | 234.000 | „ |
| 1914 წ. | 344.000 | „ |
| 1926 წ. | 294.000 | „ |
| 1939 წ. | 520.000 | „ |
| 1956 წ. | 635.000 | „ |



# ქარხნის ბაღი

ქუთაისის საკონსერვო ქარხნის ეზოში შესვლისას მწვანე ხეივანში მოხვდებით. აქ ყველაფერს მზრუნველი ხელი ატყვია. თითქოს მიწა ფერადი ხალიჩით არის დაფარული. ხეივანში ვარდისფერი, თეთრი, ყვითელი ყვავილების სუნი დგას.

ეს მწვანე ხეივანი ქარხნის მებაღე ლავრენტი თორთლაძის დაუღალავმა მარჯვენამ გააშენა.

50 წელია, რაც ლავრენტი თორთლაძე ყვავილების მესაიდუმლეა. ვინ იცის, რამდენი ბაღი და ბუჩქი გაუხარებია. 25 წელია, რაც საკონსერვო ქარხნის ეზოს გამწვანებისა და გამშვენიერებისათვის იღწვის.

ეს ადგილი წინათ ტიტველი იყო, ხე კი არა, ბუჩქიც არ ხარობდა. ახლა აქ მარტო 60 სახის მცენარე ხარობს. მათ შორის არის ისეთი ძვირფასი ჯიშის მცენარეები, როგორიცაა ჰიმალაის კედრი, კრიპტომერია, კვიპაროსები, პალმები, ლიქისტრები, საბორდიურე ტუია, მარადმწვანე ბუჩქოვანი მცენარეები.

ლავრენტი თორთლაძის მზრუნველობით გაშენდა ეს „მწვანე წალკოტი". გამოცდილი მებაღის მიერ იგი გააზრებულად არის დაგეგმილი. ყვავილები განლაგებულია და შეხამებულია ისე, რომ მწვანე ყვავილნარმა ადამიანის მზერა დაატკბოს.

ორანჟერიიდან ასობით ძირი ნერგი და ქოთნებში ჩარგული ყვავილები გააქვთ ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს თავიანთ სახლებისა და ეზოების დასამშვენებლად.

მოხუცი მებაღე თავის ცოდნას და გამოცდილებას უზიარებს თავის მოწაფეებს. მისი ყოფილი მოწაფე ვლ. ქეიშვილი სამკერვალო ფაბრიკის მთავარი მებაღეა. ამჟამად ლავრენტი ყვავილების მოვლის საიდუმლოებას გადასცემს ბუდუ ჩხიკვაძეს, რომელიც დაუსწრებლად სწავლობს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკულ ფაკულტეტზე.

მოხუცი მებაღე ქარხნის ორანჟერიაში ახალი ჯიშის ყვავილების გამოყვანაზედაც ზრუნავს. მან შეჯვარების გზით ერთმანეთს დაამყნო ეპიფალიუმი და პირესკა, შეაჯვარა და გამოიყვანა სხვადასხვა სახის ბეგონია.

ზ. მესხიშვილი.

# ქვარტლსაწმენდი მანქანა

ლ. ჯულაბაშვილი

თბილისი მზარდი ინდუსტრიული ქალაქთაგანია და ისევე, როგორც სხვა დიდ ქალაქებისთვის, აქაც ჭვარტლის მომსპობი საშუალების შექმნა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

ინჟინერმა ილია ქურდიანმა მიზნად დაისახა გაეთავისუფლებინა თბილისი იმ ჭუჭყისა და ჭვარტლისაგან, რომელიც გარდა მოქალაქეთა დაავადებისა, ქალაქის ცის კამარასაც ანისლიანებს.

თავისი მიზნის მისაღწევად ინჟ. ქურდიანმა ქართული წისქვილის მუშაობის პრინციპი გამოიყენა და იგი თანამედროვე ტექნიკით გაამდიდრა. ამ პრინციპის მიხედვით მის მიერ კონსტრუირებულ მანქანას შეუძლია ერთდროულად უზრუნველყოს საკვამლე მილის ძირიდანვე კვამლის ამოსრუტვა და ამოსრუტული კვამლის მთლიანი გაწმენდა შენაწოვი ნაწილაკებისაგან, რისთვისაც მანქანა საბოლოო ჯამში 3-4 კილოვატ სიმძლავრეს ხარჯავს.

სხვა არსებული მანქანებისაგან ქურდიანის მანქანა იმით განირჩევა, რომ მხოლოდ კვამლის ამოქაჩვისთვის ჩვეულებრივ პირობებში დაახლოებით 20 კილოვატის სიმძლავრის ელექტროძრავის გამოყენებაა საჭირო.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა მნიშვნელოვან გამოგონებასთან გვაქვს საქმე, გავიხსენოთ ჟურნალ „ვოდოსნაბჟენიე ი სანიტარნაია ტეხნიკა"-ს 1956 წლის № 3-ში მოთავსებული კორესპონდენცია, რომელშიც ლაპარაკია 1954 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში სერიულად გამოშვებულ ქურდიანის მანქანის მსგავსი მანქანის შესახებ, რომლის ეფექტიურობა მხოლოდ აირების მტვერის ნაწილაკებისაგან გაწმენდაში გამოიხატება, ხოლო ჭვარტლისგან გასაწმენდად სრულიად არ გამოიყენება მაშინ, როცა ქურდიანის მიერ შექმნილი მანქანა მტვერთან ერთად კვამლს ჭვარტლისაგან ანთავისუფლებს.

ცნობილია, რომ ისეთი მაღალი ტემპერატურის მქონე აირი, როგორიც ღუმელიდან ამონაფრქვევი კვამლია, სინოტივეს თითქმის სრულიად არ შეიცავს, ქურდიანის მანქანა კი ასეთ კვამლს 20°-30°-მდე აციებს და სრულ გაჯერებამდის ანოტივებს. ლაბორატორიული შემოწმებით მანქანა ამავე დროს აირებთან ერთად წყლის არავითარ წვეთებს არ გამოყოფს ატმოსფეროში. ჰაერის ასეთი გაჯერება კი მრეწველობის ზოგიერთი დარგისთვის ძალიან საჭიროა.

ინჟ. ქურდიანის კონსტრუქციის მანქანით ციფრებში კვამლის გაწმენდის მარგიქმედების კოეფიციენტი პირველად გამოსახული იქნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არაორგანიულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრის ლაბორატორიის მიერ პროფ. ვ. მ. კაკაბაძის ხელმძღვანელობით 1956 წელს, მეორედ — თბილისის 26 კომისრის რაიონის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის ლაბორატორიის მიერ 1958 წელს, ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის ლაბორატორიის მიერ და ბოლოს, რესპუბლიკის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის ლაბორატორიის მიერ.

ჩატარებული ექსპერიმენტებით თანმიმდევრობით დასტურდება, რომ აღნიშნული მანქანის ჭვარტლგაწმენდის უნარიანობა მის სრულყოფასთან ერთად იზრდება და 80 პროცენტიდან 99,8 პროცენტამდე აღწევს, ხოლო კვამლის მანქანა ისეთი ნაწილაკებისაგან კი, როგორიცაა სილა, მიწა, ნაცარი და სხვა, 100 პროცენტით წმენდს.

ეს მანქანა შემდეგი თავისებურებით ხასიათდება: თავის შიგნითა ზედაპირის ყველა წერტილს იგი მუშაობის პროცესში განუწყვეტლივ ავტომატურად რეცხავს და ამის გამო, ინარჩუნებს რა ნორმალურ ტემპერატურასა და სისუფთავეს, არ იწვევს მანქანის დაზიანებას და გაჩერებას. კვამლისგან განთავისუფლებულ ჭვარტლს იგი სრულიად ცალკე სახის მასალად გამოყოფს, რომელიც შემდეგ ადვილად შეიძლება გამოვიყენოთ მრეწველობაში.

აღნიშნული მანქანა დამონტაჟებულია და წარმატებით მუშაობს (ისინჯება).

ამჟამად ინჟ. ქურდიანი პარალელურად მუშაობს თავისი ჭვარტლსაწმენდი მანქანის შემდგომ გაუმჯობესებაზე: კვამლის ჭვარტლისგან გაწმენდის გარდა იგი გააგრილებს საცხოვრებელ ბინებს და მავნე საამქროებს გაათავისუფლებს მტვრისაგან და სხვ.

ამავე დროს იგი პორტატულიც იქნება, როგორც, მაგალითად, რადიომიმღები ან მაცივარი.

ღირებულების მხრივ ინჟ. ქურდიანის მანქანას ერთი დიდი უპირატესობაც აქვს. მისი თვითღირებულება, მასობრივი დამზადების შემთხვევაში, 2-დან 5 ათას მანეთს არ ასცილდება, რადგან წონით იგი 200 კილოგრამამდეა და დამზადდება შავი ლითონისაგან. ამას თუ საჭირო ელამძრავს თავისი მოწყობილობით დავუმატებთ, რომელიც დაახლოებით 1500 მანეთი ეღირება, მივიღებთ მანქანის მაქსიმალურ ღირებულებას 3-დან 6,5 ათას მანეთის რაოდენობით. მანქანა გამიზნულია, აგრეთვე, ელექტროძრავის გარეშეც, როგორც ეს ჩვენს სურათზეა გამოსახული.

ამ მანქანის პრაქტიკული მნიშვნელობა ნათელი გახდება, თუ მკითხველს მოვაგონებთ, რომ სხვადასხვა კონსტრუქციების დღემდე არსებული კვამლსაწმენდი მანქანის ღირებულება რამდენიმე ათეულ ათას მანეთიდან რამდენიმე მილიონ მანეთამდე აღწევს.

ამრიგად, ქურდიანის მანქანის საშუალებით მომავალში შესაძლებელი გახდება ქალაქ თბილისის მშრომელთა უზრუნველყოფა ჭვარტლისგან გასუფთავებული ჰაერით.



ამბავი დაიწყო ასე: იმ დღეებში თბილისი საზეიმო განწყობილებით სუნთქავდა. დიდი სიხარულის მოლოდინი იგრძნობოდა ქუჩებში, მოედნებზე. ქალაქი იკაზმებოდა ძვირფასი სტუმრების დასახვედრად — ჩეხოსლოვაკები ჩამოდიოდნენ. ამ ამბავთან დაკავშირებული გადმოცემები ისმოდა რადიორეპროდუქტორებიდან, მოძმე ჩეხოსლოვაკიას ეძღვნებოდა გაზეთების სპეციალური ნომრები. აი, ადრე — დილით, ჩემი სახლის წინ კიოსკში შევიძინე გაზეთ „კომუნისტის“ ახალი ნომერი. ვფურცლავ, ვათვალიერებ. ვხედავ, ერთი წერილია დაბეჭდილი: „პრაღელი და თბილისელი მეგობრები“:

„გუშინ რედაქციას ეწვია ორი გოგონა. აი რა გვიამბეს მათ:

— ჩეხოსლოვაკიიდან ძვირფასი სტუმრების ჩამოსვლა ჩვენ, დებს, განსაკუთრებით გვაღელვებს და გვიხარია. ჩვენ ეროვნებით ჩეხები ვართ, გვარად ხერუები. დიდი ხნის წინათ ჩამოსულან ჩვენი წინაპრები აქ, საქართველოს დედაქალაქ თბილისში. ჩვენი პაპა ქართველ ქალზე ყოფილა დაქორწინებული და ჩვენც ჩეხისა და ქართველის შთამომავლები ვართ. დავიბადეთ და ვიზრდებით თბილისში. საქართველო გახდა ჩვენი საყვარელი სამშობლო, ქართული ენა — მეორე მშობლიური ენა, მაგრამ არასოდეს არ გვავიწყდება ჩვენი შორეული სამშობლოც — ჩეხოსლოვაკიაც, სოციალიზმის გზაზე დამდგარი სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა...

ჩეხოსლოვაკიისა და მისი ხალხის სიყვარულის ნიშნად მარინეს, უფროს დას, მერვე კლასიდან მიმოწერა გაუმართავს თავის თანატოლ ჩეხ ბიჭუნასთან. მისი სახელი და გვარია გიორგი შრამგაუზრი, ცხოვრობს პრაღაში, ზაპოშტას ქუჩაზე, და აი წერილები სისტემატურად იცვლება თბილისის რუსთაველის პროსპექტიდან, სადაც გოგონები მშობლებთან ცხოვრობენ, და პრაღის ზაპოშტას ქუჩიდან, და სიხარულით ავსებენ ადრესატების გულებს. ახლა მარინე ხერუე თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტია, ხოლო გიორგი შრამგაუზრი — პრაღის სამედიცინო ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტი. მარინეს უმცროსი და ირინე ხერუე თბილისის 41-ე საშუალო სკოლის მოსწავლეა და წარმატებით სწავლობს მეორე მუსიკალურ სასწავლებელშიც. ახლა იგი ამ სასწავლებლის მე-3 კურსის სტუდენტია.

აი რას წერს მარინეს პრაღელი მეგობარი: „შენ მწერ შენს მშობლიურ საქართველოზე. ვიცი, რომ იგი დიადი და ლამაზია. ძალიან მსურს ჩამოვიდე საქართველოში, ვიხილო იგი, გავეცნო ქართულ კულტურას, მის ხალხს“.

დები ხერუებიც ნატრობენ ნახონ თავიანთი შორეული სამშობლო ჩეხოსლოვაკია. ისინი გულდასმით სწავლობენ და ეუფლებიან ჩეხურ ენას...“



მარცხნიდან მარჯვნივ: ნ. ნიკოლაევი — დირიჟორი, კომპოზიტორი და პიანისტი; ე. პოლტარაცკაია და ალოიზ მიზანდარი — პირველი მუსიკალური სასწავლებლის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი დირექტორი.

# განახლებული გრძნობები...

**ვლადიმერ თორდუა**

შესაძლებელია ამ წერილისათვის მხოლოდ თვალი გადამევლო, რომ მასში ჩართულ სურათებს არ მიექცია ჩემი ყურადღება. ეს გოგონები, დები ხერუები ხომ ჩემს მეზობლად ცხოვრობენ, რუსთაველის პროსპექტზე.

დილით ადრე სიურპრიზი მოვუწყე ხერუების ოჯახს, მივუტანე გაზეთის ახალი, ჯერ საღებავშეუშრობელი ნომერი. მთელი ოჯახი სიხარულისაგან აღელვებული შემხვდა. გაზეთის ეგზემპლარს ჩააფრინდნენ და გაფაციცებით დაიწყეს თვალიერება და კითხვა.

ოჯახის ამ საერთო სიხარულისა და აღფრთოვანებისაგან გამოთიშული იყო მხოლოდ მისი უხუცესი წევრი ეკატერინე ივანეს ასული, ამ გოგონების დიდედა. იგი უჯდა პიანინოს და ასრულებდა ბეთჰოვენის სონატას. მუსიკის ჰანგებს გადასძლია გაზეთით აღფრთოვანებული დების მერცხლისებურმა ყლურტულმა, მიწყდა მუსიკის ხმა. ოთახიდან გამოვიდა და ნელი ნაბიჯით ჩვენსკენ გამოემართა თალხკაბიანი ხანშიშესული ქალი, მუსიკის სამყაროდან ჯერ კიდევ გამოუთიშავი, ჩანდა, ძველ მოგონებებში იყო ჩაფლული.

ჩვენი საუბარი შეეხებოდა გაზეთის ამ ნომერს, მუსიკას და, ბოლოს, ჩეხოსლოვაკელ ძვირფას მეგობართა სტუმრობას თბილისში... ჩემი ვიზიტი ამით დამთავრდებოდა, მოხუცს თავისი მოგონებებით და საინტერესო არქივით ადგილზე რომ არ დავებ.

ეკატერინე ივანეს ასული აღმოჩნდა დიდი ილიას უახლოესი მეგობრის, მეცხრამეტე საუკუნის ჟურნალისტის და საზოგადო მოღვაწის, თბილისის მკვიდრის ივანე პოლტარაცკის ქალიშვილი, მისი ბიოგრაფიის საინტერესო ფურცელს წარმოადგენს ისიც, რომ მისი ბიძა დედის მხრივ ალექსანდრე ჩვენი სასიქადულო მწერლის ეკატერინე გაბაშვილის ქმარი ყოფილა, ხოლო დეიდა — მარიამ ზაქარიას ასული გაბაშვილი ერთ-ერთი პირველი პედაგოგი თბილისის მუსიკალური სასწავლებლისა მისი დაარსებიდან, სასწავლებლის კონსერვატორიად გადაკეთების შემდეგ კი მისი პირველი პროფესორი ქალი. ეკატერინე პოლტარაცკაიას მუსიკალური განათლება მიუღია ჯერ თბილისში, ცნობილ ალოიზ მიზანდართან, მუსიკალური სასწავლებლის ერთ-ერთ პირველ დამაარსებელთან, შემდეგ ვენის კონსერვატორიაში რუბინშტეინის შვილთან პროფესორ კონთან, და მთელი თავისი ხანგრძლივი შეგნებული ცხოვრება მუსიკისათვის შეუწირავს. 1911 წლიდან დღემდე თბილისის I მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგია. იგი სიამაყით იგონებს, რომ ქართველ ბულბულს ვანო სარაჯიშვილს არა ერთხელ უმღერია ეკატერინე ივანეს ასულის აკომპანემენტით, მაგრამ მთავარი ის არის, რომ იგი მუსიკას დაუმეგობრებია არა ერთ გამოჩენილ ჩეხ შემსრულებელთან და მუსიკასვე ჩეხოსლოვაკია მისი მეხსიერებიდან ამოუშლელ ქვეყნად უქცევია. რამდენი სურათი, რამდენი ალბომი, წიგნი, ავტოგრაფი, აფიშა უნდა აიღო ხელში! ისინი აღმაფრთოვანებენ ამ ჩუმი, თავმდაბალი მოხუცი მუსიკოსი ქალის წარსულით, მისი მეგობრული, შემოქმედებითი კავშირით გამოჩენილ ჩეხ მუსიკოსებთან. აი ერთი მათგანი — ადოლფ პოლივკა, გამოჩენილი პრაღელი ვიოლონჩელისტი, მისი სურათი ავტოგრაფით, მის კონცერტებთან დაკავშირებული აფიშები, მასთან დაკავშირებული მეგობრობით გამთბარი ნივთები, მის კონცერტებზე მაშინდელ გაზეთებში გამოქვეყნებული რეცენზიების ამონაჭრები ახლა სათუთად ინახება მოხუცის პირად არქივში.

ვინ იყო ადოლფ პოლივკა? — პრაღის კონსერვატორიის პროფესორის ვიგარის მოწაფე, მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული მევიოლინე — ვირტუოზის იან კუბელიკის, გამოჩენილი მწერლის სვატოპლუკ ჩეხის, მევიოლინე — ვირტუოზის იაროსლავ კოციანის უახლოესი მეგობარი...

აქ არ შეიძლება ცალკე არ გამოვყოთ იან კუბელიკი. იგი გარდაცვალებამდე ცამეტი წლით ადრე, 1927 წელს სწვევია საგასტროლოდ თბილისს, დიდი ხანია ავსტრიის, რუსეთის, იტალიის, საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის მსმენელთა მომჯადოებელი და განმაცვიფრებელი ვირტუოზი იან კუბელიკი, ვის გარშემოც შექმნილ ლეგენდას მუსიკალურ თბილისამდეც მოუღწევია: მისთვის, ერთადერთისათვის დაურთავთ თურმე ნება დაეკრა ნიკოლო პაგანინისეულ ვიოლინოზე. საფლავის ძეგლში ჩაკირული ეს ვიოლინო ფრთხილად გამოუღიათ, თითქოს, სამგლოვიარო — საზეიმო დუმილში, ცრემლით დანამული ვიოლინო კუბელიკისთვის გადაუციათ და კუბელიკს მასზე პაგანინისებურად პაგანინისავე კაპრიჩიო შეუსრულებია, და შეუნიშნავს მაშინ ყველას ერთად, თუ როგორ ამოანათა საფლავიდან გაღიმებული პაგანინის აჩრდილმა, და გადაიყარა ცამ ღრუბელი, და ნათელი დაადგა სასაფლაოსო...

და აი ამ კუბელიკის ჯადოსნური ვიოლინოს სიმთა ჟღერა გაისმოდა იმ დღეებში ჩვენთან. იოლი წარმოსადგენია, თუ როგორ მიიღებდა მას მუსიკალური თბილისი. ძნელია ახლა აქ მოვიყვანოთ აღფრთოვანებული მუსიკალური რეცენზია, რომელიც ამ ვირტუოზის კონცერტების გამო სურათთან ერთად მოთავსებული იყო სწორედ იმ გაზეთში, „კომუნისტში“, სადაც ოცდათერთ-

მეტი წლის შემდეგ ამ წერილის დასაწყისში მოყვანილ სტრიქონებს წავაწყდი... მეტად გულთბილი შეხვედრა კუბელიკისათვის მოუწყვია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას, მის პატივსაცემად გაუმართავს დიდი ბანკეტი, მიუძღვნია მისთვის ეროვნული სიამაყე — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. კონსერვატორიას უთხოვნია ეკატერინე ივანეს ასულ პოლტარაცკაიასათვის ჩეხურად წაეწერა წიგნის ტიტულზე მიძღვნის ტექსტი (ეკატერინესათვის ჩეხური ენა უსწავლებია კონსერვატორიის მცირე დარბაზის მომხატველის, მაშინ თბილისში მცხოვრები სიმონ ნოვაკის ქალიშვილს, თბილისშივე მცხოვრები ჩეხი ტანმოვარჯიშის ვახიკის მეუღლეს).

კუბელიკს გულში სათუთად ჩაუკრავს საჩუქარი, შემდეგ ინტერესით დაუწყია მისი თვალიერება. პოემის შინაარსი მისთვის უცნობი არ ყოფილა, და ამიტომაც ილუსტრაციებს განსაკუთრებით მოუხიბლავს.

— აი ხელოვნება, აი ილუსტრაციები! — აღტაცებით იძახდა თურმე იგი, — ვისია?

— ზიჩისა, — უპასუხნიათ.

— ზიჩისა? — გაორკეცებული აღტაცებით აღმოხდა თურმე სტუმარს, — დაიდო მან წიგნი მუხლზე და რაღაც რომანტიკულად აღაპყრო ზევით თვალები,—ჩემი მეუღლეც ზიჩია გვარად, — ჩაულაპარაკნია მას თითქოს თავისთვის, — რა საოცარი დამთხვევები ხდება ხოლმე ცხოვრებაში...

მერე წიგნზე მიძღვნის ჩეხურ ტექსტს დააკვირდა და წარმოთქვა მწუხარედ:

— ჩეხი ვინ არის კიდევ თბილისში ლუკეშისა და პოლივკას გარდა?

— აგერ! ამაოდ არ უსწავლებია მისთვის სიმონ ნოვაკის ასულს ჩეხური ენა... ეკატერინე პოლტარაცკაია... — წარუდგინეს მას. კუბელიკი დაინტერესებულა პოლივკას ცხოვრებით თბილისში, გამოუკითხავს ბევრი რამ პოლტარაცკაიასათვის. ამ უკანასკნელს მისთვის უჩვენებია ზემოხსენებული კარელ ნოვოტნის წიგნი, პოლივკას ხსოვნისადმი მიძღვნილი, რომელშიც სხვათა შორის, მოთავსებულია ჩეხური კვარტეტის შემადგენლობის სურათი; მასზე გამოსახული არიან პოლივკა, გუმლი, კრეიზა და კუბელიკი ახალგაზრდობაში. თბილისში ამ წიგნის ნახვას იგი სიხარულისაგან აუღელვებია, კვარტეტის სურათზე ფანქრით წაუწერია თავისი ავტოგრაფი და წიგნი დიდი მადლობით დაუბრუნებია პოლტარაცკაიასათვის. შემდეგ კუბელიკს ჯიბიდან ამოუღია თავისი სურათი, და მასზე ფრთხილად, სიყვარულით გადაუტარებია სტრიქონები ავტოგრაფისა.

— სხვა, რით შემიძლია გიპასუხოთ, ეკატერინე! დე, ეს იყოს ძაფი მეგობრობისა თბილისსა და პრაღას შორის.

— ეს მეგობრობა იცოცხლებს, ბატონო იან! — და თვალებდანამულ პოლტარაცკაიას მოკრძალებით მიუღია კუბელიკისაგან სურათი ავტოგრაფით.

და გასაგებია ქართველი კაცის სიხარული იმის გამო, რომ ვიოლინოს ჰანგთა მპყრობელის — იან კუბელიკის სახელობის მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსზე 1949 წელს გამარჯვება ხვდა მისი ხალხის უმცროს ქალიშვილს, აგრეთვე, ვირტუოზს მარინე იაშვილს.

თბილისსა და ქუთაისში დიდი წარმატებით გაუმართავს კონცერტები ცხრაასათიან წლებში, აგრეთვე, იაროსლავ კოციანს, ეკატერინეს ახლო მეგობარს. იგი დიდად დაინტერესებულა ძველი ქართული ძეგლებით, თბილისელ მეგობრებთან ერთად დაუთვალიერებია ბევრი მათგანი, ყოფილა გელათშიც, და იქ სურათიც გადაუღია.

დავუბრუნდეთ ადოლფ პოლივკას. იგი თბილისში ჩამოსულა 900-იან წლებში, სწორედ სვატოპლუკ ჩეხის რეკომენდაციით, რომელსაც წინა ხანებში უმოგზაურნია კავკასიაში, ყოფილა კერძოდ, თბილისში, გაუცვნია აქ მცხოვრები თანამემამულენი, დაახლოებია ქართველ ინტელიგენტებს... სვატოპლუკ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თბილისში ჩამოსვლის მეოცნებე ადოლფისათვის მიუცია ჩეხი ამხანაგის ლუკეშისა და დრუბოგლავის მისამართი. ლუკეში მაშინ ტანვარჯიშს ასწავლიდა თბილისის გიმნაზიაში, იმ სასწავლებელში, სადაც თავის დროზე სწავლობდნენ გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ივანე პოლტარაცკი, ნემიროვიჩ-დანჩენკო და სხვანი მრავალნი, შემდგომში დიდებით მოსილნი... (ახლა ეს სტალინის სახელობის I საშუალო სკოლაა თბილისში) დრუბოგლავი ვაჟთა მეორე გიმნაზიის დირექტორი იყო. თბილისში ჩამოსული პოლივკა სწორედ ლუკეშთან დაბინავებულა.

პოლტარაცკებისა და გაბაშვილების დიდი ოჯახი მაშინ თბილისის ერთ უბანში, მოსკოვის ქუჩაზე და მის შესახვევში ცხოვრობდნენ, ლუკეშიც — მათ ახლოს. პოლივკა გაცნობია პოლტარაცკებისა და გაბაშვილების ოჯახს და შესდგომია პედაგოგიურ მოღვაწეობას. ეკატერინე პოლტარაცკაიას სიძეს, იმ დროს ცნობილ ისტორიკოსს, შემდგომში გამოჩენილ მკვლევარ-მეცნიერს აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილს პოლივკა შეთავსებით ვიოლონჩელოს მასწავლებლად მიუწვევია თავის სათავადაზნაურო სკოლაში, ძირითადად კი პოლივკა მთელ სამ წელიწადს ასწავლიდა მუსიკალურ სასწავლებელში. პოლივკა განსაკუთრებით მეგობრობდა ექვთიმე თაყაიშვილს. მასთან მეგობრულ საუბარში არა ერთხელ გამოუთქვამს თავისი სიძულვილი ავსტრიის დამპყრობლური პოლიტიკისადმი. იგი თავისი სამშობლოს დიდი პატრიოტი ყოფილა.

სწორედ აქ გულითადი შემოქმედებითი მეგობრობით დაკავშირებიან ერთმანეთს ჩეხი და მამით რუსი და დედით ქართველი მუსიკოსები — პოლივკა და პოლტარაცკაია. ახლაც არიან თბილისში მუსიკის მოტრფიალენი, უკვე მოხუცნი, რომელთაც ახსოვთ პოლივკას კონცერტების წარმატება, პოლივკასი, რომელიც ეკატერინე პოლტარაცკაიას აკომპანემენტით ასრულებდა ბეთჰოვენის, შუმანის, სენსანსის, ჩაიკოვსკის, რახმანინოვის ნაწარმოებებს...

— ახლა, როცა გაზეთებში ვკითხულობ და რადიოთიც ვისმენ ჩეხი სტუმრების ჩვენთან ჩამოსვლის ამბავს, კვლავ ახალი ძალით ცოცხლდებიან ჩემს მეხსიერებაში წარსულის მოგონებანი, — ამბობს მოხუცი.

...იმდროინდელი გაზეთები დიდი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ პოლივკას კონცერტებს. აი რას წერს ერთ-ერთი გაზეთი: „ჭეშმარიტად მხატვრული სიტკბოება შეეძლო ეგრძნო ყველას, ვინც ესწრებოდა: პოლივკას გამოსათხოვარ კონცერტს... ბრწყინვალედ აკომპანიონობდა ქ-ნი პოლტარაცკაია“...

ეს იყო 1906 წლის 14 მარტს

ყურადღება მიაქციეთ — გამოსათხოვარი კონცერტი!

დიაბეტით მძიმედ დაავადებული ჩეხი მუსიკოსი იძულებული იყო დაეტოვებინა მის მეორე სამშობლოდ ქცეული თბილისი და წასულიყო პრაღაში სამკურნალოდ.

— მე ან მოვკვდები იქ, ეკატერინე, ან განვიკურნები და დავბრუნდები თბილისში უკვე სამუდამო საცხოვრებლად, — მითხრა უბედურმა, მაგრამ ბედმა უმტყუნა... ველარ დაბრუნდა. სამწუხაროა, რომ მან ვერ იცოცხლა თავისი სამშობლოს განთავისუფლებამდე. ვერ იხილა ჩეხოსლოვაკია ბედნიერი და თავისუფალი.

—...დაკრძალვაზე პრაღაში მუსიკალური თბილისის წარმომადგენლად გაიგზავნა ილია აბაშიძე, ჩემი დის — სოფიოს ქმარი, ადოლფის ყოფილი მოწაფე მუსიკაში, და მან თბილისელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა და თბილისის კონსერვატორიის სახელით გვირგვინით შეამკო საფლავი... აქ კი, თბილისში პოლივკას პანაშვიდი გადაუხადეს. მერე, წლისთავზე, პოლივკას მუსიკის თაყვანისმცემლები ჩავედით იქ — პრაღაში, — განაგრძობს ეკატერინე ივანეს ასული, — მე და ჩემი დები ელენე და სოფიო, და კიდევ ელენე ჩოლოყაშვილი, რომელიც იმ ხანებში პარიზში იმყოფებოდა... მან პარიზიდან პრაღაში ჩამოიტანა პოლტარაცკების ოჯახისაგან შეკვეთილი ბრინჯაოს გვირგვინი, რომლითაც შევამკეთ ადოლფის საფლავი...

აგვაღელვა ერთმა შემთხვევამ: პოლივკას დაბადების დღეს, 15 მაისს სასაფლაოზე მოიტანეს იების კალათა იან კუბელიკის შეკვეთით და დავალებით. აი, მეგობრობა! — კუბელიკი ხომ იმ ხანებში ამერიკაში იყო გასტროლებზე, მაგრამ გასტროლების ტრიუმფმა შორეულ ამერიკაში მას როდი დაავიწყა თავისი მეგობარი, აქ, პრაღაში!

... აღსანიშნავია, რომ მარიამ ზაქარიას ასული გაბაშვილი თბილისში, თავის ოჯახში ხშირად აწყობდა მუსიკალურ საღამოებს, რომლებშიც მონაწილეობდნენ ჩამოსული საუკეთესო არტისტული ძალები. ამ საღამოების მუდმივი სტუმარი ყოფილა ზაქარია ფალიაშვილი. ამ საღამოებზე დაახლოებია იგი პოლივკასაც და აქვე ჩაჰყრია საფუძველი მათს მეგობრობას. ფალიაშვილი დიდად აფასებდა ადოლფ პოლივკას შემსრულებლობითს ხელოვნებას.

აი, ამბავი!... მე კი მაშინვე გამობრუნებას ვაპირებდი, — ვფიქრობ ჩემთვის ნაამბობით, ნანახითა და განცდილით ღრმად ჩაფიქრებული, და სიყვარულით ვათვალიერებ ადოლფის საკლასო რვეულს, მის ნამუშევრებს. გრაფიკოსიც კი ისე ვერ... დაწერდა კი არა, ვერ დახატავდა! და მაინც მასწავლებლის მიერ დასმული ნიშანი ქვევით, წითელი მელნით — 1/1.

— ეს რატომ? — ვეკითხები მოხუცს, თითქოსდა სხვა არაფერი მქონდეს შესაკითხავი და განსაცვიფრებელი.

— ა! — ჩაიცინა მან, — თითქოს სხვით ვერაფრით დავეინტერესებინე, — იქ ასეა, მოსწავლის წარჩინების ყველაზე მაღალი ნიშანია სკოლაში 1/1.

... მაინც, რა საოცარია ზოგჯერ ადამიანის ბედი! რუსისა და ქართველის შთამომავლის ეკატერინე ივანეს ასულის ქალიშვილი — გვარად მადათოვა — გათხოვდა თბილისში მცხოვრებ ჩეხზე და მისგან ჰყავს აი ის ორი ქალიშვილი, რომელთა შესახებ გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილით და ფოტოსურათებით დავიწყეთ ეს ამბავი.

ა. პოლივკა (სურათი გადაღებულია თბილისში).



# თბილისის ბაზრები

## ალექსანდრე დიუმა (მამა)

ჩვენ ბევრი საზრუნი გვქონდა: უნდა გვენახა ქარვასლა, დაგვევლო ბაზრები, ორ-სამ ოჯახში სტუმრად მივსულიყავით და ამის გარდა გადაგვევლო და წავსულიყავით თავადთან, რომელმაც ჩვენ დაგვპატიჟა...

ქარვასლა საინტერესო სანახავია. მისი ყველა კარიდან შემოდიან აქლემებით, ცხენებით და სახედრებით დატვირთული აღმოსავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთის ქვეყნის ყველა ერის წარმომადგენლები: თურქები, სომხები, ირანელები, არაბები, ჩინელები, კალმიკები, თურქმენები, თათრები, ჩერქეზები, ქართველები, ციმბირელები, და რა ვიცი კიდევ ვინ! თვითეული თავისი ქვეყნისათვის დამახასიათებელი კოსტუმითა და იარაღით, ხასიათით და სახით, განსაკუთრებით კი თავისი თავსაბურებით განსხვავდებიან, რომელნიც ყველაზე ნაკლებად ემორჩილებიან მოდების ცვლას. ორი დანარჩენი ქარვასლა პირველი ქარვასლის ფილიალს წარმოადგენს: მათ გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა აქვთ. ამ პატარა სასტუმროში უფასოდ ათენებენ ღამეს, მაგრამ სასტუმროს პატრონები ერთ პროცენტს იღებენ გაყიდულ და საწყობში შენახულ საქონელზე.



ამ ბაზრებთან დაკავშირებული სავაჭრო ქუჩების ქსელი, სავსებით გამოყოფილია არისტოკრატიული უბნისაგან, თვითეულ ამ ქუჩათაგანი წარმოების გარკვეულ სახეს არის დაუფლებული. თბილისში ამ ქუჩებს რა ჰქვიათ, არ ვიცი. არც ის ვიცი, მათ სახელი აქვთ თუ არა, საერთოდ. ჩემთვის მათ სხვა არა ჰქვიათ რა გარდა ოქრომჭედლის, მექურქეების, მეხილეების, მეწაღეებისა და თერძების ქუჩისა. ამას კიდევ შეიძლება დაუმატოთ ქოშებისმკეთებლის ქუჩა. თბილისში ადგილობრივ ვაჭრობაში მეჩექმე არ კერავს ფეხსაცმელს, მეწაღე — ქოშებს, მექოშე — ფლოსტებს, მეფლოსტე კერავს მხოლოდ და მხოლოდ თავის ფლოსტებს კიდევ მეტის თქმა შეიძლება: მეჩექმე, რომელიც კერავს ქართულ ჩექმას, არ შეკერავს ჩერქეზულ ჩექმას. ყველა ხალხის ყოველი სამოსის თვითეულ ნაწილს თავისი ოსტატი ყავს. ამგვარად, თუ თქვენ დაგებადებათ სურვილი გააკეთებინოთ ხმალი, უნდა იყიდოთ ცალკე ხმლის პირი, მასზე გააკეთებინოთ ტარი, ხის ქარქაში დააფარვინოთ ტყავით ან სნატით, ბოლოს თქვენ აპრიალებინებთ ტარსა და ვერცხლის მოცულობას. ყველაფერი ეს, როგორც მოგეხსენებათ, ცალცალკე კეთდება. ყველაფერზე მაღაზიიდან მაღაზიაში უნდა ირბინოთ. არა არისრა ამ ქუჩებში სეირნობაზე უფრო საინტერესო, მით უმეტეს უცხოელისათვის, რომელიც არასოდეს არ იღლება მათი დათვალიერებით. მე თითქმის ყოველდღე მივდიოდი იქ.

...ბანაობის დიდი მოყვარულები პირდაპირ მიდიან და ვაჟკაცურად ეშვებიან ორმოც გრადუსზე გამთბარ წყლიან აბაზანაში. ნაკლებად მოყვარულები და გამოუცდელები მიდიან 30 გრადუსის თბილ წყალში. 30 გრადუსზე გამთბარ აბაზანიდან შემდეგ თანდათან გადადიან 35 გრადუსით გამთბარში, ბოლოს კი 40 გრადუსიანში. ასე ამგვარად, ისინი ნაკლებად ამჩნევენ ტემპერატურის ზრდას. კავკასიაში არის ისეთი წყლებიც, რომლის ბუნებრივი ტემპერატურაც აღწევს 65 გრადუსს. ეს წყლები რევმატიზმებისათვის უებარი წამალია. ამ წყლების ორთქლით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ. ზეწარზე დაწოლილი მობანავე, აბაზანის თავზე ოთხ კაცს უჭირავს ზეწრის ოთხი ბოლოთი, ამ აბაზანას იღებენ 6, 8 და 10 წუთს. ყველაზე ამტანი მობანავეც კი ვერ უძლებს 10 წუთზე მეტს.

ფინო არ შეუშინდა იმას, რომ მოიხარშებოდა და გადაეშვა 40 გრადუსიან აბაზანაში. მე გავეშურე 30 გრადუსიანი წყლისაკენ და მოკრძალებით ჩავეშვი. შემდეგ თანდათანობით უმტკივნეულოდ გადავედი 35 გრადუსიანიდან 40 გრადუსიან წყალში. 40 გრადუსიანი წყლიდან გამოსვლისას მექისეები მელოდებოდნენ. მათ მაშინ მტაცეს ხელი, როდესაც ამას ყველაზე ნაკლებად მოველოდი. მინდოდა თავის დაცვა, მაგრამ ამ დროს ფინომ დამიყვირა.

— ნებაზე მიუშვი, თორემ რამეს მოგტეხავენ.

შესაძლებელია, თავი დამეცვა, რომ მცოდნოდა რას მომტეხავდნენ, მაგრამ ვინაიდან არ ვიცოდი, რას მომტეხავდნენ, ამიტომ თავის ნებაზე მივუშვი ისინი.

ჩემმა ორმა ჯალათმა თავქვეშ ამომიდეს ხის ბალიში და დამაწვინეს ხის საწოლზე, გამაჭიმინეს ერთმანეთის პირდაპირ ფეხები და გამასწორებინეს სხეულის გასწვრივ ხელები. ამის შემდეგ ორივემ მკლავში ხელი ჩამავლო და სახსრების ტკაცუნი ამიტეხეს, დაწყებული მხრებიდან, დამთავრებული ფეხებით, როცა ფეხებმა ტკაცუნი დაამთავრეს, შემდეგ კეფის, ხერხემლისა და წელის ჯერი დადგა. ეს ვარჯიში, რომელსაც თითქოს მთელი ორგანიზმი ნაწილებად უნდა დაეშალა, მიმდინარეობდა განცხრომაში, უმტკივნეულოდ და სრულიად ბუნებრივად. მასაჟის პირველი ნაწილის დამთავრების შემდეგ, ჩემმა ორმა მექისემ შემატრიალეს და მაშინ, როდესაც ერთი მთელი ტალღონით [illegible] მხრებს, მეორე ცეკვავდა ჩემს ზურგზე და დროდადრო ხმაურით აცურებდა ბარძაყზე ფეხებს. საოცარია, რომ კაცი, რომელიც იქნებ 120 ლივრსაც იწონიდა, მე პეპელასავით მსუბუქი მეჩვენებოდა, იგი ჩემს ზურგზე ხტოდა, ჩამოდიოდა და ისევ ხელახლა ადიოდა. ყველაფერი ეს ქმნიდა შეგრძნებათა ისეთ ჯაჭვს, რომელსაც მივყავხარ წარმოუდგენელ კმაყოფილებამდე, მე ისე ვსუნთქავდი, როგორც არასდროს. ამგვარად, ჩემმა მექისეებმა ტკაცუნი დააწყებინეს ჩემს ხელის გულებს, მხრებს, გვერდებს, ბარძაყებს, კანჭებსა და სხვ. მე მათთვის ინსტრუმენტის ერთგვარი სახე გავხდი, რომელზედაც ისინი უკრავდენ რაღაც არიას, რომელიც მე უფრო სასიამოვნო მეჩვენებოდა, ვიდრე „ვილჰელმ ტელის“ და „რობერტ ეშმაკის“ ყველა არია. ამ არიას უპირატესობა ჰქონდა ჩემს მიერ ახლახან ჩამოთვლილ ამ ორ პატივცემულ არიასთან შედარებით: მე, რომელსაც არ შემეძლო ათჯერ არ დამმართოდა დეტონაცია „მალბურკის“ ერთი კუპლეტის სიმღერის დროს, ტაქტი ავაყოლე მექისეების სიმღერას ისე, რომ ერთხელაც არ გადამიხვევია ტონიდან.

ბოლოს, ჩემდა სამწუხაროდ, მასაჟის პროცედურა დასრულდა და გადავიდნენ გასაპნაზე. ერთ-ერთმა მათგანმა მხრებით ამწია და დამსვა იმის მსგავსად, როგორც პიერო არლეკინმა, რომელსაც ეგონა, რომ იგი მოკლა. ამ ხნის განმავლობაში მეორემ ჩაიცვა ცხენის ძუის ხელთათმანი და მთელი სხეული გამიხეხა. პირველმა 40 გრადუსიანი აბაზანიდან სათლებით ამოიღო წყალი და წელსა და კეფაზე შემომასხა. უცბად, ხელთათმანიანმა კაცმა, რომელმაც ჩათვალა, რომ ჩვეულებრივი წყალი აღარ იყო საკმარისი, აიღო პარკი და დავინახე თუ როგორ გაბერა იგი, გამოუშვა საპნის ქაფი, რომელშიც მე მთლიანად გავეხვიე, არასოდეს არ შემიგრძვნია ასეთი სიამოვნება, როგორც ამ ქაფისაგან, რომელიც სხეულზე მეხებოდა, ოღონდ ცოტა თვალები მეწვოდა.

რატომ არ არის სპარსული აბანოები პარიზში, სიამოვნებათა ამ ქალაქში?

რძესავით თეთრი, ჰაეროვანი და ნელთბილი ქაფით სრულიად დაფარული აუზისაკენ წამიყვანეს და ისეთი დაუძლეველი მიზიდულობის გრძნობით ჩავედი, თითქოს იგი სავსე ყოფილიყო წყლის ალებით, რომლებმაც მოიტაცეს ჰილასი. ასეთივე პროცედურები ჩაუტარეს ჩემს ამხანაგებსაც. მაგრამ მე მხოლოდ ჩემი თავით ვიყავი გატაცებული.



ჩვენ დაახლოებით 5 წუთი დავყავით აბაზანში და შემდეგ ამოვედით.

შემოსასვლელში თეთრად გაქათქათებული ზეწრები იყო გაშლილი, ოთახის ცივმა ჰაერმა პირველად აგვიტანა, რათა ახლად განგვეცადა სიამოვნების გრძნობა. დავწექით ამ საწოლებზე და მოგვიტანეს ჩიბუხები.

მე მესმის რატომ ეწევიან აღმოსავლეთში, სადაც თამბაქოს სურნელებაა, სადაც კვამლი სურნელოვან წყალში ქარვის მილში გადის, მაგრამ ჩვენი კაპორალიანი მიწის ჩიბუხი და ყალბი ჰავანის სიგარა, რომელიც ალჟირიდან და ბელგიიდან მოდის, რომელსაც ღეჭავენ, უკეთეს შემთხვევაში ეწევიან, საძაგლობაა. შეგვეძლო აგვერჩია ყალიონი, ჩიბუხი ან ჰუკა და თვითეული თავისი ფანტაზიის მიხედვით გადაიქცა თურქად, სპარსელად ან ინდუსად. შემდეგ სალამოს, რომ არაფერი დაჰკლებოდა, ერთ-ერთმა მექისემ მოიტანა ერთფეხიანი გიტარის მსგავსი ინსტრუმენტი, რომელიც ერთ ფეხზე ტრიალებდა მსგავსად სიმებისა, რომლებიც ეძებენ ქამანს და არა ქამანისა, რომელიც ეძებს სიმებს. მან დაიწყო სევდიანი არიის დაკვრა, რაც აკომპანიმენტს წარმოადგენდა სადის ლექსებისათვის. ეს მელოდია იმდენად ტკბილად და კარგად გვარწევდა, რომ თვალები დაგვეხუჭა და ხელიდან გაგვივარდა ვის ყალიონი, ვის ჰუკა თუ ჩიბუხი და დაგვეძინა.

იმ ექვსი კვირის განმავლობაში, რაც მე თბილისში ვიყავი, ყოველ ორ დღეში დავდიოდი სპარსულ აბანოებში.

ფრანგულიდან თარგმნეს

რ. მებრელიშვილმა და მ. მგალობლიშვილმა.



# ფილატელისტური უნიკა

მერაბ მელითაური

1914 წელს მოსკოველმა ფილატელისტმა კ. შმიდტმა, რომელიც რუსეთის საფოსტო მარკების აღიარებულ მცოდნედ ითვლებოდა, ერთ-ერთ არქივში მიაკვლია საფოსტო მარკას, რომლის აღმოჩენა მთელი მსოფლიოს ფილატელისტებმა „პირველხარისხოვან აღმოჩენად“ ჩათვალეს და ამ მარკას „ფილატელისტური უნიკა“, „რუსეთის № 1 ახალი მარკა“, „პირველი დასაკრობი მარკა“ უწოდეს. ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იუგოსლავურ სპეციალურ ჟურნალებში დაიბეჭდა მრავალი წერილი, ამ აღმოჩენის ირგვლივ გაიმართა ვრცელი და ცხარე დისკუსია, თვით მარკა გამოფენილ იქნა ფოსტის ისტორიისადმი მიძღვნილ გამოფენაზე ბერლინში... ერთი სიტყვით ამ აღმოჩენამ დიდი აურზაური გამოიწვია მთელი მსოფლიოს ფილატელისტებში.

საქმე ისაა, რომ ამ აღმოჩენამდე რუსეთის იმპერიის უძველეს პირველ მარკად ითვლებოდა 1858 წელს გამოშვებული 10 კაპეიკიანი მარკა, რომელიც საფოსტო დეპარტამენტის განკარგულების თანახმად 1858 წლის იანვრის პირველს შევიდა ხმარებაში (ხოლო ციმბირსა, კავკასიასა და ამიერკავკასიაში მარტის პირველს) და როგორც ყველაზე ადრინდელ მარკას მას მინიჭებული ქონდა „რუსეთის № 1 მარკის“ საპატიო სახელწოდება— და, ცხადია, როგორც უნიკალური მარკა ყველა კოლექციონერის ოცნებად იყო გადაქცეული მისი შეძენა, ხოლო მას ვისაც ქონდა ასეთი იშვიათი ნიმუში, ამაყობდა ამ უნიკუმით — და აი, ახლა შმიდტმა აღმოაჩინა მარკა, რომელიც თურმე უფრო ადრე ყოფილა გამოშვებული და ხმარებული!

ეს გახლდათ ქალაქ თბილისის საქალაქო ფოსტის მარკა. თურმე ფილატელისტურ წრეებში ხმები იმის შესახებ, რომ თბილისში ოდესღაც არსებობდა ქალაქის ფოსტა და ადგილობრივი წერილებისათვის გამოშვებული იყო საგანგებო საფოსტო მარკა, უკვე გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში გავრცელდა; ამ ხმების საფუძველზე ფილატელისტური ჟურნალის „ტიმბრ-პოსტის“ გამომცემელმა ი. ბ. მუნსმა 1889 წლის ივნისის ნომერში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც სხვათა შორის წერდა, რომ მან მიმართა ქალაქ თბილისის ფოსტის დირექტორს, რომელმაც უპასუხა, რომ ოდესღაც ასეთი მარკა მართლაც არსებულა, მაგრამ მას გარკვეულად ამის შესახებ არაფრის თქმა არ შეუძლია.

ამ ბუნდოვან და სათუო პასუხზე დაყრდნობით მუნსი, მარკების კატალოგის ყოველ ახალ გამოცემაში ათავსებდა ასეთ ცნობას“ „Tiflis — და თანაც წერდა „I y a eu timbres. mais lesqueles?“ ე. ი. „მარკები კი იყო, მაგრამ სახელდობრ რომელი?“

თვით შმიდტი ბევრს ეცადა, მიმართა თბილისის მკვიდრებს, გამოაცხადა გაზეთებში, დანიშნა საგანგებო ჯილდო, მაგრამ ვერაფერს გახდა, სანამ სრულიად შემთხვევით ერთი კერძო არქივის გარჩევის დროს არ იპოვა და თანაც ერთბაშად სამი ეგზემპლარი ამ მანამდე საიდუმლოებით მოცული მარკისა.

შმიდტი ამტკიცებდა ეს მარკა პირველი მარკაა რუსეთის იმპერიაშიო, მაგრამ ამის დასაბუთება იყო საჭირო.

რას წარმოადგენს თვით ეს ფილატელისტური განძი?

აღმომჩენი მას აღწერს: „მარკა აღბეჭდილია არაჩვეულებრივ ზუსტად და გარკვეულად გამოსახული უფერო, რელიეფური შტემპელის მეშვეობით. მისი ზომა 22×22 მილიმეტრს უდრის. შუაში გამოსახულია ქალაქ თბილისის მდიდრული გერბი, რომლის თავზე მოთავსებულია ორთავა არწივი — დაბლა დაშვებული ფრთებით, როგორც მას ჩვეულებრივ გამოსახავდნენ ნიკოლოზ I მეფობის დროს. გერბი წმინდა რელიეფური წრითაა შემოხაზული, ხოლო წრე ჩასმულია ორმაგ კვადრატულ ჩარჩოში. ამ ჩარჩოზე მოთავსებულია წარწერა (მარცხნიდან მარჯვნივ) „Тифлис (ская) город (ская) (почта) 6 коп.“ კუთხეებში ჩარჩოსა და წრის შუა მოთავსებულია ორ-ორი გადაჯვარედინებული საფოსტო ბუკი. მოყვითალო-თეთრი ქაღალდის სისქე 0,2 მილიმეტრია. მოყვითალო-თეთრი წებო სქლად აქვს წასმული და ამიტომ მეტად დამსკდარია“.

ჩვენ განგებ მოგვაქვს ეს დაწვრილებითი აღწერა, რადგან ყველა ამ დეტალს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მარკის პირველობის დამტკიცების დროს. იმ გარემოებას — კი რომ მარკას წებო აქვს წასმული განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც „ნამდვილი მარკის“ განმსაზღვრელს, რადგან ზოგიერთი სკეპტიკოსი ფილატელისტი გამოსთქვამდა ეჭვს, რომ ახლად აღმოჩენილი მარკა— დაშტემპელებული კონვერტიდანაა ამოჭრილი.




შმიდტი მარკას ათარიღებს შემდეგი ნიშნებით— ფრთადაშვებული ორთავა არწივის გამოსახულება ხმარებაში იყო 1855 წლამდე, ხოლო ალექსანდრე II დროს მას უკვე მარაოსებურად ფრთაგაშლილად ხატავენ, ისე როგორც იგი დახატული იყო რუსეთის რევოლუციამდელ მარკებზე. ამგვარად ახლად მოპოვებული მარკა 1855 წლამდე უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი.

ფილატელისტებს მეორე საკითხიც აეჭვებდა და ესეც დისკუსიის საგნად გახდა — ეკუთვნის თუ არა ეს მარკა სახელმწიფო მარკების რიცხვს და ხომ არ არის იგი ეგრეთ წოდებული კერძო საფოსტო მარკა, ანდა ერობის მარკა (ასეთებიც იყო). მაგრამ, საერობო დაწესებულებები ამიერკავკასიას არასოდეს ღირსებია, მიუხედავად მრავალი დაპირებისა, ასე რომ ეს ეჭვი უსაბუთო იყო, ხოლო რაც შეეხება კერძოს — ასეთები მხოლოდ ევროპაში იყო ცნობილი...

მაგრამ, ყოველივე ეს არაპირდაპირი საბუთებია, ხოლო მარკის გამოშვების თარიღის დადგენა ხერხდება იმდროინდელ ოფიციალურ გამოცემათა მეშვეობით. ამ დისკუსიის დროს რუსეთის ფილატელისტები არ იცნობდნენ ზოგიერთ ოფიციალურ დოკუმენტებს, ხოლო ევროპელებს — კი ხელი ვერ მოუწვდებოდათ...

სანამ თვით მარკის ამბავს გავარკვევდეთ — გავიხსენოთ, როგორ იყო მოწყობილი თბილისში ფოსტა ამ ასი წლის წინათ და რამ გამოიწვია საქალაქო მარკის გამოშვების საჭიროება?

1830 წლამდე ფოსტის გადაზიდვა უეზდების ნაწილებს ჰქონდათ დავალებული, ხოლო როდესაც საფოსტო გზავნილებათა რაოდენობა გაიზარდა დაარსებული იქნა საგანგებო „ჩაფარხანა“ ე. ი. მოსახლეობის ბეგარა ფოსტის გადასაზიდად.

1830 წელს ამიერკავკასია შეყვანილ იქნა რუსეთის საერთო საფოსტო სისტემაში, როგორც XIII საფოსტო-საინსპექციო ოლქი. მთავარი, საოლქო საფოსტო კანტორა თბილისში იყო მოთავსებული (ახლანდელ კოლმეურნეობის მოედანზე, რომელსაც ამის გამო საფოსტო მოედანი ერქვა). პირველი კლასის კანტორები დაარსებულ იქნა ბაქოში, ერევანში, ნახჭევანში, ქუთაისსა და რედუტ-კალეში (ყულევი).

შუა ორმოციან წლებში თბილისში საფოსტო კავშირის შემდეგი სახეობები მოქმედებდა: „ექსტრა-ფოსტა“ — რომელსაც რეგულარულად კვირაში ორჯერ მიქონდა კორესპონდენცია მოსკოვში, პეტერბურგში, ვარშავაში და ა. შ.

„მძიმე ფოსტა“ — აგრეთვე, კვირაში ორჯერ— რუსეთის მიმართულებით.

„მსუბუქი ფოსტა“ — ამიერკავკასიაში და მოსაზღვრე გუბერნიებში.

„ფრთოსანი ფოსტა“ — მესაზღვრე გარნიზონებში.

„საესტაფეტო ფოსტა“ — ვლადიკავკაზში და „კორდონს გარეთ“ — საგანგებო დავალებით და საგანგებო საგზაო ხარჯების გადახდით. საფოსტო გზავნილებათა ფასგადახდა ძალიან რთული იყო. საფოსტო ნიხრი მეტად ვრცელი იყო — იგი 700-ზე მეტ სხვადასხვა პუნქტს შეიცავდა. 1839 წელს — ახალი ნიხრი შემოიღეს — რუსეთის იმპერიის ყველა გუბერნიებისთვის სხვადასხვა, ე. ი. 52 ნიხრი. თანაც საქმეს ართულებდა ის გარემოება, რომ გამგზავნელს ფული უშუალოდ ფოსტაში უნდა გადაეხადა.

1848 წელს რუსეთში შემოიღეს საგანგებოდ დაშტემპელებული კონვერტები — ეს იყო საფოსტო ანაზღაურების პირველი ნიშნები რუსეთში. მათ მხოლოდ მოსკოვში და პეტერბურგში ჰქონდათ ძალა.

მეფის ნაცვალი მ. ს. ვორონცოვი (იგი 1844-1854 წლებში მოღვაწეობდა კავკასიაში) დიდად ხელს უწყობდა საფოსტო საქმის განვითარებასა და საგანგებო რაპორტში აღნიშნავდა საფოსტო კორესპონდენციის ზრდას, როგორც განათლების გავრცელების მანიშნებელ მოვლენას, ამასთანავე საფოსტო უწყებისგან მოითხოვდა საგანგებო დაშტემპელებული კონვერტების (ან როგორც მაშინ უწოდებდნენ — „კუვერტების“) გამოშვებას, მოსკოვისა და პეტერბურგის მაგალითით.

მაგრამ თვით ვორონცოვისათვის ცნობილი იყო საფოსტო .ანაზღაურების სხვა საშუალებაც — საფოსტო მარკაც. როგორც ცნობილია, ვორონცოვმა ახალგაზრდობა ინგლისში გაატარა და შემდეგაც დაკავშირებული იყო ამ ქვეყანასთან. ინგლისმა — კი უკვე 1840 წელს გამოუშვა — მსოფლიოში პირველი მარკა, რომელზედაც აღნიშნული იყო, რომ საფოსტო გზავნილების ფასი წინასწარ არის გადახდილი. — ეს მეტად მოხერხებული და გამგზავნისათვის იოლი საშუალება იყო ფულის გადახდისა...

მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში თბილისის საფოსტო გზავნილებათა რაოდენობა არაჩვეულებრივ გაიზარდა. მხოლოდ 1855 წლის განმავლობაში თბილისიდან გაიგზავნა 197.928 კერძო და 385.988 სახელმწიფო უბრალო წერილი, ხოლო თბილისში მიღებულ იქნა 263.549 კერძო და

# ასი წლის წინათ

**ქ. ნალასყურელი**

ასი წლის წინათ თბილისი — უკვე მთელი კავკასიის დედაქალაქია. თბილისში იბეჭდება ორი რუსული ოფიციოზი „კავკაზი“ (კვირაში ორჯერ) და „ზაკავკაზსკი ვესტნიკი“ (კვირაში ერთხელ). გამოდის ერთადერთი ქართული პერიოდული გამოცემა ჟურნალი „ცისკარი“, რას წერდნენ ასი წლის წინათ — 1858 წელს ოქტომბერში თბილისის ჟურნალ-გაზეთები?

„კავკაზსა“ და „ზაკავკაზსკი ვესტნიკში“ უმთავრესად ოფიციალური ხასიათის მასალა იბეჭდება — მთავრობის განკარგულებანი, დაჯილდოვებანი, სამსახურში დაწინაურებანი, ჩინების მომატება...

ყველაზე საინტერესოა — დაწვრილებითი მიმოხილვა კავკასიის ომებისა — „კავკასიის მატიანე“ — რომლებიც თავგამოდებული ვაჟკაცობისა და „მთიელთა“ ვერაგობის“ ამბებს შეიცავს.

გაზეთები სავსეა კონტრასტებით — სასწავლო-სალიტერატურო განყოფილებაში იბეჭდება დისკუსია „ქალი თანამედროვე ყოფაში“, სადაც მოკამათეები ქალთა უფლებებისა და მისი როლის შესახებ ავარჯიშებენ მჭევრმეტყველებას, ხოლო, იქვე „ზაკავკაზსკი ვესტნიკში“ მოთავსებულია განცხადება: „თბილისის სამაზრო სამეურვეოს ნებართვით იყიდება სოფელ არანისში, დუშეთის უბნისა, სამი კომლი გლეხთა თეთრუაშვილების, თავისი მამულით, რომელიც ეკუთვნოდა გარდაცვალებულ აზნაურის დიმიტრი ივანეს-ძე ზანდუკელის ობლებს... შეძენის მსურველებმა მომმართონ დუშეთში“... და ა. შ. ანდა „გორის სამაზრო სამმართველო სთხოვს ამიერკავკასიის ყველა დაწესებულებებს უკეთუ აღმოაჩინონ მე-12 კლასის მოხელის მაისურაძის ქვრივისაგან გამოქცეული ლუარსაბა და დედა მისი ხანუმა (რომელიც თავისთავს ტომაევს უწოდებს) მაშინვე გამოგზავნონ ისინი გორის სამაზრო სამმართველოში“.

იქვეა განცხადებები — იმის შესახებ, რომ 3 ოქტომბერს შესდგება ზელინის ოპერის „ნორმას“, ხოლო შემდგომ დღეს დონიცეტის „ლუკრეცია ბორჯიას“ წარმოდგენა.

„ცისკრის“ 1858 წლის წიგნებში მრავალი საყურადღებო ცნობაა ქ. თბილისის ცხოვრების შესახებ — დიდის ამბით არის მოთხრობილი ქ. თბილისში თავადაზნაურობის ყრილობის ამბები.

მაგრამ არა მარტო ასეთი ამბებია ასახული ჟურნალში — 1857 წელს ტფილისში მოეწყო „გამოფენა ბუნებისა და ხელთა ნაწარმოების ნიმუშებისა“ და აღტაცებული ქრონიკიორი წერს „ძნელად ნახავს კაცი იმ გვარს სანახავს, რომელსაც წარმოადგენდა ვისტავკა. იქ სულ შვიდს ოთახში, იყო მოგროვილ და მოთავსებულ ყოველი, რაიცა შეადგენს ნამდვილ სიმდიდრეს აქაურის ქვეყნისას. რასაკვირველია ეს არა არს ჯერეთ სრული სურათი ყოველის საუნჯისა, და ვინ იცის რაოდენი იყო კიდევ აქაურის ბუნების წიაღში დაფლული საგანი, რომლისთვისაც კაცის შრომას ჯერეთ არ მიუგნია. მაგრამ რაც კი ვნახეთ ეხლა, ეს ყოველივე იყო გასაოცარი“...

„ცისკრის“ სამხატვრო განყოფილებაში დაბეჭდილის ჩამოთვლას არ შევუდგებით, იქ ბევრი უნიჭო და ბევრი შესანიშნავი ნაწარმოებია დაბეჭდილი, საკმარისია ვახსენოთ, რომ პირველად 1858 წელს „ცისკარში“ გამოქვეყნდა ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ და გრ. ორბელიანის „იარალისადმი“.

ჟურნალის პროზული განყოფილება უმთავრესად თარგმნილი ლიტერატურით საზრდოობს — მათ შორის დიდი ადგილი უჭირავს ლ. არდაზიანის მიერ თარგმნილ „ჰამლეტს“. მეტად დიდი ადგილი აქვს დათმობილი თვით რედაქტორის ივანე კერესელიძის „ახალგაზრდობის ცოდვას“ და ა. შ. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია, რასაკვირველია, „სალაყბოს ფურცელი“, სადაც თბილისის ყოფის შესანიშნავი სურათებია მოცემული. ავტორი აღწერს ძველს, გარდასულ პატრიარქალურ ცხოვრებას... და ფრიად კრიტიკულად არის განწყობილი ახლის მიმართ — „წამოვიდეთ ქალაქის გულში. ვნახოთ რას აღმოგვიჩენს ახლანდელი საზოგადოებითი ცხოვრება, გამოცვლილი და განახლებული. დღე არის ზამთრიანი. მზე ჯერ კიდევ მაღლაა სოლოლაკის თავზე, მაგრამ გაბმული გაცივებულს ბურუსიანს ჰაერში არ იჩენს სხივების ძალას და ძლივს გადმოაქვს ცუნგლიანს სინათლეს ძველს გორგასალის ქალაქს... ვეება შადრევანი, პოლიციის წინ აგებული, თითქოს იყოსო მართლმსაჯულების წყარო, არ ასმევს არავის თავის წყალს, რადგანაც არის ყინვისგან შეკრული. მარჯვნივ თამამშევის ქარვასლას წინ, წახვეულნი ბეწვიანს პალტოებში და შუბებში მიმოვლიან მცხოვრებნი ქალაქისანი გრძელს და განიერს ფილაქანზე... ამ ჰაერში იბადებიან და ამ ჰაერში ცხოვრობენ. ეს ბინა ერთ რიგად მიემსგავსება ძველს სალაყბოს, რომლისთვისაც მე ეხლა ასე ვსწუხ და ვოხრავ, თუმცა ამ ახალს სალაყბოს სხუა ზნე ჰსჭირს, სხუა ბეჭედი აძევს, ესე იგი ვაჭრობისა და გამორჩენისა“ — მაგრამ ეს ახალი „ვაჭრობისა და გამორჩენის“ სამყარო უკვე ეპატრონება ყველაფერს და გაზეთები სავსეა — ახალი სავაჭროების, ახალი ფირმების განცხადებებით...

1858 წელს ქ. თბილისში სულ სამი ქართული წიგნი გამოიცა.

ეტყობა წიგნები მაინცდამაინც ადვილად ვერ საღდებოდა, რადგან. გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკში“ პლატონ იოსელიანი ხშირად ათავსებს განცხადებებს მის მიერ გამოცემული წიგნების „წყობილ სიტყვაობის“, „მეფე თეიმურაზ I ცხოვრების“ (მეფე არჩილისა), „მიტროპოლიტ იონას მოგზაურობა აღმოსავლეთში“, „დიდმოურავიანისა“ და სხვ. შესახებ, უნდა აღინიშნოს, რომ წიგნები თითო ცალი 1 მანეთი ღირს (ვერცხლით), ეს კი საკმაოდ დიდი თანხაა, (თუ ვიანგარიშებთ, რომ ფუთი პური 50 კაპ. ღირდა).

---

695.263 სახელმწიფო გზავნილება.

საინტერესოა, რომ რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში საფოსტო მიმოწერა გაცილებით ნაკლებად იყო განვითარებული. ყოველ ას მცხოვრებზე რუსეთში — 12,3 გაგზავნილი და მიღებული წერილი მოდიოდა, ხოლო თბილისის ყოველ 100 მცხოვრებზე 36 წერილი (ლონდონში — 100 მცხოვრებზე — 300 წერილი იგზავნებოდა).

სწორედ ამ გარემოებებით იყო გამოწვეული ის, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა თბილისის ქალაქის მარკის გამოშვება. უცხოეთის ზოგიერთი ფილატელისტი უარყოფდა ადგილებზე მარკის გამოშვების შესაძლებლობას იმ საბუთით, რომ ამის უფლება გუბერნატორებს არ ჰქონდათ მინიჭებული, მაგრამ მათ ავიწყდებოდათ რომ ვორონცოვს შეუზღუდავი უფლებები ჰქონდა.

ახლად გამოშვებული მარკის ხმარების საგანგებო წესებში მას უწოდებენ „ქაღალდის დაშტემპელებულ ბეჭედს, რომელსაც ობლატის თვისებები აქვს“ (ე. ი. ეკრობა როგორც სამედიცინო ობლატი). ეს სახელწოდება კიდევ ერთი საბუთია თბილისის მარკის პრიორიტეტისა: — საქმე ისაა რომ სახელწოდება „მარკა“ პირველად იქნა ხმარებული რუსეთის საიმპერიო მარკის გამოშვებისას, ე. ი. 1858 წელს, მანამდე კი იგი რუსეთში უცნობი იყო და თბილისური მარკის გამომშვებნი მას ვერ იხმარდნენ.

მაინც როდის იქნა გამოშვებული თბილისური მარკა?

განცხადება თბილისის ქალაქის ფოსტისა მარკის გამოშვების შესახებ მოთავსებულია „კავკასიის კალენდრის“ 1858 წლის ტომში. როგორც ცნობილია ყველა კალენდრები ადრე იბეჭდება, მართლაც ამ ტომს 1857 წელი აწერია გამოცემის წლად. ე. ი. მარკა ამ წლის დასასრულს იქნა გამოშვებული. „კავკასიის კალენდრის“ წინა (1857 წლის — 1856 წელს გამოშვებულ ტომში) იგი არ მოიხსენიება.

გარდა ამისა კიდევ ერთი საბუთი აზუსტებს მარკის გამოშვების თარიღს. 1857 წლის 26 ოქტომბრამდე თბილისის ფოსტა იმყოფებოდა საერობო პოლიციის განკარგულებაში, ხოლო ამ დაწესებულებას მარკის გამოშვების უფლება ცხადია, არ ჰქონდა, ხოლო ეს შესაძლებელი გახდა მაშინ, როდესაც ფოსტა გადაეცა საფოსტო უწყებას, რომელიც მეფის ნაცვალს ექვემდებარებოდა.

როგორც ჩანს, მარკა 1857 წლის ნოემბერ-დეკემბერშია გამოშვებული, ხოლო დეკემბერშივე უკვე გამოშვებულ იქნა რუსეთის საიმპერიო მარკა. გაზეთ „კავკაზის“ 1858 წლის 19 იანვრის ნომერში მოთავსებულია საფოსტო დეპარტამენტის განცხადება ამ მარკის გამოშვებისა და მისი კავკასიაში 1858 წლის 1-ლ მარტიდან შემოღების შესახებ. ამგვარად თბილისის ქალაქის მარკამ სულ სამი თუ ოთხი თვე იარსება.

„კავკასიის კალენდრის“ 1858 წლის ტომში მოთავსებულია საინტერესო ცნობები თბილისის საფოსტო მომსახურების შესახებ. დაწვრილებითაა განმარტებული თუ როგორ უნდა დაეკრას მარკა კონვერტზე და ჩაგდებულ იქნეს საგანგებოდ მოწყობილ საფოსტო ყუთებში.

როგორც ჩანს, თბილისის ქალაქის მარკა ბევრი არ დაუბეჭდიათ — ამით აიხსნება ის, რომ დღემდე მხოლოდ სამი ეგზემპლარია მიგნებული, მაგრამ ფაქტი — ფაქტად რჩება:

თბილისში 1857 წლის დასასრულს გამოშვებულ იქნა ნამდვილი სახელმწიფო საფოსტო მარკა, რომელიც ხმარებაში იყო სამი თუ ოთხი თვის განმავლობაში.

დღეს საქართველოში და, ვგონებ საერთოდ საბჭოთა კავშირში, ამ მარკის არც ერთი ცალი არ არის დარჩენილი (როგორც გავიგეთ უკანასკნელი ცალი გასულ წელს ახალგაზრდობის ფესტივალის დროს საზღვარგარეთელ ფილატელისტს გაუცვალეს). ადვილად შესაძლებელია რომ თბილისის არქივებში იმდროინდელი მიწერ-მოწერის გულდასმით გადასინჯვით მივაკვლევთ ამ საინტერესო და უნიკალურ მარკას, რომლის აღმოჩენამ ესოდენ აალელვა მსოფლიო ფილატელისტური წრეები და წმინდა მავრიკის კუნძულის უნიკალური მარკის ერთადერთ დარჩენილ ეგზემპლართან ერთად უდიდეს ფილატელისტურ იშვიათობად ითვლება მსოფლიოში.

თუ რა ბედი ეწვია შმიდტის კუთვნილ თბილისის მარკას და აგრეთვე ამ მარკის სხვა ეგზემპლარებს უცნობი იყო, მხოლოდ ამას წინათ უცხოეთის ფილატელისტურ პრესაში გამოჩნდა ცნობები, რომ 1957 წელს ლონდონში აუქციონიდან გაიყიდა რუსული მარკების დიდი კოლექცია, რომელიც ვინმე ჩარლზ შტიბეს ეკუთვნოდა. ამ მარკებში იყო თბილისის მარკის ერთი ეგზემპლარი, რომელიც ადრე ცნობილ პეტერბურგელ ფილატელისტსა და იუველირს ა. კ. ფაბერჟეს ეკუთვნოდა.



# სვანური კოშკები

ალექსი დავითიანი

იშვიათია ისეთი სოფელი ზემო სვანეთში, სადაც კოშკი ან მისი ნანგრევი არ იყოს. თუ პატარა სოფლებში ორი და სამი კოშკი მაინც შეინიშნება, მოზრდილ ხევებსა და სოფლებში, რამდენიმე ათეულიც კი დაითვლება. ზოგ ხევში კოშკები ისე მჭიდროდ დგანან ერთმანეთთან, რომ სახურავიდან სახურავზე თამამად გადახტება გაბედული ვაჟკაცი. ასეთია, მაგალითად, კოშკები მესტიაში.

ეს კოშკები ზოგი კერძო ოჯახს ეკუთვნოდა და ზოგიც — მთელი გვარის საძმო — საერთო კუთვნილება იყო. საგვარეულო კოშკებს გვარი იყენებდა საჭიროების მიხედვით, თავს აფარებდა თავის კოშკს მოსალოდნელი საშიშროების დროს. შეფარებულისთვის კოშკი საიმედო იყო, მას გარეშე ძალა ვერაფერს აკლებდა.

საგვარეულო კოშკებს, ზოგჯერ, აკლდამებადაც იყენებდნენ. სოფ. ლემდერში კოშკის შექრალ საძირკველში იპოვეს რამდენიმე ჩონჩხი, რომლებსაც შედუღაბებული ყავრები ჰქონდა მიფარებული; მესტიის ერთ-ერთ კოშკში თავმოყრილი იყო ნადირის აუარებელი ძვალი. კოშკებშივე ინახავდნენ სხვადასხვა განძეულობას.

კოშკს სვანურად „მურყვამ“ ეწოდება. ის მთელ ტერიტორიაზე ოთხკუთხიანია და ოთხ-ხუთსართულიანი; ზოგი სადა კედლით თავდება, ზოგს კი ქონგურები აქვს. გარდა ოთხკუთხოვანისა, აქ სხვა ტიპის კოშკი არ გვხვდება და ყურადღებას იქცევს ისიც, რომ თვითონ სვანეთიც ორი მხრივ კოშკებით ისაზღვრება: ლეჩხუმსა და სვანეთს მურის ხიდი და კოშკი საზღვრავს. ასევე, სამეგრელოს მხრით—გუბანდის კოშკი, თითქოს ეს კოშკოვანი კუთხე კოშკით იწყება და კოშკითვე თავდება. სვანური მურყვამ-კოშკის სახელწოდება გვხვდება ერთ-ერთ უძველეს ჰიმნ-საგალობელში. ტექსტის მიხედვით „კოშკი სავსეა ოქროს სამკაულით. რიონი სამ-ორ კეცად არტყია, საძირკველში ირმის ჯოგები უწევს და თავს შევარდნების გუნდი დასტრიალებს...“ სოფ. ეცერში დღემდე ასახელებენ თამარ დედოფლის კოშკს, სადაც დედოფალს განძსამკაული დაუტოვებია და შემდეგ, რადგან არ დაბრუნებულა, უპატრონოდ დარჩენილი განძეულობა თავად დადეშქელიანებს მიუთვისებიათ.

კოშკის მშენებელი ოჯახი დიდი ხნით ადრე იწყებდა სურსათ-სანოვაგით მზადებას. ძირითადად მარცვლეული ჭარბად უნდა ჰქონოდა, არ უნდა დაკლებოდა არაყი და სახორცე, მრავლად უნდა ჰყოლოდა მეწველი, გამწევი ძალა და სხვ. ხევი და მასში შემავალი სოფლები ვალდებული იყვნენ მშენებლობისათვის ყოველგვარი დახმარება გაეწიათ. მშენებელი ოჯახი კირისქვას და ქვიშას თვითონ მოამზადებდა, სამარხილე გზებს მოაწესრიგებდა და ხევს აცნობებდა. დანიშნულ დღეს ხევის „გალდამი“ მწყობრად გამოდიოდა ხარ-მარხილით და საერთო ძალით შემოზიდავდა კირსაც და ქვიშასაც. ოჯახი ვახშამს აჭმევდა. ეს კოლექტიური შრომა უფასო იყო. სოფლის საერთო ძალით შემოზიდავდნენ საშენ ქვას და გამოწვავდნენ კირს, რომლის მთელი მარაგი, უხუცესთა თქმით, სულ ცოტა — ოცდახუთ საკირეს უდრიდა.

„გალდამში“ მონაწილეობა ყველა ოჯახს ევალებოდა და მხოლოდ მცირეწლოვანი ობლები თავისუფლდებოდნენ. ცალხარიანი ოჯახები შეერთდებოდნენ და კუთვნილ მოსაზიდს ისე ზიდავდნენ, უხარო ოჯახები სხვა საქმეს დაივალებდნენ. ასე რომ „გალდამის“ მთლიანობა არ ირღვეოდა. „გალდამის“ გამოძახების უფლება ხევში ყველას ჰქონდა.

კოშკის შენობის დაწყებისთანავე ხევ-სოფელი მზად იყო მუშახელითაც მოხმარებოდა მშენებელ ოჯახს. ესეც სავალდებულოდ იყო აღიარებული, ოღონდ ახლომახლო ოჯახები, შორეულებთან შედარებით, უფრო მეტ ხანს ეხმარებოდნენ. დრო ისე იყო განაწილებული, რომ მუშახელის ერთბაშად მოწოლა არ ხდებოდა. სამუშაოდ მომსვლელი შორიდანაც ხალისით მოდიოდა. თუ გზაში ქვა მოეწონებოდა და მორევნა შეეძლო, წაიღებდა და კოშკზე სამახსოვროდ დააშენებინებდა. მომხმარე მუშახელს თავისი საგზალი თან მოჰქონდა.

საკოშკე დუღაბს ჩვეულებრივისგან არჩევდნენ უფრო მეტი კირის ჩამატებით. სართულებისთვის ცალკე ამზადებდნენ სპეციალურ ხსნარს, რომელიც ჩვეულებრივი დუღაბისგან იმით განსხვავდებოდა, რომ ჭვავის ფქვილი რძეში იყო შეზავებული, რაც, კირქვიშასთან ერთად, კედელს ინახავდა დაუზიანებლად და თეთრმოყვითალო ფერსაც უნარჩუნებდა, ამ ფერის კოშკები თითქმის დღემდეა შემორჩენილი.

კოშკის მშენებელ ოჯახს ახლომახლო სოფლები სურსათ-სანოვაგითაც უწყობდნენ ხელს. ოჯახებს დღეები განაწილებული ჰქონდათ. დათქმულ დღეს თითო მოსახლეს სადილი მოჰქონდა და შენობაზე მომუშავეებს დაუხვდებოდა. ოჯახს სირცხვილ-სახელთან ერთად, საერთოდ, ისიც ამოქმედებდა, რომ ეს სადილიც ერთგვარად გავალებული იყო, მშენებელი ოჯახი დაიმახსოვრებდა და თავის დროზე თვითონაც თანაბარი პატივით მოიკითხავდა.

კოშკის მშენებლობაში ყველაზე ძნელი იყო ფუძის ამოყვანა. კოშკის ფუძე-ძირი საერთოდ მკვრივად შედუღაბებული ლოდებისგან იყო ნაშენი. ღრმად ჩაყრილ საძირკველზე დასაშენებლად უფრო მეტად რიყის ქვას იყენებდნენ და მკვრივად დადუღაბებული ნაწილი, სართულების დასაწყისამდე, საშუალოდ ორი კაცის სიმაღლეს აღემატებოდა.

სვანური კოშკების მოცულობა დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. საშუალო ზომად მიღებული იყო 8-12 მხარამდე.

ტიპურად ერთი და იმავე კონსტრუქციის სვანური კოშკი ქართული კოშკებისგან განსხვავებით, ოთხკუთხოვანი და მრავალსართულიანია. მისი პირველი სართული მაღალი ფუძე-ძირით იწყება და შესასვლელად პატარა კარი აქვს (იშვიათად გვხვდება ორკარიანიც). სართულს დატანებული აქვს ერთი საცხვირე (სანცხერ), რომელიც გარედან ვიწროა და მაღალი, შიგნით კი ფართოა და ისე მოწყობილი, რომ რამდენიმე კაცს ზედიზედ შეუძლია სროლა.

სართულსა და სართულს შუა უფრო მეტად ქვის გუმბათია, რომელსაც პატარა კარი აქვს და შემდეგ სართულში ასასვლელი ჭდეებიანი კიბე უდგას. უკანასკნელი სართული უფრო მეტად დამშვენებული აქვს ქონგურებით. ქონგურებს კუთხიდან კუთხემდე სამ-სამი პატარა სარკმელი აქვს.

სვანური კოშკების მთელ აღნაგობაში გასაოცარი სისწორე და სიზუსტეა დაცული. ამასთან ზოგჯერ ყურადღებას იქცევს დიდი ქვები, რომლებიც მშენებელს მაღლა სართულებში მოუქცევია. მოსახლეობა ამ ქვალოდების ატანას თავისდროინდელ მექანიზაციას უკავშირებს და გადმოცემები ადასტურებს, რომ ლოდებს წევდნენ მოწყობილი ძელებით, რომლებსაც „ჭაურგენებს“ ეძახოდნენ. ჭაურგენს რამდენიმე კაცი მართავდა და სიმძიმე სართულიდან სართულამდე ადვილად აჰქონდათ. სხვა ვარიანტით კოშკს გარშემო სპირალური ხარაჩოები ჰქონდა შემოვლებული ძირიდან თავამდი და ასაზიდს ცალუღელა ხარი ან ვირი ეზიდებოდა.

კოშკის აშენების დამთავრებას ხევი ზეიმით ხვდებოდა. მოსახლეობას საერთო სიხარულის საბაბი ჰქონდა. გაღებული წვლილი სოფელს ერთ საიმედო თავშესაფარს მატებდა. ხშირად ხევში ერთ და იმავე დროს რამდენიმე კოშკი შენდებოდა ან კიდევ ოჯახი და ოჯახი ერთმანეთს შეეჯიბრებოდა. ზოგჯერ, მშენებელი მამა გარდაიცვლებოდა და, სიკვდილის პირას მისული, შვილს უანდერძებდა კოშკის დამთავრებას.

გვიანდელმა ფეოდალიზმმა თავისი ვერაგობის დაღი დაასვა სვანეთის ყოფილ სადადეშქელიანო ნაწილს, სადაც ორი გვარი შეეტაკა ერთმანეთს. რეჩგიანის გვარის განადგურების შემდეგ სვანეთზე ბატონობა დადეშქელიანებს დარჩათ.

ალვირახსნილი მფლობელები შემდეგ ერთმანეთს დაესივნენ: ბოლოს ფარის მფლობელმა კონსტანტინემ (მურზაყანმა) მოჰკლა ქუთაისის გუბერნატორი, მკვლელი დახვრიტეს და ფარის საფეოდალოც გააუქმეს.

უხუცესთა თქმით, ამგვარ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია ე. წ. თავისუფალ სვანეთში, სადაც დღემდე დაცულია სვანეთის ეს იშვიათი ძეგლები.



# ვინ რა თქვა თბილისზე

„ამ ქვეყანაში არის მშვენიერი ქალაქი სახელწოდებით თბილისი, რომელიც გარშემორტყმულია გარეუბნებითა და მრავალი ციხე-სიმაგრით. მცხოვრებლები ქართველები ქრისტიანები არიან. აქ აკეთებენ აბრეშუმს და მრავალ სხვა ქსოვილს“.

ვენეციელი მოგზაური **მარკო პოლო** (XIII ს.).

* * *

„თბილისი სახელგანთქმულია თავისი სიდიდით და სილამაზით“.

ვენეციელი მოგზაური **ამბროსიო კონტარინი** (XVI ს.).

* * *

„თბილისი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია და მჭიდროდ დასახლებულია... ქალაქი გარშემორტყმულია მაგარი და მშვენიერი კედლით. აქ გაჩაღებულია დიდი ვაჭრობა“.

ფრანგი მოგზაური **ჟან შარდენი** (XVII ს.).

* * *

„ქალაქი (თბილისი)) წარმოადგენს სპარსეთიდან კონსტანტინეპოლის, სმირნის, ალეპოს და ამ ქალაქებიდან სპარსეთს მიმავალი ქარავნების საქონელთა საწყობს. აქედან გასაგებია რომ თბილისი მართლაც წარმოადგენს ყველაზე უფრო ხელსაყრელ ადგილს სპარსეთთან ვაჭრობის დასამყარებლად. თბილისის მდებარეობა ხდის მას სპარსეთის ყველა ქალაქის კლიტეგასაღებად“.

ფრანგი მოგზაური **პეისონელი** (XVIII ს.).

* * *

„თბილისის განთქმულ აბანოებში ვიყავი. რკინა-გოგირდის წყარო კლდეში გამოკვეთილ აუზში ჩაჩხრიალებდა. ჩემს დღეში არ შევხვედრივარ არც რუსეთში, არც თურქეთში თბილისის აბანოებზე უფრო დიდებულ რამეს“.

**ა. ს. პუშკინი.**

* * *

„თბილისი ძალზე ცივილიზებული ქალაქია, ძალიან ჰბაძავს პეტერბურგს და კიდევაც აღწევს მიზანს. არის რუსული თეატრი და იტალიური ოპერა, რომლითაც მე ვსარგებლობ. საზოგადოება რჩეული და მრავალრიცხოვანია“.

**ლ. ნ. ტოლსტოი.** (1851 წ.).

* * *

„თბილისი ნებიერი, მოვაჭრე, სახელოვანი ქალაქია“.

ისტორიკოსი **თეოფანე ბიზანტიელი** (VI ს.).

* * *

„თბილისი ეს დიდი გამაგრებული ქალაქია, რომელიც ძნელად მისადგომ ხეობაშია გაშენებული. მდინარეზე, რომელიც ქალაქს შუაზე ყოფს, გადებულია ერთმალიანი დიდი ხიდი. ხიდის მახლობლად მოწყობილია მრავალი საბაზრო ადგილი. იქაური საქონელია: სპილოს ძვლით ინკრუსტირებული უნაგირები, ალვირები, კაპარჭები — საისრე ბუდეები, თაფლი, მრავალფეროვანი ტკბილეულობა, მონები, მინა, ფიალები, ბროლის კარგი ნაკეთობანი“.

XIII ს. დამდეგს სპარსულ ენაზე შედგენილი ანონიმური გეოგრაფიული თხზულება.

## გერმანული ჰუმორი

ერთხელ ბერძენმა ფილოსოფოსმა დიოგენემა ნახა, რომ ისრის მტყორცნელი ერთთავად მიზანს აცდენდა. მივიდა და პირდაპირ ფარის წინ დადგა. „რას სჩადი?“ შეეკითხნენ მას. „მეშინია, შემთხვევით მეც არ მომახვედროსო“.

* * *

ტრამვაიში ერთმა კაცმა მეორეს ფეხი დააბიჯა. მან სამაგიეროდ უშვერი სიტყვებით მიმართა: „ბრიყვო, უზრდელო, იდიოტო“. კაცმა ყურადღება არ მიაქცია და მშვიდად განაგრძო გაზეთის კითხვა. აღშფოთებულმა დაზარალებულმა ლანძღვას უმატა. „შტერო, ვირო, სულელო!“ ის კვლავ გულრილად განაგრძობდა ყოფნას. ამ დროს გამოიარა მგზავრმა და სთქვა: „დაანებეთ თავი, მაგას მოთმინებიდან ვერ გამოიყვანთ. ეგ ხომ ფეხბურთის მსაჯიაო“.

* * *

დედა შვილს უსაყვედურებდა: „რას გეტყვის მასწავლებელი, სკოლაშიც ასე ცუდად თუ მოიქცევი? ამ დროს ჩამოიარა მგზავრმა და სთქვა: „მასწავლებელი ეტყვის: „გეთაყვა, წესიერად მოიქეცი, შინ ნუ გგონია თავიო“.

## აბულ-ფარაჯის „გასართობ ამბავთა წიგნიდან“

ამბობენ, რომ პითაგორს ბეჭედზე ამოჭრილი ჰქონდა დევიზი: — „ხანმოკლე წარუმატებლობა სჯობს ხანმოკლე წარმატებას“.

* * *

ერთმა თქვა: — მოთმინება — შესანიშნავი თვისებაა, მაგრამ ცხოვრება ძალზე მოკლეა, რომ დიდხანს ითმინო.

* * *

ერთმა ბრძენმა თქვა: — ის, ვინც სიკეთეს უკეთებს სულმდაბალს, ემსგავსება ადამიანს, რომელიც ძვირფასი ქვებით ამკობს ღორს, ანდა თაფლით აპურებს შხამიან გველს.

* * *

ღვინო ადამიანში ამჟღავნებს ოთხ თვისებას. დასაწყისში ადამიანი ფარშავანგს ემსგავსება — იგი იფხორება, მისი მოძრაობა ნარნარი და ამაყია. შემდეგ ამჟღავნებს მაიმუნის თვისებებს და იწყებს ყველასთან ხუმრობასა და ღლაბუცს. მერე ემსგავსება ლომს და ხდება ამაყი, თავის მოიმედე და თავის ძალაში დარწმუნებული. ბოლოს კი ღორად იქცევა და გორაობს ტალახში.

* * *

ერთი მოხუცი ამბობდა:— თუ შენ დაინახავ, რომ ახალგაზრდა კაცი თავისი ფიქრებითა და ოცნებებით ციური ქვეყნისაკენ მიექანება, ჩასჭიდე ფეხებში ხელები და დააბრუნე დედამიწაზე.

* * *

ერთ ბრძენსა ჰკითხეს:

— რა ზომამდე განივითარე ჭკუა შენი?

— იმ ზომამდე, რომ მე ახლა არავისი მჯერა და არავის იმედი არ მაქვს — უპასუხა ბრძენმა.

* * *

ერთმა მბრძანებელმა თქვა:

— არაა საჭირო ძალზე ქება მათი, ვინც ჩვენამდე მართავდა. ამით ჩვენს მეომართა თვალში ვამცირებთ ჩვენს საკუთარ ღირსებებს.

* * *

ერთმა განდეგილმა თქვა:—გაუფრთხილდი, არ მოგივიდეს ის, რაც შენს მჩაგვრელს მოუვიდა.

* * *

ერთმა განდეგილმა თქვა:

— ის, ვინც ცდილობს დააგროვოს იმაზე მეტი, რაც მას სჭირდება, სხვებისთვის აგროვებს.

* * *

ერთ განდეგილთან ღამით ქურდი შეიპარა. ქურდმა, როცა მასთან ვერაფერი იპოვნა, ჰკითხა:

— სად არის შენი ქონება?

განდეგილმა უპასუხა:

— მე ყველაფერი ზემო სახლში შევინახე.

და მან ცაზე მიუთითა.

* * *

განდეგილს, რომელიც სასაფლაოზე დასახლდა, ჰკითხეს:

— რას აკეთებ?

— ვსწავლობ მიცვალებულთა ნეშტებს, —უპასუხა განდეგილმა. — მინდა აღმოვაჩინო განსხვავება მბრძანებელთა და მონათა ტანის აგებულებას შორის. მაგრამ ვერა გავიგე რა. ისინი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან და სრულიად ერთნაირი არიან.

* * *

ერთი განდეგილი ამბობდა:

— ის, რაც შენ არ გინდა გქონდეს ხვალ, მოიშორე თავიდან დღეს, ის კი რაც გინდა გქონდეს ხვალ — შეიძინე დღეს.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე:

„ლ ე გ ე ნ დ ა თ ბ ი ლ ი ს ზ ე“.

მხატვარი ი. ბერძენიშვილი

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი ზ. ლეჟავა ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ.—რედაქტორის და პ/მგ. მდივნის—3-52-69, განყოფილებების—3-95-38

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 3 მან. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/XI-58 წ. გამომც. № 168. ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი 25.000. შეკ. № 1067 უე 06800

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

# ძველი თბილისის სურათებიდან



ძველი თბილისელი თავისი ყოჩით



„თათრის მოედანი" და მეტეხის ციხე




მტკვრის მარცხენა სანაპირო



ეროვნული
ბიბლიოთეკა